

ნ. ნაცვლიავილი

ერევანი ევანეონის
ქადაგის სახლი ევროპის
კლასიკური
სასურათო მუზეუმი

« ევროპის კლასი »

1971

03. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, პრეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

6. ნაცვლიშვილი

მემამულური მეურნეობის
კაპიტალისტური ეკოლუცია
აღმოსავლეთ საქართველოში



შამომცველობა „მეცნიერება“

თბილისი

1971



9 (cнл)

9 (47922)

6⁺375

ნაშრომში განხილულია რეფორმამდელი და რე-
ფორმისშემდეგლროინდელი მემამულური მეურნეობე-
ბი აღმოსავლეთ საქართველოში (ივ. მუხრანბატონის,
ალ. და დ. ჭავჭავაძეების, ი. სულხანიშვილის, დ. ბარა-
თაშვილის და სხვ.), მათი სოციალურ-ეკონომიკური ბუ-
ნება და ამ მეურნეობების კაპიტალისტურად გარდაქმ-
ნის პროცესი.

274.379
K

1-6-1
133-70 82

ზინასიტყვაობა

საქართველოს ისტორიის არაერთი მკვლევარი შეხებია ჩვენ-
 თვის საინტერესო საკითხს — მემამულური მეურნეობის კაპიტალის-
 ტურ ევოლუციას. პ. გუგუშვილის, ი. ანთელავას, ა. კიკიძის, შ. ჩხე-
 რის, ზ. ანჩაძის, ა. ფანცხავას, ე. ორჯონიშვილის, ი. უთურაშვილის,
 დ. გოგოლაძის, ა. ბენდიანიშვილისა და სხვ. შრომებში განხილულია
 ამ მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი.

მონოგრაფიულად მემამულურ მეურნეობათა კაპიტალისტური
 განვითარების ისტორია, გარდა ისტ. მეცნ. კანდ. თ. ჩხერიძისა, არავის
 შეუსწავლია. ჩვენ შევეცადეთ შეგვესწავლა აღმოსავლეთ საქართვე-
 ლოს მემამულური მეურნეობები, მათი სოციალურ-ეკონომიკური ბუ-
 ნება, ფეოდალური მეურნეობის კაპიტალისტურად გარდაქმნის პრო-
 ცესი, რომლის შედეგადაც წარმოიშვა შერეული ტიპის მეურნეობა
 და სადაც წამყანს კაპიტალისტური ურთიერთობა წარმოადგენდა.

მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუციის პროცე-
 სი მეტნაკლებად საგრძნობი მასშტაბით XIX-ს. 30—40-იან წლებში
 იწყება. ამ დროს ქვეყანა შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების გზა-
 ზე შედგა.

თავადაზნაურობის პროგრესული ნაწილი თავისი ინტერესებითა
 და საქმიანობით განსხვავდებოდა კონსერვატიული ნაწილისაგან. მას
 კარგად ესმოდა ძეველი, რუტინული წარმოების წესის ძირეული გარ-
 დაქმნისა და საბაზრო პროდუქციის წარმოების გაძლიერების აუცი-
 ლებლობა, რაც გარკვეულად გააუმჯობესებდა მის სოციალურ-ეკო-
 ნომიურ მდგომრეობას.

ძველი, ბატონყმური მეურნეობა წარმოადგენდა თვითმარ კარ-
 ხაყეტილ მეურნეობას, რომელსაც ძალიან სუსტი კავშირი ჰქონდა და-
 ნარჩენ მსოფლიოსთვის, აქ გაბატონებული იყო ნატურალური მეურ-
 ნეობა, იგი გულისხმობდა უშუალო მწარმოებლის (ე. ი. გლეხის)
 წარმოების საშუალებებით, კერძოდ მიწით მომარაგებას. ესეც ცოტაა,



გლეხი მიმაგრებული უნდა ყოფილიყო მიწაზე, რადგან სხვათაირად
მემამულე მუშახელით არ იქნებოდა უზრუნველყოფილი, მეურნეო-
ბის ამ სისტემის პირობა იყო გლეხის პირადი დამოკიდებულება მე-
მამულისაგან — გარეეკონომიური იძულება. დასასრულ, ამ მეურნე-
ობის პირობა იყო ტექნიკის დაბალი და რუტინული დონე.

საბატონო სისტემას ძირი გამოუთხარა ბატონყმბის გაუქმებამ.
შეირყა ამ სისტემის ყველა მთავარი საფუძველი: მეურნეობის ნა-
ტურალური, თვითკმარი ხასიათი, გლეხის პირადი დამოკიდებულება
მემამულისაგან. შედარებით მეტი გასაქანი მიეცა საზოგადოებრივი
ტექნიკის განვითარებას. ახალი ურთიერთობის პირობებში გლეხი
უნდა გამოესყიდა მიწა სრულ საკუთრებად, ხოლო მემამულე, რო-
მელსაც სურდა ცხოვრებისათვის ფეხის აწყობა, უნდა გადასულიყო
მეურნეობის კაპიტალისტურ სისტემაზე. მაგრამ ეს გადასვლა არ შეი-
ძლება მომხდარიყო ერთბაშად, რადგან სისტემა მეურნეობისა ჯერ
კიდევ არ იყო საბოლოოდ მოსპობილი.

„მაშასადამე, მეურნეობის ერთადერთი შესაძლებელი სისტემა
იყო გარდამავალი სისტემა, რომელიც აერთიანებდა როგორც საბატო-
ნო, ისე კაპიტალისტურ სისტემის ნიშნებს“¹.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ეს სისტემები სინამდვილეში
სრულიად სხვადასხვანაირად და საიცრად ეხლართებიან ერთმანეთს,
რაც იწვევს მრავალ უღრმესსა და ურთულეს კონფლიქტსა და წინაა-
ღმდეგობას. ამ წინააღმდეგობათა გამო ბევრი მეურნეობა ნადგურ-
დება. ყოველივე ეს დამახასიათებელია გარდამავალი ეპოქებისათვის².
შრომამიგების სისტემა ზოგჯერ გადადის კაპიტალისტურში და იმდე-
ნად შეერევა მას, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება მათი ერთმანე-
თისაგან განსხვავება და გარჩევა. „ასეთ დროს, — შენიშვნავს ლენი-
ნი, — შეუძლებელი ხდება იმის თქმა თუ სად თავდება შრომამიგება
და სად იწყება კაპიტალიზმი“³.

ამრიგად, მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცი-
ის დროს დამახასიათებელია ორი სისტემის შეზავება, მაგრამ ჩვენ-
თვის საინტერესოა, რომელი მათგანი ძლევს და რომელს მიჰყავს თა-
ვისი გზით მეურნეობის განვითარება. მემამულურ მეურნეობაში მტკი-
ცედ მოიკიდა ფეხი სავაჭრო მიწათმოქმედებამ. კაპიტალისტური სის-
ტემა შეეხო მიწის დამუშავების ოპერაციებს; მიწათმოქმედების ტექ-
ნიკის შეცვლამ გამოდევნა შრომამიგების სისტემა, თუმცა არამთლია-

¹ გ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 210.

² იქვე, გვ. 212.

³ იქვე, გვ. 214.



ნად; შრომამიგებამ შეიცვალა სახე და დარჩა უმთავრესად მისი მეტად კულტურული მორე სახეობა, რომელიც გულისხმობს არა გლეხ-მეგატრონეს, არამედ სასოფლო-სამეურნეო მოჯამაგირეებსა და დღიურ მუშებს⁴.

შრომამიგების დროს შრომის საზღაური უფრო დაბალია, ვიდრე კაპიტალისტური, თავისუფალი დაქირავების დროს.

მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუციის განვითარება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეფორმამდელ ხანძში იწყება. ამ დროიდან გახდა საგრძნობი დიდი სოციალური ეკონომიკური ძვრები საქართველოს ცხოვრებაში; სასაქონლო ურთიერთობის განვითარების შედეგად გაჩნდა კაპიტალი ვაჭრობაში, წარმოებაში და წარმოიშვა სამუშაო ძალის გამყიდველი მასა.

რეფორმამდელი ხანის მეურნეობებში ზოგჯერ გამოყენებული იყო მანქანა-იარაღები და დაქირავებული მუშახელი, უმეტესად ოსტატების სახით. ასე, მაგალითად, ალ. ჭავჭავაძე საგანგებოდ ქირაობდა იმერელ მევენახეებს, როგორც საუკეთესო სპეციალისტებს, მასვე ჰქონდა იმ დროისათვის გამართული და რაციონალურ საწყისებზე მოწყობილი მეურნეობა, სადაც საბაზრო პროდუქციის — ღვინის და მზადებას პირველი ადგილი ეჭირა. ღვინის წლიური შემოსავალი 30-იან წლებში, ალ. ჭავჭავაძის მეურნეობაში უდრიდა 30000 თუნგა. ასეთივე მეურნეობები იყო მხოლოდ შედარებით ნაკლები მასშტაბისა, სოლომონ გურგენიძისა, ანდრონიკ შვილის, ივანე აფხაზისა და ნაკაშიძეებისა.

ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენები განვითარებას ჰქონებენ რეფორმის შემდეგდროინდელ ხანაში. ამ დროს მემამულურ მეურნეობებში იზრდება პროდუქციის საბაზრო დამზადება, ხდება დარგების სპეციალიზაცია, უფრო ფართო ხასიათს იღებს მანქანა-იარაღებისა და დაქირავებული მუშახელის გამოყენება, ფეხს იყიდებს ფულადი რენტა. ვეზირიშვილის, სულხანიშვილის, მუხრანბატონის, ბარათაშვილისა და სხვა მეურნეობები რეფორმის შემდეგ კიდევ უფრო ვითარდება, იზრდება მათი კაპიტალბრუნვა და მათი პატრონებიც უფრო გამოცდილი მეურნეები ხდებიან.

მართალია, ისეთ ძლიერ და მრავალდარგიან მეურნეობაში, როგორიც იყო ივანე მუხრანბატონისა, ჭერ კიდევ განაგრძობდა არსებობას შრომამიგების სისტემა, მაგრამ მთელი შემოსავლის ერთ-მესამედზე მეტი დაქირავებული შრომის გამოყენებისათვის იხარჯებოდა.

⁴ ვ. ი. ლენინი, თხ., ტ. 3, გვ. 242.



XX საუკუნისათვის კი გლეხები სამუშაოზე გამოსვლის ნაციონალური გადასახადს იხდიდნენ. ასე რომ, მემამულური მეურნეობა, დღიდან მისი დაარსებისა, განვითარებას განიცდიდა და მისი ახალი, კაპიტალისტური ფორმები წარმოადგენდნენ დიდ პროგრესს, მიუხედავად ყველა წინააღმდეგობისა, რაც მათ ახასიათებდათ.

ჩვენ მიერ განხილული მასალები ნათლად გვიდასტურებენ ყოველივე ამას. მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუციის რთული და ხანგრძლივი პროცესი არ იყო სრულყოფილი არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიც; მაგრამ ახალი მაინც იქმნებოდა და დაბეჭითებით მიიკვლევდა გზას.

მართალია, არ წარმოქმნილა წმინდა კაპიტალისტური მეურნეობები, მაგრამ დაინგრა და ძირეული ცვლილებები განიცადა ფეოდალურმა მეურნეობამ. მის ნაცვლად წარმოიშვა ახალი, გარდამავალი ტიპის მეურნეობა, სადაც ჭერ კიდევ კაპიტალისტური სისტემის გვერდით არსებობდა ძველის ნაშთები, მაგრამ კაპიტალიზმის ნიშნები თანდათან უპირატესობასა და გაბატონებულ მდგომარეობას აღწევე.

რეცორმამდელი მემამულური მეურნეობები საქართველოში

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ქვეყნად მშვიდობიანობა დამყარდა და ქართველ ხალხს შედარებით უკეთესი პირობები შეექმნა სამეურნეო საქმიანობის გასაშლელად.

როგორც აღრე აღვნიშნავდით, XIX ს-ის დამდეგს ბოლო მოელო ქვეყნის დამაქცეველ თავადურ სისტემას და საქართველო ახალ ურთიერთობაში დგამდა ფეხს.

ეს ახალი ურთიერთობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროს შეეხო და მისი მომავალი განვითარების გზაც მან განსაზღვრა.

ქართველი თავადაზნაურობის პროგრესულმა ნაწილმა დროულად შეიგრძნო ამ სიახლის მნიშვნელობა და შეეცადა თვისი შემოსავა-ლი მეურნეობის გარდაქმნით უზრუნველეყო. მემამულეები, რომლებიც ცნობილი იყვნენ როგორც თავიანთი მეურნეობის რაციონალიზატორები, დახმარებას დებულობდნენ მთავრობისაგან სესხის მიღებით თუ სხვა სახით. ბევრ მათგანს სამხედრო ასპარეზზე წარმატებებისათვის მიწებითაც კი აგილდოვებდნენ, მაგრამ მნიშვნელოვანი მათთვის მაინც სესხის მიღება იყო, რადგან მეურნეობის ახლებურად წარმოებისთვის კაპიტალი იყო საჭირო, რაც მათ ნაკლებად ჰქონდათ.

ქართველ მემამულეთა პროგრესული ნაწილი ენერგიულად შეუდგა თავისი მამულის ეკროპულ წესზე გამართვას.

ამ ცდებსა და ონბისძიებების შედეგი იყო საქართველოში ფერმებისა და საცდელი მეურნეობების გაჩენა, სადაც რაციონალურ წესზე იყო აგებული სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის წარ-

მოება¹. ამ ფერმების და იქ წარმოებული მუშაობის მნიშვნელობა გათვალისწინებული იყო ფართო მოსახლეობისათვის, რომელიც მისაბაძი უნდა ყოფილიყო სხვა მეურნეებისათვის. „ასეთ ფერმებში მომუშავე გლეხს, — შენიშნავდა „გუთნის დედა“ — შეეძლო — გამოცდილის აგრონომის ზედამხედველობის ქვეშ ესწავლა საქმით ჯეროვანი მიწას ხენა, საუკეთესო იარაღების გამოყენება, კანონიერი თესვა და მცენარეთა მოვლა“².

სანიმუშო ფერმებად ითვლებოდა ივ. მუხრანბატონისა ქართლში და ანანვისა იმერეთში. ამ ფერმების შექმნამ ცხადჰყო, რომ „დელებრივ მამულის კეთების დაწყობილებასა არ ჰქონდა ჯეროვანი სარგებლობა, მოითხოვდა მომეტებულს შრომასა და ხარჯს და სამაგიეროს არ აძლევდა იმოდენსა, როგორც ევროპაში“³.

მთავარი ის იყო, რომ ამ სიახლეს მეურნეობაში მემამულისათვის უნდა მიეცა და აძლევდა კიდევ „მეტ გამორჩომას“. გაზეთი „გუთნის დედა“ აღნიშნავდა ამ მოვლენას და იმედს გამოთქვამდა, რომ ამ საქმეს აღმოუჩნდებოდნენ მიმბაძველები⁴.

მამულის შემოსავლიანობის გაზრდისა და მეურნეობაში ახალი, ევროპული წესების გამოყენების ცდებს ჯერ კიდევ 30-იან წლებში ჰქონდა აღვილი. კახეთში ცნობილი მემამულის სოლომონ გურგენიძის მეურნეობა პირველი იყო ჭავჭავაძის მეურნეობის შემდეგ. 1829 წლიდან მოყოლებული, იგი გულმოდგინედ ეწეოდა უმთავრესად ღვინის წარმოებასა და მის გაზრდა-გაუმჯობესებას. მასვე ჰქონდა ინდიგოსა და თამბაქოს პლანტაციები. გურგენიძე ითვლებოდა გამოცდილ მეურნედ, რომელმაც მეურნეობის ევროპულ წესზე გამართვით შეძლო გაეზარდა თავისი მამულის შემოსავლიანობა და ხელი მიეყო სხვა დარგების წარმოებისათვის. იგი შეეცადა ღვინის შესანახი გუდების უკეთ დამზადებას, რაც გამოიხატებოდა კუპრის ხარისხიანობის გაუმჯობესებაში.

• გურგენიძე თავის მეურნეობაში ეწეოდა მეაბრეშუმეობას, გაშენებული ჰქონდა ითნის ხეივანი (გაზის სარებისათვის ის იყენებდა იფანს). მეურნეობაში არსებობდა სამი მანქანა: ორი აბრეშუმის ძაფის გამოსაყვანად და სართავად, ერთიც ხის ზეთის მისაღებად. გარ-

1 3. გუგუ შვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, 1941.

2 გაზ. „გუთნის დედა“, 1862, № 1.

3 იქვე.

4 იბ. ლ. გოგოლა ა. კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. 1959.



და ინდიგოს საღებავისა, მან საღებავები დამზადა სხვა მცენარეების განკუთხულება — ალისარჩულისა და სოსანისაგან. მასვე უცდია სიგარების დამზადება და გარკვეული შედეგისთვის მიღწევია. მის მიერ დამზადებული სიგარები კარგად იქნა შეფასებული⁵.

გურგენიძის მეურნეობის მნახველნი და ომშერნი აღნიშნავდნენ, რომ მეურნეობა სამაგალითოდ იყო გამართული და უცილებლად წარმატება ელოდა მას, თუკი მისი გაუმჯობესებისათვის მეურნეს მიეცემოდა საჭირო კაპიტალი. გურგენიძის მეურნეობის გაუმჯობესებასა და უკეთ გამართვისათვის დახმარებას მოითხოვდნენ თელავის მაზრის მემამულები, რომლებიც აღნიშნავდნენ მის დამსახურებას სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში და მიმართავდნენ მთავრობას თხოვნით — მიეცა სესხი გურგენიძისათვის.

თავის თანამემამულეს ისინი ახსიათებდნენ როგორც გამოცდილ მეურნესა და მათოვის საჭირო, გამოსადევ აღამიანს: «он человек опытный и совершенно для нас необходимый в отношении указания всего полезного по части сельского хозяйства и народной промышленности»⁶.

მაგრამ მიუხდავად გურგენიძის ტავდადებული მოღვაწეობისა და მისი მიღწევებისა სოფლის მეურნეობებში, კერძოდ მეღვინეობასა და აბრეშუმის წარმოებაში, მთავრობა უყურადღებოდ სტოვებდა მის მრავალგზის თხოვნას სესხის მიღებაზე, ანგარიშს არ უწევდა მის წარმატებებს, რაც საუკეთესო ღვინისა და აბრეშუმის საღებავების დამზადებაში გამოიხატებოდა. გურგენიძე აღნიშნავდა, რომ მის მიერ დამზადებული ღვინოები მოწონებულ იქნა მაღალი თანამდებობების პირების მიერ და რომ კახეთში ღვინის დამზადების გაზრდა და მისი მიწოდებისა და ვაჭრობის განვითარება დააქმაყოფილებდა რუსეთის ბაზრებს. სხვა მრავალ სასარგებლო სამეურნეო ღონისძიებებს სახავდა იგი. მაგრამ ამაოდ! რუსეთის ხელისუფლება არ კმაყოფილდებოდა გურგენიძის წარმატებებით, ის ვერ ბედავდა სესხი მიეცა იმ მეურნისათვის, რომელსაც საკუთარი მიწები არ ჰქონდა. მისი მეურნეობის მნახველი აგრონომი დეიქმანი შენიშნავდა, რომ გურგენიძემ თავისი პატარა, მაგრამ კარგად აწყობილ მეურნეობაში შეძლო მიეღო შესანიშნავი ხარისხის ღვინო და განევითარებინა სოფლის მეურნეობის სხვა დარგები. მაგრამ 1860 წლისათვის მეურნეობა უსახსრობის გამო ცუდ მდგომარეობაში იყო; მიუხდავად გაჭირვებისა, გურგენი-

⁵ სცია, ფ. 16, საქ. 5465; გ. ორგონიკიძე, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება საბატონო მეურნეობებში, ივ. ჯვარიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1961, ნაკვ. VI.

⁶ ოგივე საქმე.



ძე საქმისადმი სიყვარულითა და გულმოღვინებით განაგრძობდა ურნეობის წარმოებას. დეიჩმანი შუამდგომლობდა მთავრობის წინაშე მიეცათ სესხი გურგენიძისათვის, რაც მეტად სასარგებლო იქნებოდა როგორც მისი მეურნეობისათვის, ისე მთელი იმ მხარისათვის.

დეიჩმანი აქ გულისხმობდა გურგენიძის დამსახურებას კახეთის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში და იმ სასარგებლო მოღვაწეობას, რომელსაც ეწეოდა თავდადებული მეურნე? მაგრამ გურგენიძეს მაინც უარი ეთქვა ზემოხსენებული მიზეზის გამო.

ბევრ ქართველ მემამულეს აღეძრა სურვილი მამულის განახლებისა და შემოსავლიანობის გაზრდისა, რომლისთვის ხელისშემწყობ პირობებს თვითონ ხელისუფლება სთავაზობდა. მაგრამ სესხის მიღება ყველას არ შეეძლო. მისი მიღება შეეძლოთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც საკუთარი მამული გააჩნდათ და რომელნიც თავიანთი სახსრებით შეძლებდნენ მის ახლებურ წესზე გამართვას; მხოლოდ მის შემდგომ განვითარებასა და გაუმჯობესებისათვის შეეძლოთ მიემართათ ხელისუფლებისათვის, რათა ამ ღონისძიებისათვის საჭირო კაპიტალი გამოეთხოვათ. მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული ამ მხარეში სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ისეთი განვითარებით, როცა წარმოებული პროდუქცია ნედლეულის მნიშვნელობას გასცილდებოდა; იგი ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ნედლეული ამოქანა ამ ქვეყნიდან, თუმცა ამ ნედლეულის გადამუშავებაც უძნელდებოდა კაპიტალის ნაკლებობის გამო და ამიტომაც ხშირი იყო შემთხვევა, როცა ესა თუ ის წარმოება უცხოელი კაპიტალისტების ხელში ვარდებოდა.

ისეთმა მემამულეებმა, როგორც იყვნენ ივ. მუხრანბატონი და შავჭავაძე, თავიანთი ქონებითა და შრომით შეძლეს მამულის შემოსავლიანობის გაზრდა და მისი უზარმაზარ მეურნეობად გადაქცევა, რაშიც აგრეთვე დიდი როლი ითამაშა მათმასამსახურეობრივგა მდგომარეობამ (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ივ. მუხრანბატონის მიერ წამოწყებული სამრეწველო საქმიანობა უდღეური აღმოჩნდა და ერთ-ერთი მიზეზი მისი წარუმატებლობისა იყო რუსეთის კოლონიური პოლიტიკა). რეფორმის წინარე ხანაში თავისუფალი მუშახელის გაჩენის შედეგად საგრძნობლად დაჩქარდა კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა აგრეთვე მემამულური მეურნეობის წარმოებაში.

1839 წელს სიღნაღელი მემამულე დავით აფხაზი მოითხოვდა ელდარის ველზე 400 დესეტ. მიწის თავის განკარგულებაში გადაცე-

7 სცია, ფ. 240, საქ. 1294.

ესა, რათა აქ მას მეურნეობა გაემართა. მთავრობამ, მართალია, სასარტყელისა და მეურნეობისა და მისი წამოწყება, მაგრამ მეურნეობის წარმოებისა და მისი წამოწყების შემთხვევაში 70 დღესტ. მიწის გაცემა. მიწის ამ ფართობზე, აფხაზმა შეძლო გაეშენებინა თუთის ხისა და ინდიგოს პლანტაციები. ამისათვის მან აღადგინა მდ. იორიდან გამოყვანილი სარწყავა ვი არხი და ააშენა აბრეშუმის ჭიის გამოსაყვანი ფარდულები. დავით აფხაზის გარდაცვალების შემდეგ მეურნეობა განადგურდა. თვითონ მას ბევრი ვალი დარჩა. სახაზინო პალატას არ უნდოდა აფხაზის მეურნეობა მევალებს ხავარდნოდა ხელში და მის მემკვიდრეებს ჰპირდებოდა მამის ქონების დამტკიცებას, თუ ისინი შეძლებდნენ მის ალდგენასა და წესრიგში მოყვანას.

1861 წლისათვის აფხაზის მეურნეობაში თუთის ხის პლანტაციებს ეჭირა 35 დღესტ., აქედან 15 დღესტ. ახლადგაშენებული იყო, 3 დღესტ. მიწაზე დათესილი იყო თამბაქო და სორგო, დანარჩენზე კი ხორბალი. მეურნეობაში მოქმედებდა წყლის წისქვილი და აღდგენილი იყო აბრეშუმის ჭიის გამოსაყვები ფარდულები. 1859 წელს მეურნეობაში 70 ფუთი აბრეშუმის პარკი მიიღეს. აქვე მზადდებოდა ახალი ფარდულები; აშენებული იყო ცხენის საღომები და ბოსლები მსხვილფეხა საქონლისათვის.

ყოველივე ამის დათვალიერებისა და შემოწმების შემდეგ სახელმწიფო ქონებათა პალატა მიზანმეწონილად თვლიდა ეს ნაკვეთი მიწისა აფხაზებს გადასცემიდათ მემკვიდრეობით და 1859 წლიდან სახაზინო გადასახადი ეხადათ.

დიმიტრი აფხაზის მამული დაათვალიერა ივ. კერესელიძემ და თავისი შთაბეჭდილებები „ცისკარში“ მოათავსა. კერესელიძის წერილი-დან ირკვევა, რომ დიმიტრი აფხაზს, გარდა ზემოაღნიშნულ მეურნეობისა, კარგად მოვლილი და მოსავლიანი ზერებიც ჰქონია, რომელსაც 80 დღიური მიწა სჭერია. მასვე გაშენებული ჰქონია ხეხილის ბალი, რომლის მოსავალი 60 საპალნეს უდრიდა თურმე. მამულს ამშვენებდა არსართულიანი ქვითკირის, ევროპულ სტილზე აშენებული სახლი. სახლის პირველ სართულში მოთავსებული იყო სარდაფები, მეორე სართულზე კი 6 ოთახი. ამ სახლს ჰქონდა კლდეში გამოჭრილი მაცივარი და მარანი. ივ. კერესელიძე კმაყოფილებით აღნიშნავს იმასც, რომ გაჩნაძებსაც მიუბაძიათ აფხაზთათვის და „ხელი მიუყვაით ადგილ-მამულის მორთვისათვის“⁸.

შორაპნელ მემამულეს კონსტანტინე ერისთავს თავის მეურნეობაში ჰქონდა კარგი ჯიშის 3 000 ძირი ვაზი, 2 000 — თუთის ხე; მასვე

⁸ „ცისკარი“, 1861, № 11.

დათესილი ჰქონდა 2 დესეტ. ბოსტნეული, 6 დესეტ. ბამბა და გრანიტი სეტ. იონჯა. ამავე მეურნეობაში იყო 200 სხვადასხვა ჯიშის ზეზილი-საგან გაშენებული ბალი. მეურნეობის გაუმჯობესებისა და გაზრდისა-თვის მას სურდა სესხის სახით მიეღო საჭირო კაპიტალი.

თავისი მეურნეობის აღწერისას კ. ერისთავი ჩამოთვლიდა . იმ ღონისძიებებს, რომელთა გატარება ჰქონდა მას განზრახული. ეს იყო საკვები ბალახის ნათესის გაზრდა, რომელიც აუცილებელი იყო სა-ქონლის საკვებით უზრუნველყოფად, ბამბისა და თუთის ხის პლან-ტაციების გადიდება, სიმინდის სხვადასხვა ჯიშის გავრცელება, საქონ-ლის, კერძოდ, ძროხების შეძენა და კარაქის დამზადება. გარდა ამისა, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები ფარდულების აშენება, საკვები ბალახის თესლის გამოწერა და სხვ. ყოველივე ამასთან ერთად, ამ მეურნეობის რაციონალურად წარმოებისათვის საჭირო იყო სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენა. მას სურდა ჰქონდა 2 გუთანი და სიმინდის სა-ფშვნელი მანქანა.

კ. ერისთავს შეგნებული აქვს, რომ არ იყო საკმარისი მხოლოდ ღროებითვალდებულ გლეხთა შრომა, რომელსაც იძულებითი ხასიათი ჰქონდა და ამიტომაც ნაკლებხარისხოვანი იყო. ამიტომ აუცილებლად მიაჩნდა მექანიზური ძალის გამოყენება, რომელიც წინ წასწევდა ყო-ველგვარ მეურნეობას და დააჩქარებდა ქვეყნის შიგნით პროდუქციის წარმოების საქმეს⁹.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მემამულენი თავიანთი მეურ-ნეობის გასამართვად სესხისათვის კერძო პირებსაც მიმართავდნენ; მათგან სესხის აღება, — შენიშნავს ერისთავი, — ვერავითარი სარ-გებელია, რადგან ვალთან ერთად პროცენტების გადახდა კვლავ უსახ-სრებოდ სტოვებს მეურნეს.

ოზურგეთის მაზრის მემამულე ბებურიშვილი თავსი მეურნეობის წარმოებისათვის ითხოვდა 4000 მან. სესხად. მას განზრახული ჰქონ-და გაეშალა მემინდვრეობა, მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მევენა-ხეობა და ხე-ტყის დამზადება.

სამიწათმოქმედო კულტურებიდან მას გათვალისწინებული ჰქონ-და ხორბლის, სიმინდის, ლობიოსი და სხვ. მარცვლეულის დათესვა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სიმინდის მოყვანასა და გავრ-ცელებას. ბოსტნეულიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა კარტო-ფილის საბაზროდ დამზადება. ბებურიშვილს არ ავიწყდება ონიშნოს ისიც, რომ გურიის ჰავა და ნიადაგი ხელს უწყობს მეთმბაქოეობას და

⁹ სცია, ფ. 238, საქ. № 181.

შეგამბეობას, ზედმეტად არ მიაჩნდა ენდოროსა და ინდიგოს პლანტიზაციური კორპუსის გაშენება.

გეაბრეშუმეობისათვის ბებურიშვილი საჭიროდ მიიჩნევდა 1500—2000-მდე თუთის ხეების დარგას და აბრეშუმის ჭიისათვის ახალი ფარდულების აგებას. მესაქონლეობის განვითარების მიზნით, მისი აზრით, სასურველი იქნებოდა აქარული კარგი ჯიშის საქონლის გამრავლება და საამისოდ მათი მოვლა-შენახვისათვის სადგომებისა და ბოსლების აშენება. იქვე აღნიშნავს ნამატის საბაზროდ გამოყენებას.

მევინეობისათვის მას განზრახული ჰქონდა ვაზების ჯიშების შემოტანა ყირიმის სანაპიროდან და იგი იმედს გამოთქვამდა, რომ ლიხაურში დამზადებული ლვინოები, რომლებიც ცნობილი იყვნენ თავიანთი კარგი ხარისხით, გასავალს ჰპოვებდნენ რუსეთში.

ასეთივე მონდომებით აპირებდა იგი ეწარმოებინა მეფუტკრეობა და ხე-ტყის დამზადება; ამ უკანასკნელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა და პირველხარისხოვან საქმედ მიაჩნდა მისი წარმოება.

ბებურიშვილს ისევე, როგორც ერისთავს, კარგად ესმოდა ამ საქმისათვის დაქირავებული მუშახელის მნიშვნელობა. ბებურიშვილს სულ 20 კომლი ყმა გლეხი ჰყავდა, რომელთა მიერ მამულისათვის გაწეული შრომა, როგორც ყოველთვის, დაბალხარისხოვანი და ნაკლებპროდუქტიული იყო. თვით მამულის მოთხოვნილებასაც კი ვერ აქმაყოფილებდნენ.

მისივე მოხსენებითი ბარათიდან ჩანს, თუ როგორ გაიზარდა საბაზრო პროდუქციის წარმოება სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. ბებურიშვილს ყოველი დარგის პროდუქციის დიდი ნაწილი გამიზნული ჰქონდა ბაზარზე გასატანად.

თავისი მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით, სესხს ითხოვდნენ აგრეთვე კახეთის მემამულები ზაქარია, მიხეილ და ლინიქ ანდრონიკაშვილები. თითოეული მათგანი ეწეოდა მეაბრეშუმეობას, აწარმოებდა თამბაქოსა და ბამბის პლანტაციების გაშენებას.

ზაქარია ანდრონიკაშვილს მეაბრეშუმეობის გაშლის მიზნით დარგული ჰქონდა 2500 თუთის ხე, რომელიც არ მიაჩნდა საკმარისად და ცდილობდა მათი რიცხვი გაედიდებინა. ამისათვის ის 3000 მან. მოითხოვდა 12 წლის ვადით.

მიხეილ ანდრონიკაშვილს, გარდა თუთის ხის პლანტაციებისა და აბრეშუმის ჭიის საკვები შენობებისა, გაშენებული ჰქონდა ბამბისა და თამბაქოს პლანტაციები, რომლიდანაც მიღებულ პროდუქციას გამოფენისათვის ამზადებდა. იგი შენიშნავს, რომ კახეთში მეღვინეობის განვითარების გამო მას არა აქვს საშუალება უფრო ფართოდ მოჰკი-

დღს ხელი მეაბრეშუშეობას, რომელსაც ის ნუხასა და კახეთში ასე-
 ბული მეაბრეშუშეობის ტრადიციების გამოყენებით ეწეოდა.

მიხეილ ანდრონიკაშვილი თავის მეურნეობის განვითარებისა და
 გადიდებისათვის ითხოვდა 4000 მანეთს 15 წლის ვადით. მას დაწვრი-
 ლებით ჩამოთვლილი აქვს ის ხარჯები, რასაც ითვალისწინებდა მისი
 მეურნეობა. ამ ხარჯებში შედიოდა აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა,
 მეაბრეშუმე ასტატების დაქირავება, რომლებიც ნუხილან უნდა ჩამო-
 ეყვანა და თითოეული მათგანისათვის 50 მან. მიეცა, თუთის ხეების
 მოვლა და საამისოდ მოყვანილი მუშების გასტუმრება (თვითეულ
 მათგანს ეძლეოდა 30 მან.). გარდა ამისა, ის ითვალისწინებდა აგრე-
 თვე აბრეშუმის ჭიისათვის ფარდულების აშენებას და თამბაქოს
 თურქული ჯიშების ტრაპეზუნტისა და სამსუნის მოყვანას. 1864 წელს
 აგრონომი სერებრიაკოვი დონიკ ანდრონიკაშვილის თამბაქოს პლან-
 ტაციების დათვალიერების დროს შენიშნავდა, რომ მან პირველმა
 სცადა თურქული ჯიშის თამბაქოს კახეთში გაშენება¹⁰, სოფ. ბაჟურ-
 ციხიდან 2 ვერსის დაშორებით მდ. ალაზნის პირს მდებარე 2 დესეტ.
 მიწის ფართობზე. დონიკ ანდრონიკაშვილის ცდას უშედეგოდ არ ჩა-
 უვლია. სერებრიაკოვი აღნიშნავს, რომ ტრაპეზუნტის ჯიშის თამბა-
 ქოსთვის კახეთში უფრო კარგი პირობები აღმოჩნდა, ამიტომაც არა-
 ფრით არ ჩამოვარდებოდა ნამდვილ თურქულ თამბაქოს. დონიკ ან-
 დრონიკაშვილს თავისი დამზადებული თამბაქო (თუთუნი) ჩამოუ-
 ტანია თბილისში და ფუთი 8 მან. გაუყიდია. ამის შესახებ სერებრია-
 კოვი წერს, მისი დაბალი ფასი უხარისხობით კი არ იყო გამოწვეული,
 არამედ იმით, რომ კახეთში მაშინ საერთოდ კარგი ხარისხის თამბაქო
 მოვიდა, რომლის ნამდვილი ფასი მწარმოებლებმა არ იცოდნენ. სე-
 რებრიაკოვი დადგებითად აფასებდა დონიკ ანდრონიკაშვილის ღვაწლს
 ამ საქმეში და იმედს გამოთქვამდა, რომ მიმბაძველები აღმოუჩნდე-
 ბოდნენ. მაგრამ მხედველობიდან რჩებოდა ის სიძნელეები, რომლე-
 ბიც ამ წარმოებას ელობებოდა და რომ თუთუნის იაფად გაყიდვა
 თბილისში აიხსნებოდა ამ საქმეში ჩარჩ-ვაჭრების ჩარევით.

სწორად შენიშნავდა კორესპონდენტი სიღნაღის მაზრიდან, რომ
 ჩარჩ-ვაჭრები ურიგდებიან მემამულეებს იაფად და შემდეგ ზედმეტ
 ფასებში პყიდიან თამბაქოს მეწვრილმანე მეპაპიროსევებზე, რომელ-
 თაც არა აქვთ შეძლება თამბაქო შეიძინონ თურქეთში. გადამყიდვე-
 ლები ფუთ თამბაქოს ყიდულობდნენ 6 მან. თამბაქოს ფასის დაცე-
 მამ, — შენიშნავდა იგივე კორესპონდენტი, — ზოგიერთ მრეწველს
 აღუძრა სურვილი მისი შეღავთიან ფასებში შეძენასა და რუსეთში

¹⁰ სცად, ფ. 240, საქ. № 1291.



გატანისა, მაგრამ ასეთები ჯერჯერობით ცოტანი აღმოჩნდნენ. რაც ერთ შეეხება თამბაქოს მოყვანასა და გავრცელებას, მას ფართო ხასიათი მიუღია კახეთში. ასე რომ, 1864 წლისათვის 5000 ფუთი თამბაქო დაუშზადებიათ კახელ მემამულებს¹¹, რომელთა შორის პირველ აღგიღს ისიც დონიკ ანდრონიკაშვილს ანიჭებს. 1864 წლის მოსავლის თამბაქო წინა წელთან შედარებით უკეთესი ხარისხის ყოფილა როგორც რაოდენობით, ისე ხარისხით, ყველაზე უკეთესი თამბაქო სოლომონ ანდრონიკაშვილს მოყვანია, რომელიც 400 გრ. — 1 მან. ნაკლებ არ გაიყიდებოდა თბილისში. იმავე სოლომონ ანდრონიკაშვილს სოფ. ბაკურციხეში ჯერ კიდევ 1848 წელს დაუშეია მეაბრეშუმეობა ეკრიპულ წესზე, რაც ნიშნავდა იმას, რომ მას პქნდა იტალიური ჯიშის აბრეშუმის ჭიის თესლი და აბრეშუმის ამოხვევას აწარმოებდა ევროპაში გავრცელებული წესით. მის მიერ გამოფენაზე წარმოდგენილი ნიმუშები აბრეშუმისა საყოველთაო მოწონებას იმსახურებდა¹².

ასეთივე კარგი აზრისაა კახეთში მეთამბაქეობის წარმოებისა და მისი ხარისხიანობის შესახებ აგრძონმი ხატისოვი, რომელმაც 1848 წლის სექტემბერში დაათვალიერა მიხეილ ანდრონიკაშვილის მეურნეობა. მიხეილ ანდრონიკაშვილს გურჯაანში გაშენებული პქნდა თამბაქოს, თუთისა და ბამბის პლანტაციები, როგორც ხატისოვის გადმოცემიდან ვგებულობთ, მას საუკეთესო ხარისხის თურქული თამბაქო მიუღია, რომლის გაშენება და მოვლა ხდებოდა თურქული წესის მიხედვით. თამბაქოს ეკირა 5 დესეტ. მიწის ფართობი, ბამბას კი 10 დესეტ. თუთის ხეები ჯერ კიდევ იზრდებოდნენ და მათი რიცხვი უდრიდა 50.000-ს. ხეებს შორის ანდრონიკაშვილს ეთესა უფრო დაბალი ხარისხის თამბაქო „მახორკა“, რომელიც 40 ფუთი მოსულა და მის კვალობაზე კარგი ხარისხის დამდგარა. თამბაქოს მეურნეობაში მეურნეობის პატრონს დახმარებას უწევდნენ თურქეთიდან ჩამოსული მეთამბაქეები, რომელთა მეთვალყურეობის ქვეშ წარმოებდა პლანტაციების გაშენება. გრძა ამ სახეცალისტებისა, რომელთა მოწვევა ხდებოდა გარკვეული ხელშეკრულების დადებით, 60-იანი წლების მეურნეობის პატრონს დახმარებას უკვე იყენებენ მას¹³. ხატისოვი ურდა სოლომონ ანდრონიკაშვილები უკვე იყენებენ მას სარეველა ჩევს სოლომონ ანდრონიკაშვილს გამოიყენოს მანქანები სარეველა

¹¹ ვKOCX, 1864 წ.

¹² ვKOCX, 1864 წ.

¹³ სცია, ფ. 1240, ს. № 1536.


ბალახებისაგან თამბაქოს პლანტაციების გასასუფთავებლად და მას შემდეგ მისი აზრით, შეუმცირებდა ხარჯებს. თითოეული მუშის დაქირავება უჯდებოდა 60 კაპ. დღიურად, რაც საქმაო ძირი იყო ხატისოვის აზრით¹⁴. დაქირავებულ მუშახელად შეიძლება ჩაითვალონ ის მეთამბაჯოები, რომლებსაც ანდრონიკაშვილები იწერდნენ თურქეთიდან და თითოეულ მათგანს ურიგდებოდნენ თვეში 50 მან. მიხეილ ანდრონიკაშვილს, მაგალითად, 5 ასეთი ოსტატი ჰყოლია.

კახეთში მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ გაჩ. „გუთნის დედა“ ვრცელ სტატიას ათავსებდა და შენიშნავდა, რომ ქვეყნად არსებულმა მშვიდობიანობამ ხელი შეუწყო მეურნეობის ამ დარგის აღორძინებას ჩვენს ქვეყანაში¹⁵. კახეთში მეაბრეშუმეობის ინიციატორი იყო ალ. ჭავჭავაძე, რომელმაც 1840 წელს სოფ. ნაფარეულში გააშენა თუთის ხის პლანტაციები, მაგრამ მას არ დასცალდა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. ალექსანდრეს წამოწყებული საქმე მისმა შვილმა დავითმა გააგრძელა და თუთის ხეების რიცხვი 80.000-მდე გაზარდა, ჭიის გამოსაკვები ფარდულები ახლებურ წესზე გამართა. მის მიერ მოწეულმა აბრეშუმმა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჯილდო დაიმსახურა.

მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს დიმიტრი აფხაზმა, სოლომონ და ივანე ანდრონიკაშვილებმა. თითოეულ ამ მეურნეთაგანს თუთის ხის პლანტაციები ჰქონდა არა ნუხაში გავრცელებული წესით. კახეთის გაღმა მხარეში სვიმონ შალიკაშვილს 300.000 თუთის ხე ჰქონდა დარგული, რომელიც აგრეთვე ნუხაში გავრცელებული წესით აწარმოებდა მეაბრეშუმეობას. აღსანიშნავია ის, რომ კახეთში აბრეშუმის ამოხვევაში დაუწყიათ იტალიური წესის გამოყენება.

სოლომონ ივანეს ძე ანდრონიკაშვილს ამხანაგობის შექმნაც კი უცდია აბრეშუმის გამოყვანის საქმეში. იგი შეამხანაგებია რამდენიმე მებატონეს, რომელთაც მისთვის უნდა მოწოდებინათ მუშახელა, ხოლო ფინანსიური ხარჯები კი თვითონ უნდა ეწარმოებინა. მაგრამ ეს საქმე ვერ განხორციელებულა და შექმნილი ამხანაგობა ორი წლის შემდეგ დაშლილა. დაშლის მიზეზი კომპანიის წევრებს შორის უთანხმოება ყოფილა.

გაერთიანება საერთო საქმისათვის უცდია დიმიტრი აფხაზსაც და ანდრონიკაშვილსაც. დიმიტრი აფხაზი საცდელი ფერმის გასაშენებ-

14 ფ. 240, ს. 1287.

15 გაჩ. „გუთნის დედა“, 1862, № 22.

ლად სთავაზობდა თავის მიწებს, რომელიც ალაზნის გაღმა მდებარეობდა, სამაგიეროდ მას უნდა მიეღო თავისი ქონების საზღაურად 9 500 მან. ეს თანხა დიმიტრი აფხაზს უნდა მიეღო პრიკაზიდან, საღაც ანდრონიკაშვილის მამული იყო დაგირავებული. ამ ფულით პირებდნენ ისინი საქმის დაწყებას, მაგრამ პრიკაზი აგვიანებდა მის გაცემას და დიმიტრი აფხაზი სთხოვდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სამართველოს უფროსს კოლუბაკინს პრიკაზიდან ფულის მიღებამდე მიეცა ანდრონიკაშვილისათვის სოფლის მეურნეობის და მრეწველობის განვითარებისათვის არსებული ფონდიდან 3000 მან. 1862 წლის ივნისისათვის დიმიტრი აფხაზს, როგორც ანდრონიკაშვილის რწმუნებულ პირს, პრიკაზიდან მიუღია სესხი¹⁶; (ეს ის დიმიტრი აფხაზია, რომელმაც მამა მისის — დავით აფხაზის წამოწყებული საქმე აღორძინა).

ოზურგეთის მაზრაში ანტონ ლაზარეს ძე ნაკაშიძეს თავის 300 დღესეტინა მიწაზე გაშენებული ჰქონდა მეურნეობა, სადაც მას მოპყავ-
და ბოსტნეული, თამბაქო და ბამბა, მოშენებული ჰყავდა ღორები.
ბოსტანს ეკავა 8 დღესეტინა. აქ ითესებოდა როგორც საზამთრო, ისე
საზაფხულო ბოსტნეული. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა
7 თეთრთავიან კოლომნის კომბოსტოს მოყვანას, რომელსაც რუსეთი-
დან ჩამოსული მებოსტნე უვლიდა. თამბაქოს პლანტაციებს ეჭირა 4
დღესეტინა მიწის ფართობი, რომელზედაც გაშენებული იყო თურქი
სპეციალისტის მიერ თურქული ჯიშის თმბაქო. საშუალო მოსავლია-
ნობა თამბაქოს უდრიდა 200 ფუთს. თამბაქოს პლანტაციების გვე-
რდით 2 დღესეტინაზე გაშენებული იყო ამერიკული ჯიშის ბამბა, რო-
მელიც ნაკლებმოსავლიანი გამოდგა.

ნაკაშიძეს ოზურგეთიდან 2 ვერსის დაშორებით მოთავსებული ჰქონდა საღორე, რომელშიც 100 სული ღორი იკვებებოდა. მათი მოვლა-შენახვის შესახებ ნაკაშიძეს მიწერ-მოწერა ჰქონდა ციმერმანის ეკონომიურ საზოგადოებასთან, რომლისგანაც საჭირო ჩემპა-რიგებებს იღებდა. როგორც თვითონ შენიშნავდა, თითოეული ღორის წონა კარგი მოვლის შედეგად 8 ფუთს აღწევდა.

აღწერს რა თავის მეურნეობაში წარმოებულ დარგებსა და მათ სარგებლობას ქვეყნისათვის, ნაკაშიდე აღნიშნავს, რომ მისი მეურნეობა გაცილებით მაღლა დგას სხვა ადგილობრივ მემაულეთა მეურნეობებზე. რომ მეურნეობაში ყველა სამუშაო (მცირე გამონაჯლისის გარდა) დაქირავებული მუშახელის გამოყენებით სრულდება¹⁷. ამ

16 бъса, № 238, л. № 119.

17 სიც, ფ. 240, საქ. № 1529.

2. 6. နာဂရုဏ်ဝါဒဝါလီ



დოკომენტის, 1865 წლისთვის, რეფორმის შედეგად უკვე ამაზემატებ
დაქირავებული მუშახელი. შემდეგში მეურნეობის განვითარების
თვალსაზრისით, მას სურდა სესხი მიეღო. ეს მას დასჭირდებოდა თა-
მბაქოსა და ბამბის პლანტაციების გაფართოებისათვის, სანიმუშო მე-
ბოსტენების მოწყობისა, ღორის ქონისა და შებოლილი ხორცის და-
მზადებისათვის.

გარდა ზემოხამოთვლილი ღონისძიებებისა, მას სურდა ამ ფუ-
ლით შეეძინა სასოფლო-სამეურნეო მანქანები, აეგო მეურნეობისა-
თვის საჭირო შენობები, გამოეწერა თამბაქოს საუკეთესო ჯიშები, სა-
სოფლო-სამეურნეო ლიტერატურა და გასამრჩელო მიეცა სპეცია-
ლისტებისათვის. 1866 წლის აგვისტოში თავის მეურნეობის გასაუ-
მჯობესებლად მან მიიღო 3000 მან. სესხად.

უფრო დიდი მასშტაბის მეურნეობა ჰქონდა მიხეილ ნაკაშიძეს,
რომელსაც ალექსანდრე და დიმიტრი ნაკაშიძეებთან ერთად 40 დე-
სეტინა მიწა ჰქონდა. ეს მიწები მდებარეობდა შავი ზღვის სანაპი-
როს გასწვრივ, ოზურგეთის აღმოსავლეთით, გურიანთაში. აქედან
8—9 ათასი დესეტინა მიწისა გამოყენებული იყო მეურნეობის სა-
წარმოებლად, ხოლო დანარჩენი 29 ათასი დესეტინა ტყეს ეკავა. ნა-
კაშიძეს ჰყავდათ 120 კომლი გლეხი, მათვე მიწებზე ესახლა რამდე-
ნიმე კომლი ხიზანი. ნაკაშიძეებს უმეტესი ნაწილი მიწებისა გაცემუ-
ლი ჰქონდათ იჯარით.

მიხეილ ნაკაშიძის მეურნეობის აღწერაში ნათქვამია, რომ იგი
ეწეოდა თავის მეურნეობას ზღვიდან 6 ვერსის დაშორებით სოფ. სე-
ფაში, სადაც თვითონ ცხოვრობდა. მემინდვრეობის კულტურებიდან
ამ მეურნეობაში მოჰყავდათ სიმინდი, ღომი, ღობით და მცირე რაო-
დენობით ხორბალი, რომელიც ნიადაგისა და ჰავის ნესტიანობის გამო
ვერ იძლეოდა სასურველ შედეგებს. მიწის დამუშავება ხდებოდა აღ-
გილობრივი წესის მიხედვით, თოხისა და იმერული გუთნის გამოყენე-
ბით, რომელიც მიწას 2,5 ვერშოკზე ხნავდა მხოლოდ. 1860 წლისა-
თვის მეურნეობაში სიმინდს ეჭირა 4 დესეტინა, რომელშიაც დათე-
სილი იყო ღობით, 2 დესეტინა დათმობილი ჰქონდა ღომს და $1/2$ დე-
სეტინა — ხორბალს. აღნიშნული ნათესების მოსავალი ძალიან უმნი-
შვნელო ყოფილი და ამას მეურნეობის მნახველი იმას მიაწერს, რომ
იჯარით გაცემულ მიწების სანაცვლოდ ნატურით მიღებული გადასახა-
დი ავსებდა მამულის მოთხოვნილებას ამ პროდუქტებზე, რომელსაც
ის იმდენს იღებდა, რომ გასაყიდათაც კი გაქვინდა. ამიტომაც არ იყო
დაინტერესებული მისი დათესვითა და მოსავლიანობით. ასე, მაგალი-
თად, სიმინდი იმდენი შემოდიოდა იჯარით გაცემული მიწებიდან, რომ
ჰყიდდა მას.

მეურნეობაში ჩაყრილი იყო 12 დესეტ. ვაზი, რომელიც ყოველ-
წლიურად 2000 ვეღრო ღვინოს აძლევდა მეურნეს. ვენახში მოიპოვე-
ბოდ ადგილობრივი ჯიშის ვაზები, რომელთაგან ყველაზე საუკეთე-
სო იყო ჩხავერი, აფხაზური, ბერძნული, ჩხუში, ათინაური და სამარ-
ხი. ღვინის დამზადება წარმოებდა იმერული წესის მიხედვით, ბო-
სტანს ეკავა სულ ერთი დესეტინა. აქ დათესილი იყო ჭარხალი, კა-
რტოფილი, ხახვი, პამიდორი, ბადრიფანი და ავრეთვე საჭმლის შესაზა-
ვებელი მწვანილი. აქვე საცდელად დათესა მან კომბოსტო, რომელსაც
ჭია გაუჩნდა, მაგრამ მოსავალი მაინც კარგი მოვიდა 1500 ფუთის რა-
ოდნენბით. $\frac{1}{4}$ დესეტინაზე მოწეული თამბაქოს მოსავალი უფრო
მნიშვნელოვანი იყო, თითოეულ ბუჩქზე 3 გირვანქა თუთუნი მოვიდა.
ნაკაშიძეს მეურნეობაში ჰქონდა აგრეთვე ხეხილის ბალი, სადაც მო-
ჰყავდა ვაშლი, მსხალი, ატამი, ბროწეული და სხვ., მაგრამ მოუვლე-
ლობის გამო უმნიშვნელო იყო მათი მოსავალი¹⁸.

რაც შეეხება მესაქონლეობას, ნაკაშიძეს მეურნეობაში ჰყავდა 55 ძროხა, 20 ხარი, 12 ხბო და 40-მდე სამუშაო საქონელი. საქონე-
ლი მთელი წლის განმავლობაში იმყოფებოდა ღია ცის ქვეშ, მას არ
გააჩნდა საზამთრო სადგომები. ზაფხულობით საქონელი მიჰყავდათ
საძოვრებზე, ხოლო ზამთრობით მიერეკებოდნენ ტყეში. მოუვლე-
ლობის გამო იგი ნაკლებ პროდუქტიული იყო. ასე, მაგალითად, ყვე-
ლაზე კარგი ძროხა იძლეოდა 3—4 კვარტ რძეს, რომლისგან ამზადე-
ბლენენ კარაქსა და იმერულ ყველს.

ლორების რიცხვი აღწევდა 80-მდე, 18 იყო ინგლისური ჯიშისა,
დანარჩენები ადგილობრივი.

მეაბრეშუმეობის მხრივ მეურნეობაში აღსანიშნავი იყო ის, რომ
აქ უმეტესად გამოჰყავდათ ოეთრი აბრეშუმი. იმ წელს (1860) ნაკა-
შიძეს დაუმზადებია აბრეშუმის ჭიის თესლი 5 გირვანქის რაოდენო-
ბით და გაუყიდია საზღვარგარეთ გირვანქა 20 მან. აღსანიშნავია ის,
რომ ევროპაში ამ ღროს უკვე გავრცელებული იყო აბრეშუმის ჭიის
ავაღმყოფობა, რომელიც არ იყო შემოსული ჭერ ამიერკავკასიის
ფარგლებში და ქედან გადატანილი ჭიის თესლი გასაღებას პოულო-
ბდა ევროპაში. ტყეში ასესბული სხვადასხვა ჯიშის ხეებისაგან (მუხა,
წიფელი, ცაცხვი, წაბლი, იფანი, თხმელა და სხვ.) დამზადებული მა-
სალა იგზავნებოდა გასაყიდათ საზღვარგარეთ. ტყის ფუტკრისაგან
მზადდებოდა სხვადასხვა ხარისხის თაფლი, რომელთაგან ყველაზე
მაღალი ხარისხის იყო განთქმული კრიპუჭი, ცნობილი თავისი კრის-
ტალური სისუფთავითა და გამჭვირვალობით.

¹⁸ სცია, ფ. 240, საქ. 1529.

ნაკაშიძეს უცდია ფუტკრის მოშინაურება, სახლში გადმოჟენერირდა, მაგრამ თაფლის ხარისხიანობა ამით არ შეცვლილა. მეურნეობაში იყო აგრეთვე რამდენიმე ათასი კაპლის ხე. ფუთი კაკალი იყიდებოდა 70—80 კაბ. ხოლო ფუთი კაპლის ხის მასალა — 25—35 კაბ.

ამავე მეურნეობაში მოიპოვებოდა ნავთი, რომელიც 2 ფუტის სიმაღლიდან ამოდიოდა, საამისოდ გათხრილი იყო ნავთის ჭაბურღილები, რომლიდანაც ერთი დღე-ღამის განმავლობაში ამოჰერნდათ 30 გირვანქა ნავთი, მაგრამ ამ საქმეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მათი მფლობელები.

ზემოდასახელებული მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით, მიხეილ ნაკაშიძე ითხოვდა სესხს, რომელიც მას დასჭირდებოდა სამხრეთ რუსეთის ძროხების ჯიშის და მეწველი კამეჩების შესაძენად, რომ შემდეგში დამზადებული რძის პროდუქტები საქმარისი ყოფილიყო როგორც ადგილზე, ისე საზღვრებარეთ გასატანად. მას სურდა 50 სული მერინოსის ჯიშის ცხვრისა და 1000 სული ინგლისური ჯიშის ღორის შეძენა, რათა მერინოსის მატყლი და ღორის ხორცისაგან დამზადებული პროდუქტია გაეტანა საზღვრაობარეთ გასაყიდათ. მისი მიზანი იყო მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის გაუმჯობესება. მეაბრეშუმეობის გაუმჯობესებისათვის მას საჭიროდ მიაჩნდა აბრეშუმის ჭიის თესლის გამოწერა საფრანგეთიდან და იტალიიდან. ყოველივე ამასთან ერთად ნაკაშიძეს მეურნეობის უკეთ წარმოებისათვის სურდა აგრონომის ჩამოყვანა უცხოეთიდან.

ნაკაშიძის მეურნეობის დათვალიერებისა და აღწერის შემდეგ სპასკი აღნიშნავდა, რომ მეურნეობა არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეურნეს უნდა გასწეოდა დახმარება და მიეწოდებინათ მისთვის სესხი, მხოლოდ იმ პირობით, რომ იგი მას არ გაფლანგავდა და საქმის ცოდნითა და საჭიროებით მოიხმარდა. მისი აზრით, საჭირი არ იყო ნაკაშიძეს გამოწერა სხვა ჯიშის საქონელი. მას საქმარისად მიაჩნდა ადგილობრივი, მეურნეობაში მყოფი საქონლის ყოლა, თუკი ის კარგად მოვლილი იქნებოდა. ამისათვის საქონლისათვის უნდა აეშენებინათ საზამთრო სადგომები, გაეუმჯობესებინათ საკვები, რაც სასურველ შედეგს მოუტანდა მეურნეს, მერინოსის ჯიშის ცხვრის გამოწერას კი სპასკი სულ ზედმეტად თვლიდა ადგილობრივი პირობების შეუსაბამობის გამო და არ უჩევდა ნაკაშიძეს მის შეძენას, რაღაც ნაკლებ სარგებლიანობას მოუტანდა; უფრო მიზანშეწონილი იყო, მისი აზრით, ღორების ჯიშის გაუმჯობესება ადგილობრივი რესურსებით. მეურნეობაში მყოფი ღორების რაოდენობა საქმარისი იყო იმისათვის, რომ გამრავლებულიყო მათი რიცხვი და კარგი მოვლის შედეგად ხარისხიანობაც გაუმ-



ჯობესებულიყო. ასეთივე რჩევას აძლევდა სპასკი მეურნეობის შესაქმნელი უცნდელობისა და მისი აზრით, სულ არ იყო აუცილებელი აბრეუმის ჭიის თესლების საზღვარგარეთიდან გამოწერა, რადგან იქ დაავადება იყო გავრცელებული და ავადმყოფობის შემოტანის გარდა მის შეძენას არავითარი სარგებლობა არ ექნებოდა. მას უფრო მიზანშეწონილად მიაჩნდა ადგილობრივი რესურსებით დაკმაყოფილება; მხოლოდ აუცილებელი იყო მისი გაუმჯობესება, იმისათვის რომ მეაბრეუმეობა უფრო სარგებლიანი ყოფილიყო.

მეურნეობაში გამოყენებული იყო ყმაგლებთა და ხიზნების შრომა. მეურნეობაში ყოველდღურად მუშაობდა 16 მუშა და მათი კვება მემშულის ხარჯზე წარმოებდა.

აგრძნომ სპასკის მოხსენების საფუძველზე ბარონ ნიკოლაი არ იყო თანახმა მიეცა სესხი ნაკაშიძისათვის. მისი აზრით, საერთოდ სესხი უნდა მისცემოდა იმ პირებს, რომელთაც რაიმე სიახლე შეჰქონდათ სოფლის მეურნეობის წარმოებასა და განვითარებაში. მიუხედავად ამისა, ნაკაშიძეს 1861 წელს მისცეს სესხი 10.000 მან. რაოდენობით, რომელსაც ნაწილ-ნაწილ მიიღებდა და მეურნეობის წარმოებასა და გაუმჯობესებას მოახმარდა.

მის ცდებს უშედევოდ არ ჩაუვლია და მან 1863 წლისათვის საკმაო გაუმჯობესებანი შეიტანა თავის მეურნეობაში. 1864 წელს აგრძნომი გეევსკი ნაკაშიძის მამულის დათვალიერების შემდეგ აღნიშნავდა მეურნეობაში არსებულ სიახლეებს, რაც მდგომარეობდა ვაზის ჯიშების გამრავლებაში; ადგილობრივ ჯიშებს ნაკაშიძემ დაუმატა უცხოური ჯიშის ვაზები — მუსკატი, პერი, იზაბელა და სხვ., გაადიდა თუთის ხის პლანტაციები 1000 ხის ძირის შემატებით.

ხეხილის ბალისათვის მან სპეციალურად გამოიწერა ნერგები ყირიმიდან და სახნავი მიწა გადაახალისა ფრანგული სისტემის გუთნის საშუალებით.

მეფუტკრეობაში, სადაც მას უკვე 33 სკა ჰქონდა, გამოიყენ პროკოპოვიჩის მეთოდი და ადგილობრივ მეფუტკრესაც შეასწავლა იგი. მეაბრეუმეობისათვის მას ოსტატი ჰყავდა ჩამოყანილი ნუხიდან, რომელიც იქ გავრცელებული წესის მიხედვით აწარმოებდა ამ საქმეს. სასოფლო-სამეურნეო მანქანებიდან ნაკაშიძემ შეიძინა ორი შუმანის სისტემის გუთანი, ორი ფრანგული გუთანი, სიმინდის სარჩევი და ვაზის შემწავლელი მანქანები.

1865 წელს ივანე ხატისოვი დაწვრილებით აღწერდა მიხეილ ნაკაშიძის მეურნეობას და გულმოდგინე დაკვირვების შედეგად აღნიშნავდა მეურნეობაში არსებულ წარმატებებსა და ნაკლოვანებებს.

ამ დროისათვის აშკარად გაუმჯობესებულად გამოიყუროს მანქანის, ცხენის შესაბმელი მიწის სახვნელის გამოყენებით. ეს მანქანა პირველად ანანვებს გამოუყენებიათ თავიანთ ფერმაში, მისი ღირსება ის იყო, რომ იგი ბევრ მუშას ცვლიდა. ასეთივე მანქანა ჰქონდა ნაკაშიძეს სარეველა ბალახების მოსასპობად და ჰქონდა აგრეთვე კანესონის სისტემის მიწის შემოსაყრელი მანქანა.

მესაქონლეობაში მდგომარეობა უცვლელი დარჩა, საქონელი ძველებურად ღია ცის ქვეშ იდგა და ამიტომ ნაკლებადპროდუქტიულიც იყო.

განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ნაკაშიძე მეფუტქრეობისადმი, მას ამ დროისათვის (ე. ი. 1865 წლისათვის) უკვე პროკოპვიჩის წესით გამართული 50 სკა ჰყავს და ამდენივე — ადგილობრივი, იმერული წესით.

მიუხედავად ნაკაშიძის დიდი მონდომებისა და შრომისა, რომელსაც ის თავის მეუღლესთან ერთად ავლენდა აბრეშუმის წარმოების საქმეში, ამ დარგმა ვერ ჰქოვა წარმატება მის მეურნეობაში. იმ წელს სამი გირვანქა ჭიის თესლიდან არც ერთი პარკი არ მიუღია. ასეთ მოვლენას მთელს გურიაში ჰქონია ადგილი; მხოლოდ აქა-იქ შეიმჩნეოდა თურმე აბრეშუმის ჭიის პარკები, რომლებიც უხარისხონი იყვნენ თავიანთი ფორმითა და ფერით¹⁹.

ასე რომ ნაკაშიძის მეურნეობამ ვერ გაუმართლა იმედები სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას. 1864 წელს მიღებული 2000 მან. მან სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეძენასა და წისქვილების აგებასა და მუშების ხელფასზე დახარჯა. ასე ვარაუდობდა ხატისოვი, რომელიც შეშფოთებული იყო ნაკაშიძის მეურნეობის წარუმატებლობითა და მისი წარმოების მდგომარეობით; მას ვაღებში ჩავარდნა ელორდა. ნაკაშიძეს სესხიდან დარჩენოდა 1000 მან., რომელიც იმავე წელს მიიღო მან. 1869 წლისათვის მდგომარეობა უცვლელი იყო. აგრონომი გეევსკი ამის შესახებ მოახსენებდა სახელმწიფო ქონებათა პალატას²⁰.

უფრო მნიშვნელოვანი იყო სოფ. ტირქნისში (გორის მაზრა) მცხოვრებ მემამულე სულხანიშვილის მეურნეობა, რომელსაც 200 დესეტ. ფართობი ეჭირა. მეურნეობის გამართვას იგი შეუდგა 1851 წლიდან და 1865 წლისათვის ასეთი მდგომარეობა ჰქონდა: 150 დესეტ. ეთესახორბალი, 4 დესეტ. — ფეტვი, მუხულო და ცერცვი, 8 დესეტ. —

19 სცია, ფ. 241, საქ. № 12.

20 სცია, ფ. 241, საქ. № 13.

ინდიგო; ვაზი ჩაყრილი ჰქონდა 7 დესეტ.; საძოვრებიც რომლებიც ეკუთხება ხელოვნურად ირწყვებოდა, 30 დესეტ. ეჭირა და იონგას მხოლოდ 1 დესეტ.²¹

სამიწათმოქმედო იარაღებიდან მან შეიძინა შუმანის სისტემის გუთანი, მაგრამ ვერ გმოიყენა, რადგან მიწას ღრმად ვერ ხნავდა. ამიტომ სულხანიშვილი იძულებული იყო ისევ ქართული გუთანი ეხმარა. შუმანის სისტემის გუთანმა იმედი ვერც მისი შემოტანის ინიციატორს — ივ. მუხრანბატონს გაუმართლა.

ხორბლისა და სიმინდის უკეთ მოსავლიანობისათვის სულხანი-შვილმა შეიძინა ხორბლის მარცვლის საუკეთესო ჯიშები და ცდილობ-და სათანადო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შექნას. მას და სურდა მეურნეობაში ჰქონდა კარგი სალეჭი მანქანა, სიმინდის ნა-თესებისათვის ცხენის შესაბმელი სათონენი, საფუძველი და სხვ. ამი-სათვის ის არაერთხელ მიმართავდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღის დეპოს.

სულხანიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სალე-ბავი მცენარეების მოყვანასა და მის საბაზროდ დამზადებას. ამიტო-მაც ინდიგოს ნათესი თთქმის ყოველწლიურად იზრდებოდა. 1863 წ. მას ეს მცენარე 5 დღიურ სახნავშე ეთესა, ხოლო 1865 წლისათვის უკვე ინდიგოს 15 დღიური სახნავი მიწა ეკავა. გარდა ინდიგოსი, მე-ურნეობაში მოჰყავდა ალისარჩული. სავაჭრო მიზნით სთესდა იონ-ჯას, რომელსაც 4—5 დღიური მიწა ეჭირა.

ვენახს ეჭირა 7 დესეტ., რომელშიც იყო სხვადასხვა ჯიშის ვაზი: საფერავი, მსხვილმარცვალა, ბუდეშური, ხორტივალი და ადრეული. ვენახშივე იყო ჩაყრილი ხეხილი, რომელთაგან ყველაზე ბევრი ნუში და ატამი იყო (60—60 ძირი), 10 ძირი გარგარი, 10 — ალუბალი და 30 ძირი მსხალი და ვაშლი. მიწის მცირე ფართობზე მოჰყავდა ბოს-ტნეული, უმთავრესად კომბოსტო, კიტრი და სხვ. სულხანიშვილ მოჰყავდა აგრეთვე თამბაქო, როგორც ჩანს, უმნიშვნელო რაოდენო-ბით, რადგან იგი ბოსტნეულთან ერთად მოიხსენიება; თუმცა მისთვის ტრაპიზონიდან გამოწერილი ოსტატი ჰყავს.

ყველაზე მცირე ადგილი მეურნეობაში მესაქონლეობას სჭერია. მეურნეობაში ირიცხებოდა 8 უღელი სამუშაო საქონელი, 3 ძროხა და რამდენიმე ღორი.

სულხანიშვილს მეაბრეშუმეობისთვისაც უცდია მოეკიდა ხელი. ამ მიზნით მას ჰქონდა 200 ძირი თუთის ხე, მაგრამ 1865 წელს უმ-ნიშვნელო მოსავალი მიუღია — $4\frac{1}{2}$ გირვანქა პარკი.

21 სცია, ფ. 241, № 3, ხევ. 14, ფ. 20—21.



შემოსავლიანად იყო მიჩნეული სიმინდისა და ფეტვისაგან. გამოხდა, მეურნეობაში კუსტარული წესით ამზადებდნენ ყაბალახებს, რომლებსაც ოსი გლეხის ქალები აკეთებდნენ ადგილობრივი თვითიკისაგან.

ამ მეურნეობის დათვალიერების შემდეგ ხატისოვი აღნიშნავდა სულხანიშვილის დამსახურებას სოფლის მეურნეობის საქმეში და მიზანშეწონილად მიაჩნდა მისთვის სესხის მიცემა. მაგრამ იქვე მიუთითებდა მეურნეობის ზოგიერთ ნაკლებ და მისი გაუმჯობესებასა და რაციონალურად მოწყობისათვის რჩევა-დარიგებებს იძლეოდა. ხატისოვის აზრით, სულხანიშვილს საკვები მცენარეების დათესვისა და მისი საბაზროდ დამზადებისათვის ისეთი ყურადღება არ უნდა გამოეჩინა და პირველ დარგად მეურნეობისა არ უნდა მიეჩნია. უფრო სასარგებლო და მომგებიანი იქნებოდა, რომ მას ხელი მოეკიდა მერძევეობისათვის, გაუმჯობესებინა მესაქონლეობა, მარცვლეულის მეურნეობა და გაეზარდა მეცნიერება-მეღვინეობა. საჭირო იყო იმ დარგების განვითარება, რომელთა წარმოება და გაუმჯობესება შესაძლებელი იყო ადგილობრივი პირობებისა და მდგომარეობის მიხედვით; ამას დასჭირდებოდა სათანადო მანქანა-იარაღების შექმნა და მათი მეურნეობაში გამოყენება. მას სასურაველად მიაჩნდა მეურნეობის მომარაგება ვ გუთნით, ცხენის შესაბმელი სათოხნით, სიმინდისათვის მიწის შემოსაყრელი მანქანით და სხვ. მეურნეობას ჰქონდა საქმის რაციონალურად მოწყობის ყველა პირობა, რისთვისაც საჭიროდ თვლიდა მის გადახალისებას. ხატისოვს იმედი ჰქონდა, რომ სულხანიშვილი ამას შეძლებდა.

გარდა ყოველივე ზემოხსენებულისა, მეურნეობის გაუმჯობესება-ში სულხანიშვილს საქმეს გაუადვილებდა დაქირავებული მუშახელის გამოყენება, რომელიც რეფორმის შემდეგ მომრავლდა. სოფ. ტირძნისთან ახლოს მოსახლე ოსები ჩამოდიოდნენ სამუშაოდ დღეში 20—30 კაპ. ისინი უმთავრესად თოხნიდნენ (სიმინდი), თიბავდნენ და მკიდნენ. ქართველი დაქირავებული მუშა უფრო მეტს მოითხოვდა—60 კაპ. დღეში, რადგან მას სხვა უფრო მომგებიანი სამუშაო ელოდა. მას ერჩივნა გზებზე ემუშავა ტვირთის გადამზიდველად.

ხატისოვის მოხსენების საფუძველზე სულხანიშვილს სესხი მიეცა და 70-იანი წლებისათვის მის მეურნეობაში უკვე შესამჩნევი გაუმჯობესებანი მოხდა.

ქართველ მემამულეთა მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს, მამულის ახლებურ წესზე გამართვის საქმეში, არ ჩაუვლია უქმად. ეს

ცხადჰყვეს მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე წარმოდგენილი ნიღბა ექსპონატებმა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენებზე გამოჰქონდათ მხოლოდ მაღალხარისხის ნოვანი ნაწარმი.

1857 წელს თბილისში მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ქუთაისელმა მემამულემ ჩიჭავაძემ წარმოადგინა სხვადასხვა ხარისხის ხორბალი, სიმინდი, ბამბა ეგვიპტური ჯიშის, ინდიგო, იმერული გუთნის მოდელი, ბოსტნეული (ცერცვი, ხახვი, ბაღრიჭანი და სხვ.), 27 ძირი სხვადასხვა სახის ხილი, თაფლი და მისი ნაწარმი, მატყლი, სხვადასხვა ჯიშის თამბაქო (კენტუკის, ოლბანური), სიგარები, დამზადებული იმერული თუთუნისაგან, ღვინის დასაწური ხელსაწყოების მოდელები; არაყი, დამზადებული ქლიავისგან, ვაშლისაგან და სხვ.²²

1863 წლის გამოფენაზე მან ოქროს მედალი დაიმსახურა. ოქროს მედალი დაიმსახურეს სხვებმაც, რომელთა მიერ წარმოდგენილი პროდუქცია მკაფიოდ ლაპარაკობდა ქართველ მემამულე-რაციონალიზატორთა მიერ მობოვებულ წარმატებებზე. ასეთები იყვნენ ივ. მუხრანბატონი, ი. სულხანიშვილი, გიორგი ანდრონიკაშვილი, სოლომონ ანდრონიკაშვილი, გიორგი ნიკარაძე, ნაკაშიძე და სხვ.

გიორგი ანდრონიკაშვილის მიერ წარმოდგენილმა წითელმა ღვინომ და არაყმა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და მაღალი შეფასება მიიღო, როგორც საუკეთესოდ დამზადებულმა და მაღალხარისხის ნოვანიმა. სასოფლო-სამეურნეო გაზეთი აღფრთოვანებით შენიშნავდა, რომ „ისტორია აქაურის აგრონომიისა ყოველთვის პატივით მოიხსენიებს იმის სახელსა“²³. ასეთივე კარგი შეფასება მიიღო ამ ღვინომ რუსეთში მოწყობილ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სადაც აგრეთვე წარმოდგენილი იყო ივ. მუხრანბატონის, სულხანიშვილის, ჩიჭავაძის და სხვ. სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი.

მემამულური მეურნეობების გვერდით საქართველოსა და კავკასიაში მოიპოვებოდა ევროპულ წესზე გამართული ფერმები, რომელთა შემქმნელები უმთავრესად უცხოელები იყვნენ.

მარის, ფივეგის, კუჩენბახის, ოდანისა და სხვების მიერ დაარსებულმა ფერმებმა გარკვეული როლი ითამაშეს მემამულური მეურნეობების რაციონალურად მოწყობისა და გამართვის საქმეში. ივ. მუხრანბატონი არაერთხელ აღნიშნავდა მის მიწებზე დასხლებული აგრონომის ოდანის დამსახურებას თავის მეურნეობის წარმატების საქმეში.

²² ვკოცХ, 1858 წ. 1.

²³ „გუთნის დედა“, 1864, № 2.

მათ (მარს, კუჩენბახს, ოდანს და სხვ.) ჰქონდა სასოფლო-სამიერო-
ნეო ცოდნა-გამოცდილება, შეეძლოთ მეურნეობის რაციონალურობა
აწყობა-გამართვა და ადგილობრივი რესურსების გამოყენებით და
დამუშავებით შეექმნათ ევროპულ წესზე გამართული მეურნეობა.
მიუხედავათ იმისა, რომ რეფორმამდელ ხანაში რთულად იდგა მუშა-
ხელის საკითხი მემამულები და ფერმერები მიმართავდნენ დაქირა-
ვებულ შრომას. ასე მაგალითად, ოდანს თავის მეურნეობაში 20-მდე
დაქირავებული მუშა ჰყავდა.

არაკელებ მნიშვნელოვანი იყო ძმები ონანოვების ფერმა სოფ.
ვარციხეში, რომელიც მართლაც რომ მისაბაძი აღმოჩნდა დასავლეთ
საქართველოს მემამულეთათვის. ეს მეურნეობა, რომელსაც 300 დე-
სეტინა მიწის ფართობი ეჭირა, მრავალდარგვანი მეურნეობა იყო;
აქ მოჰყავდათ სიმინდი, ხორბალი, ბამბა, შესანიშნავი ხარისხის თამ-
ბაქო, იონგა და ეწეოდნენ მესაქონლეობას (მელორეობა, მეცხვარეო-
ბა), მეფრინველეობას. ამ მეურნეობის წარმოებისა და მისი პროდუქ-
ციის მაღალხარისხოვნობა გაპირობებული იყო ყველა დარგში მანქა-
ნა იარაღების რაციონალური გამოყენებით. ეს მანქანა-იარაღები
იყო: სიმინდის საფულეო (ის დღეში 100 ფუთ სიმინდს ფუნიდა),
ბამბის საწმენდი და ცხენის შესაბმელი მიწის სახენელი, რომელიც
ნაკაშიძემ ამ მეურნეობაში ნახა პირველად და შემდეგ თვითონაც
გამოიყენა; მეურნეობას გააჩნდა სხვადასხვა სისტემის გუთანი, სალე-
ჭი და სათესი მანქანები, რომელთა გამოცდა ფართო გამოხმაურება-
სა და მოწონებას იმსახურებდა მოსახლეობაში. მეურნეობაში მოყვა-
ნილმა ბამბამ და თურქულმა თამბაქომ ჯილდოები დაიმსახურეს არა
მარტო ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, არამედ 1862
წლის ლონდონის გამოფენაზეც²⁴.

ზემოთ აღნიშნულ მეურნეობების განხილვიდნ ჩანს მათი კაპი-
ტალისტურ საწყისებზე გარდაქმნის ნიშნები. ამ ხანისათვის შესამ-
ჩნევია მთელი რიგი ისეთი მოვლენებისა, რომლებიც თან სდევნენ სა-
მიწათმოქმედო კაპიტალიზმის განვითარებასა და თანდათან საფუძველს
აცლიან ფეოდალურ-ბატონებურ სისტემას, ნატურალური მეურნეო-
ბის დომინანტობას.

სამიწათმოქმედო კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელია სოფლის
მეურნეობის პროდუქციის საბაზროდ დამზადება, ე. ი. მეურნეობის
ნაწარმისათვის სასაქონლო ხასიათის მიცემა. ზემოაღნიშნული მემა-
მულები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი რაოდენობით დაემზა-

²⁴ ЗКОСХ, 1863 г., გვ. 61—70.



დებინათ საბაზრო პროდუქცია: მარცვლეული, ხილი, ღვინო, ხეჭკოვანი ტყე, აბრეშუმი და სხვ. მართალია, მათი სურვილი ბევრ წინააღმდეგ გამოიყენებოდა, ზოგი მათგანის სამეურნეო საქმიანობა საერთოდ კრახით მთავრდებოდა, მაგრამ მას უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია. სსენებული მემამულეები რაციონალური მეურნეობის მოწყობის გარდებული გამოცდილების დაგროვებით, შედარებით სრულქმნილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და უახლესი აგრონომიული წესების დანერგვით მაგალითს აძლევდნენ თავიანთ თანამემამულეებს, ხელს უშესებდნენ ქვეყნის ეკონომიკის პროგრესს, მის წინსვლას. კაპიტალისტური ურთიერთობის გამარჯვებას. წარუმატებლობა, ამ მეურნეობა უმეტესობას რომ თან სდევდა, სწორედ იმ წინააღმდეგობის გამომხატველი იყო, რომელსაც ადგილი ჰქონდა საწარმოო ძალების განვითარებასა და წარმოებით ურთიერთობას შორის²⁵.

ჩვენთვის ძნელია მასალების უქონლობის გამო იმის დადგენა, თუ რა რაოდენობით მზადდებოდა ცალკეულ მეურნეობაში საბაზრო პროდუქცია, რამდენს ჰყიდდა მემამულე, ან რა შემოსავალი ჰქონდა მას. ერთი რამ ცხადია, სახელდობრ ის, რომ მემამულეს შეგნებული ჰქონდა პროდუქციის სასაქონლო წარმოების ეკონომიური მნიშვნელობა.

რეფორმამდელ მეურნეობებში მუშაობდნენ ყმა გლეხები, არც ებით დაქირავებული შრომა იყო გამორიცხული; ამ უკანასკნელის მნიშვნელობა განსაკუთრებით რეფორმის წინარე ათწლედში გაიზარდა. მემამულე-რაციონალიზატორებმა შეიგნეს მისი უპირატესობა: ყმა გლეხის შრომასთან შედარებით. მემამულეები (ბებურიშვილი, ერისთავი და სხვ.) უკმაყოფილო იყვნენ არათავისუფალი ადამიანის შრომით, მაგრამ კაპიტალის უქონლობისა და სამუშაო ძალის გამყიდველთა კონტიგენტის მცირერიცხოვნობის გამო მათ რეფორმის შემდეგაც უძნელდებოდათ დაქირავებული მუშახელის ფართოდ გამოყენება. ისინი ამის კომპენსირებას მანქანა-იარაღების დანერგვით ცდილობდნენ, მაგრამ ესეც წინააღმდეგობას აწყდებოდა, მათი გამოყენებისათვის აუცილებელი ცოდნა-გამოცდილების მქონე პირთანაკლებობის გამო.

კაპიტალიზმის განვითარება სოფლად უფრო მძიმე პირობებში მიღდინარეობდა და ბევრი სიძნელე ახლდა თან, მაგრამ ეს პროცესი

25 И. Антелава, Э. Орджоникидзе, Э. Хостария. К вопросу о генезисе капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тбилиси, 1967, стр. 63.



მაინც მიმდინარეობდა. ის გამოიხატა საბაზრო პროდუქტის აღმდეგ
რებით დიდი რაოდენობით წარმოებაში, კარჩაკეტილი, ნატურალუ-
რი მეურნეობის რღვევაში, სპეციალიზაციის გაღრმავებაში, მანქანა-
იარაღებისა და დაქირავებული შრომის გამოყენებაში. ყოველივე ამით
თანდათან შეიქმნა ყველა აუცილებელი პირობა იმისათვის, რომ მემა-
მულური მეურნეობა წარმოების კაპიტალისტურ წესზე გადასულიყო.

03266 8767016010101 0070000000

ივანეს მამის კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. 1842 წელს, მუხრანბატონთა ქონება და ყმა-მამული განაწილდა გრიგოლს, დავითს, არჩილსა და ივანეს შორის. ამათგან გრიგოლი და დავითი ბიძები იყვნენ ივანესი, ხოლო არჩილ თეიმურაზის ძე — ივანეს ბიძაშვილი. ამათ შორის განაწილებულ იქნა სახნავ-სათესი მიწები, ბალვენახები და სამოსახლო აღილები!. საძოვრები, სათიბები და ტყე მათ საერთო მფლობელობაში დარჩა, რომლითაც სარგებლობა ყველას შეეძლო, როგორც ალ. ოჩბელიანის წერილიდან ჩანს, ამის შემდეგ კიდევ მომხდარა განაწილება, ახლა უკვე ივანესა და მის ძმებს დევ კიდევ მომხდარა განაწილება, ახლა უკვე ივანესა და მის ძმებს შორის, საიდანაც ივანეს მამულის შეოცელი ნაწილი რეგბია 40 თუმ-ნის შემოსავლით². ამიერილან ივანე სულ იმის ცდაში ყოფილა, როგორმე გაედიდებინა თავისი ყმა-მამული და შემოსავალი. ამას ხელი შეუწყო იმ ამბავმა, რომ „შემებმა, გოორგიმ და მიხეილმა, მას მიჰყიდეს თავიანთი წილი ყმა-მამული, რითაც შეპმატეს თავის სახლს ძლიერება³. გარდა ამისა, ივანემ შეისყიდა თავისი ბიძის, გრიგოლის ყმა-მამული, რომელსაც ეს მამული დაგირავებული ჰქონდა „პრიკაზში“. გრიგოლ მუხრანბატონს, ივანეს ბიძას, მიწები ჰქონდა თბილისისა და გორის მაზრებში. მამულების შექნის საშუალებას ივანეს აძლევდა მის მიერ ნაყიდი და აშენებული შემოსავლიანი დუქნები გარეთუბანში და სამსახური, საიდანაც ის წარმატებას წარმატებაზე ალწევდა, ივანე მუხრანბატონის შემოსავალი ყოველწლიურად იზრდებოდა და იგი უკვე სამას ათას მანეტს უდრიდა. „მართალია, ამას დიდი კაცის შვალობაც შესწევდა, — ამბობს ალ. ოჩბელიანი, — მაგრამ უნამეტნავესი ღირსებაა ყველასათვის: ნიჭი“⁴. გრიგოლ მუხრანბატონის მამულის ღირსებაა ყველასათვის:

1 სკონ, ფ. 241, საქ. № 6.

Հայոց լուսնը, հայեցած աշխարհական պատմություն, 1859, № 10.

3 0330.

4 օլ. ռհծյլ օսեն, „Յօնարո“, 1859, № 10.

ლძს გამოხსნა ივანემ თვითონ იქისრა. ამის შესახებ ივანე მუხრან-ბატონი ხელისუფლებას თავის მოხსენებით ბარათში თხოვდა და იქვე შენიშვნავდა: „Часть имения князя Григория в чрезполосности с моими землями, а подобное чрезполосное положение таких земель чрезвычайно невыгодно и в хозяйственном отношении, даже вредно не только для помещиков, но и для крестьян“. ამიტომაც, განაგრძობს ივანე — ჩემი მზანი იყო მუხრანბატონების მიწების შესუფლა „Так что мною присобретено на торгах в приказе и куплены имения на 89 т. руб. в одном имении Мухрани“⁵.

გარდა მიწების გამოსყიდვისა და გირაფონისა, ივანე მუხრანბატონი არ ერიდებოდა მისი მამულის მოსაზღვრე სხვისი მიწების მითვისებას.

სოფიო მაღალაშვილის ქვრივი უჩივის ივანე მუხრანბატონს სოფ. თელოვანის მითვისების გამო. ისევე ჩივის ნიკოლოზ მუხრანბატონი. „თავადი ივანეს მოურავი თავისი კაცებით თავს დაესხა ნიკ. მუხრანბატონის კაცებს, სცემა მათ და გაურევა საქონელი, ხოლო მიწა კი თავადმა ივანემ დაუნაშილა სხვა გლეხებს“⁶. ეს იყო სოფელ მუხრანში. ასევე მოქმედებდა იგი გორის მაზრაში, სადაც „Пустошь под на-званием Чонгиллары загородил совсем“⁷ მაშინ როცა, ნიკოლოზ მუხრანბატონის განმარტებით, ნახევარი მას ეკუთვნოდა. დუშეთის მა-ზრაში, მთელი რიგი სოფლებისა ნიკოლოზსა და ივანეს შორის სადავო გამხდარა, მაგრამ ივანე მუხრანტაბონმა, როგორც უფრო გავლენიანმა და ძლიერმა პიროვნებამ, მოახერხა სოფლები — ჩალისთავი, მჟაღი-ჯვარი, ძალისი, ჩალისპირი და გოხა თავის მფლობელობაში მოექცია⁸. ამბავი, თთქმის ივანე მუხრანბატონი არ მოერიდა სახზინო მამულების მითვისებასაც კი. სასამართლომდე მივიდა და ივანემ, სადაც მი-წებზე გლეხებს არასწორი ჩვენების მიცემა რომ არ გამჭირებოდათ ქალამნებში თავის მამულის მიწა ჩაუყარა და დაფიცვის დროს კითხვა-ზე — თუ ვის მიწაზე დგანან გლეხები, მათ უნდა ეპასუხნათ: მუხრან-ბატონისაზე⁹.

1869 წელს ივანე მუხრანბატონი თხოვნით მიმართავდა რუსეთის ხელისუფლებას, რომლის წინაშე მას მრავალი დამსახურება და დიდი

5 სცია, ფ. 241, საქ. № 6.

6 იქვე.

7 სცია, ფ. 26, საქ. № 1771.

8 იქვე.

9 ს. ცაიშვილი, ი. მეუნარგიას წერილები, ზუგდიდის ისტ. მუზ. შრომე-ბი, თბილისი, 1947, გვ. 166.

ლევანი მიუძღვდა, ებოძებინა მისთვის მიწები — არჯევანის საძოვებლებითაც
რი ადგილები თბილისის მაზრის თრიალეთის საპრისტავოში, სადაც
მას მესაქონლეობის მეურნეობა ჰქონდა¹⁰.

ამ მიწებით სარგებლობისათვის ის იხდიდა 50 მან. (ვერცხლით)
წელიწადში მიწის ფართობი უდრიდა 1800 დესტ. და 280 საუკნის,
რომელიც უკარგისი იყო ოფიციალურად საცხოვრებლად, ისე სახნავ-სათე-
სად. მთავრობამ შეიწყნარა ივანე მუხრანბატონის თხოვნა და 1871
წელს უბოძა ივანეს მის მიერ გამოთხვევილი მიწები. გარდა ამისა,
დამსახურებისათვის მან ჯერ კიდევ 1871 წელს მიიღო მიწები ბორ-
ჩალოს მაზრაში — ემირასანში, რომელიც შემდეგ მის ბიძას გრიგოლს
გაუცვალა დიღმის მიწის ფართობში.

ამრიგად, 1850 წლიდან მოყოლებული, ივანე მუხრანბატონი და-
უცხრომლად იბრძოდა იმისათვის, რათა მუხრანბატონთა მრავლად
დანაშილებული მიწა-მამული თავის მფლობელობის ქვეშ მოექცია,
რასაც კიდეც მიაღწია. შემდეგში შექმნილი მეურნეობა დაახლოებით
35000 დესტინაზე იყო გადაჭიმული, ივანე მუხრანბატონი 1881
წლიდან შეუდგა ამ მეურნეობის საფუძვლიანად მართვას. ამ დრო-
ისათვის მას ჰქონდა მიწები თბილისის, დუშეთის, გორისა და თელ-
ვის მაზრებში.

1864 წლის დეკემბერში ივანე მუხრანბატონი თავისი მეურნეო-
ბის უკეთ წარმოებისა და გაუშვინებელისათვის რუსეთის ხელისუფ-
ლებას თხოვდა 40000 მანეთის სესხს ათი წლის ვადით. უფრო ადრე
მას აულია 220 000 მან. რომლის ნაწილი მეურნეობის მოწყობასა და
გამართვას მოახმარა. მეურნეობის ეკრიბულ წესზე მოწყობაში ივანე
მუხრანბატონს დახმარება გაუწია ფრანგმა აგრინომმა ოდანმა, რო-
მელიც მანამდე ქუთაისში სამეურნეო სკოლის ზედამხედველი იყო.
სოფ. მუხრანში გადმოსვლის შემდეგ მან აიღო მიწა მუხრანიდან 5
ვერსის დაშორებით, 12 წლის იგარით. ეს მიწა შეიცავდა 400 დესტ.
აქედან 10 დესტ. ეჭირა ვენახს, 14 დესტ.-ზე დათესილი ჰქონდა
ჭარხალი, 15 დესტ. იონგა, 20 დესტ. წარმოადგენდა ბუნებრივ სა-
ძოვანს, დანარჩენი კი ტყეს ეკავა. ფერმაში გაყვანილი იყო 5 ვერ-
სის მანძილზე სარწყავი არხები. გარდა ამისა, ფერმას ჰქონდა ბო-
სელი 1000 სული ცხვრისათვის და სარდაფები სხვადასხვა პროდუქ-
ტების შესანახავად. იქვე წარმოებდა ლუდის სახდელი ქახრნის მშენე-
ბლობა. ფერმაში გარდა ოდანისა და მისი ძმისა, მუშაობდა 39 მუშა,
რომელთა შორის იყვნენ ოფიციალური, ისე წლიურნიც. ფერმას
ჰყავდა მუშა საქონელი 19 ხარის, 3 უღელი კამეჩისა და 6 ცხენის

10 სცია, ფ. 241. საქ. № 121.

რაოდენობით. მიწა მუშავდებოდა როგორც ადგილობრივი, სუსტებული რანგეთიდან მიღებული მანქანა-იარაღებით.

ოდანის ფერმაში მთავარი იყო ჭარხლისაგან სპირტის დამზადება. ამ საქმეს ექვემდებარებოდა ფერმაში ჭარმოებული სხვა დანარჩენი საქმიანობა. ასე, მაგალითად, ლუდის გამოსახდელი ჭარხნის დაარსება მას უნდოდა იმიტომ, რომ საფუარი ჰქონდა, რაც საჭირო იყო ჭარხლის წვერის ასაღუღებლად, ამავე დროს იგი მოგებასაც პოულობდა. გასული წლის ზაფხულში, — შენიშნავს ფერმის აღმწერა სერებრიაკოვი, — ოდანს გაუყიდია 600 ვედრო ლუდი, ვედრო 90 კაპ., მომავალში ოდანს უნდოდა მიეღწია იმისათვის, რომ ჭარხალი დაეთესა 50-დესეტ. და ლუდის გამოსახდელ ჭარხნაში არსებული ნარჩენებით 300—400 სული საქონელი გამოეკვება¹¹.

ოდანსა და მის ფერმას სარგებლობა მოჰქონდათ როგორც თვით ივანე მუხრანბატონისათვის, ისე გარშემო მოსახლეობისათვის. ოდანს ჯერ კიდევ ქუთაისში ყოფნის დროს მიუქცევია ყურადღება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის. «Он первый обратил внимание на необходимость Имеретии и соседних с ней провинций в искусственных лугах и подал пример посева люцерны туземным хозяйствам»¹².

ივ. მუხრანბატონის მეურნეობაში მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქონლის მოვლასა და სასოფლო-სამეურნეო შექნებლობის ჭარმოებას, მიწის დამუშავებას, საქონლისათვის საკეთები მცენარეების დამზადებას და სხვ.

გარდა ამისა, ოდანს დაუარსებია დაწესებულება, სადაც შესაძლებელი ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთება. საამისოდ მას გამოწერილი ჰყავდა გამოცდილი ოსტატი საფრანგეთიდან. მანვე გამოიწერა გამოცდილი მებოსტნე და მებოსტნეობას მოჰკიდა ხელი. ასე რომ, ოდანის სახით ივანე მუხრანბატონს საქმე ჰქონდა მეტად გამოცდილ და მცოდნე აგრინომთან, რომელსაც შეეძლო მეურნეობის გარკვეული სისტემით მართვა და სოფლის მეურნეობის დარგების რაციონალურად მოწყობა-გამოყენებით მეურნეობის ამა თუ იმ დარგის შედეგიანი ჭარმოება. მაგრამ მარტო სურვილი გამართული მეურნეობის მოწყობისა და მისგან შემოსავლის მიღებისა არ იყო საკმარისი. ასეთი მეურნეობა დიდალ თანხას ნოქავდა და ყოველი ახალი ღონისძიება თუ გაუმჯობესება უფრო და უფრო შეტკაპიტალს მოითხოვდა, ამიტომ იყო, რომ ივანე მუხრანბატონი სთხოვდა მეფის ხელისუფლებას, მიეცა მისთვის სესხის სახით გარ-

¹¹ ЗКОСХ, 1865, № 1.

¹² სცია, ფ. 238, საქ. № 10.

კვეული რაოდენობა თანხისა, რომელიც, მისი სიტყვით, უმეტესად საჭირო იყო სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შესაძენად. მისი აზრით, მას დასჭირდებოდა 80 000 მან. აქედან — 40 000 მან. მანქანა-იარაღების შესაძენად და სპეციალისტების გამოსაწერად, სამეურნეო სკოლის ასაშენებლად, მეორე 40 000 მან. კი ნედლეულის შესაძენად, ეს უკანასკნელი მასაც მოეპოვებოდა თავის მეურნეობაში, მაგრამ ივ. მუხრანბატონი ითვალისწინებდა ალბათ სხვა პროდუქტების შეძენას, თუმცა ამის შესახებ შენიშნავს, რომ „მართალია, ნედლეული მასალითა და პროდუქტებით უზრუნველყოფილი ვარ, მაგრამ ფულადი სახსრები არ გამაჩნიაო“¹³. რუსეთის ხელისუფლებას რომ ეჭვი არ შეპარვოდა ივ. მუხრანბატონის განზრახვასა და მიზნებში, იგი მოითხოვდა გამოეგზავნათ აგრონომი, რომელიც გაეცნობოდა მის მეურნეობას. თხოვნით ბარათში ის ჩამოთვლას რა რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებსა და ცდებს სოფლის მეურნეობის გაუმჯობესების საქმეში, აღნიშნავს, რომ დაინტერესებულია ამ საქმით და მონდომებულია შექმნას სანიმუშო-სამაგალითო მეურნეობა, რისთვისაც ესპერიოდა სესხი. დიდი სურვილისა და მონდომების შედეგად ივ. მუხრანბატონმა შექმნა მეურნეობა, რომლის მთავარი დარღვის მევენახეობა-მეღვინეობის შემოსავალი 1884 წელს უდრიდა 244700 მანეთს¹⁴. 1886 წლისათვის მის სარდაფებში 50 000 ვედრო ღვინო ინახებოდა¹⁵.

ივ. მუხრანბატონის მეურნეობაში მიღებული და გამოყენებული რაციონალური სიახლენი ფართო გამოხმაურებას პოულობდა ქართველ საზოგადოებაში. ქართული პრესა სიხარულით შეხვდა სოფლის მეურნეობაში არსებულ წარმატებებშა და მიღწევებს. გაზეთი „გუთნის დედა“ აღნიშნავდა: „დიდის სიამოვნებით ვიყითხეთ წერილი გენერლის მუხრანსკისა და გამოცხადება (განმგებლობის სოფლის) დაბეჭდილი „გუთნის დედაში“, წარმატებით ხმარებისა შუმანის გუთნისა“¹⁶. მაგრამ შენიშნავს სტატიის ავტორი, შუმანის გუთნის შეძენა არც ისე იაფი ჯდება. სამაგიეროდ, მის ასამუშავებლად საგარისია ორი ან სამი უღელი ხარი.“

ივ. მუხრანბატონმა გაჩ. „კავკაზში“ დაბეჭდა სტატია ამ გუთნის სოფ. დილომში გამოცდის შესახებ, სადაც იგი შუმანის სისტემის გუთნის უპირატესობას აძლევდა ქართული გუთნის წინაშე, ვინაიდან

¹³ სცია, ფ. 240, საქ. № 1290.

¹⁴ И. М е у н а р გ и я, Виноделие Мухранского, 6. ნიკოლაძის არქივი.

¹⁵ იქვე.

¹⁶ „გუთნის დედა“, 1862 წ. იანვარი.

იგი ნაკლებგამწევ ძალას მოითხოვდა და მიწასაც უფრო ღრმად საც-და. მაგრამ მთავარი ღირსება შუმანის სისტემის გუთნისა მაიც ის იყო, რომ იგი ნაკლებგამწევ ძალას მოითხოვდა, ვიდრე ქართული; რაც შეეხება მიწის ხვნას, აქ უკვე ქართული გუთანი ჭობდა და ად-გილობრივი პირობებისათვის ის უფრო შესაფერისი იყო.

ივ. მუხრანბატონი არაერთხელ აღნიშნავდა შუმანის სისტემის გუთნის ღირსებასა და სოფ. მუხრანის მიწის მოხვნა ამ გუთნით დამა-კმაყოფილებლად მიაჩნდა, მით უფრო, რომ მუხრანში მიწა ყველაზე უფრო მკვრივი იყო შედარებით სხვა დანარჩენ აღვილებთან¹⁷. ამას-თან ერთად ეს გუთანი იაფი იყო, მისი შეძენა 38 მან. ჯდებოდა, ქარ-თულისა კი — 50 მან.

ივ. მუხრანბატონის სტატიაში შუმანის სისტემის გუთნისა და მისი საქართველოში გამოყენების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამო-იწვია გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე. მაგალითად, ე. მაღალაშვილი უარყოფითად უყურებდა უცხო სისტემის გუთნის გამოყენებას საქარ-თველოში. საქართველოს მოსახლეობასო, ამბობდა იგი, უჭირს მისი მოხმარება, მალე ფუძედება და უცოდინარობისა და სტატის უყო-ლიბის გამო შეკეთებაც კი არ შეუძლიათ¹⁸. უცხო სისტემის გუთ-ნებიდან ე. მაღალაშვილი უპირატესობას ანიჭებდა ინგლისურს, რო-მელიც იხმარებოდა მალოროსიაში და მზადდებოდა თვითონ რუსეთის ქარხნებში. მისი გამოწერა ოდესიდან თბილისში ჯდებოდა 23 მანეთი. იმავე გაზეთის ფურცლებზე ვინმე „ვ. ნ.“ ივ. მუხრანბატონის მომხრე იყო ამ საკითხში.

ივ. მუხრანბატონის წამოწყებამ თავისი შედევი გამოილო, მის მიერ შეძენილი, ხმარებული და მოწონებული გუთნის შეძენის სურ-ვილი გამოთქვა 86 მეურნემ.

გარდა გუთნისა, ივ. მუხრანბატონი იძენდა და ამოწმებდა თავის მამულში სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს. ასე, მაგალითად, მან გამოსცადა სათიბი, საკვალი, სატარებელი წისქვილი, ცხენის შესაბმელი ფოცხი და სხვ. „ეს იარაღები, ნამესტნიკის ნება დართვით წაიღო თ. ი. კ. მუხრანბატონმა თავის ფერმაზედ (რომელიც ქსნის გაღმა გაიმართა), — წერდა გაზეთი „გუთნის დედა“, — რათა იქ სცადოს თავისის ყმებითა და შემდგომ აცნობოს ქართველს საზო-გადოებას თავისი შენიშვნანი, რომელთაც იმედი გვაქვს, ღროზედ გვაცნობებს დახელოვნებული მამულის პატრონი“¹⁹.

¹⁷ „Кавказ“, 1821, № 99.

¹⁸ „Кавказ“, 1862, № 34.

¹⁹ „გუთნის დედა“, 1861.

ამ მანქანების გამოცდასთან დაკავშირებით, 1863 წელს ხსენებული გაზეთი იუწყებოდა, რომ ივ. მუხრანბატონმა მოინდომა მათი ამუშავება წყლის საშუალებით, რისთვისაც დასჭირდა ახალი არხის გაშრა და საერთოდ, დიდ სამუშაოთა ჩატარება.

„თავადი მუხრანსკის მაშინების ჩატარდა შში — წერდა სტატიის ავტორი სერებრიაკოვი — ერთი ბორბალი ატრიალებს სამს მაშინას, სალექსა, სანიავებელსა და წისქვილსა, რომელთვანაც ორი პირველი დგას ერთად და მესამე საკუთარ ოთახში, ღონე ბორბლისა ისეა გამოანგარიშებული, რომ სამთავ შეუძლიათ ერთად მუშაობა“²⁰.

ამრიგად, მუხრანბატონმა ძალ-ღონე არც იმისთვის დაიშურა, რომ სასოფლო-სამეურნეო მანქანები აემუშავებინა ცხენისა და ხარის გარეშე, წყლის ძალის საშუალებით.

ივ. მუხრანბატონის მეურნეობის შესახებ ვრცელი მონოგრაფია აქვს ვერმიშევს, მაგრამ იგი არ ეხება ამ მეურნეობის მთავარ დარგს — მელვინეობას, რომელიც, მისი აზრით, ცალკე შესწავლის მოითხოვს. ვერმიშევის მონოგრაფია წარმოადგენს მისი პრაქტიკული დაკვირვებების შედეგს, რომელსაც ის აწარმოებდა 1884 წლის ზაფხულის განმავლობაში მუხრანში ყოფნის დროს. ავტორი დაინტერესებული იყო, თავისი დაკვირვებების შედეგები გაეზიარებინა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრებისათვის.

ვერმიშევი თავდაპირველად აღწერს სოფ. მუხრანის მდებარეობას, ჰაერსა და ნიადაგს, მის ნაყოფიერებას, სარწყავ სისტემასა და ამ უკანასკნელის, როგორც სასიცოცხლო ძარღვის, მნიშვნელობას.

„უნდა ითქვას, რომ ამ სასიცოცხლო ძარღვის ფლობით — შენიშნავს იგი — მემამულე უზრუნველყოფს თავის ბატონობას მთელს დაბლობზე“²¹.

ამის შემდეგ იგი აღწერს მეურნეობის სხვადასხვა დარგს, რომელიც ექვემდებარება მევენახეობა-მეღვინეობას, როგორც წამყვან დარგს. ასეთებია: მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მერძევეობა, მებოსტნეობა და სპიტრის დამზადება. გარდა ამისა, ვერმიშევი მოვითხობს მიწების იჯარით გაცემისა და მათი დამუშავების წესების შესახებ, იძლევა საინტერესო ცნობებს დაქირავებული შრომის გამოყენებასა და მუშაობის პირობების შესახებ.

ივ. მუხრანბატონის მეურნეობაში მეტად დაბალ ღონეზე იდგა მემინდვრეობა, რაღაც მთავარი მევენახეობა-მეღვინეობა იყო და კაპიტალის მეტი ნაწილიც მას ხმარდებოდა. ამის გამო — შენიშნავს

²⁰ „გუთნის ღედა“, 1863.

²¹ X. A. Вермишев, Хозяйство кн. Багратион-Мухранского, ТКОСХ, 1885.

ვერშიშვილი — მარცვლეულის სისტემა პირველყოფილ მდგომარეობა-შიაო²². მემინდვრეობას მთელი 9000 ლესეტ. მიწიდან ეჭირა მხოლოდ 188—280 ლესეტი, აქედან ხორბალს — 150 ლესეტი, ქერს — 17,6 ლე-სეტი, ფეტვს — 6,5 ლესეტი. და სიმინდს 14,5 ლესეტი. მეურნეობაში ყველაზე უფრო განვითარებული იყო მესაქონლეობა და ნაწილობრივ რძის პროდუქტების (კარაქი, ყველი, არაუანი და სხვ.) წარმოება. ამ დარგის მთავარი მიზანი იყო ძუშა-საქონლის ყოლა, ხოლო რძესა და მის ნაწარმს ამზადებდნენ საბაზროდ და იმდენად, რამდენადაც ეს დაკავშირებული იყო მესაქონლეობასთან, საქონლის აღგილობრივი ჯიში შევარებული იყო თათრულ, ღუხაბორულ და აგრეთვე შველურ ჯიშის საქონელთან. მეურნეობაში სულ 39 უღელი მუშა-საქონელი იყო, აქედან: 54 ხარი და 14 კამეჩი. აღნიშნულის გარდა, მუხრანბა-ტონის მამულში ორიცხებოდა: 62 ცხენი, 3021 ცხვარი, 7683 საპრო-დუქტო საქონელი, აღგილობრივი ლორების ჯიში შევარებული იყო ინგლისურ ღორის ჯიშთან.

რძისა და მისი პროდუქტების დამზადების მიზანი იყო ახალი რძისა და კარაქის მიწოდება ქალაქისათვის; ეს შესაძლებელი ხდებოდა ქალაქთან სიახლოვის გამო. მაგრამ ამას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ რძე ვერ ინახებოდა კარგად ცუდი პირობების გამო. რძეს აჩერებდნენ ბოსელში და იქაური ჰაერისაგან მალე მჟავდებოდა. კა-რაქს ამზადებდნენ არაუანისაგან და არა ნაღებისაგან. მეწველი ძრო-ხების რიცხვი უდრიდა 75. ვერმიშვილი შენიშნავს — ივ. მუხრანბატონი რომ მხოლოდ რძისა და კარაქის წარმოებას ეწეოდეს, გაცილებით მეტ მოგებას ნახავდათ. რძის ნაწილი, ყველის ამოყანის შემდეგ, ეძ-ლეოდა ხბოებს, რომელთა ხარჯზე ივსებოდა ჭოგი. დიდი ყურადღება ექცეოდა მეცხვარეობას, მატყლის, ხორცის დამზადებასა და გა-ყიდვებს. ხორცი ნაწილობრივ იხმარებოდა მეურნეობის შიგნით, საჭი-როების მიხედვით.

უფრო შემოსავლიანი იყო ცოტა მოშორებული საანეულო მიწე-ბი და ტყე, სადაც ღორები იკვებებოდნენ. ყველაზე უმნიშვნელო იყო მებოსტნეობა. ბოსტნეული მზადდებოდა გასაყიდად. მეურნეო-ბის ამ დარგებს ექვემდებარეობდა პურის დამზადება, რომელიც მხო-ლოდ მეურნეობისა და მისი დარგების საჭიროებებით იყო განსაზღვ-რული. ასევე, მეურნეობაში არსებულ მოთხოვნილებებით იყო გამო-წვეული აგურის გამოწვა. მეღვინეობასთან დაკავშირებით ხდებოდა

22 X. A. ვერმიშევ, ხозяйство кн. Багратион-Мухранского, ТКОСХ. 1885.

სპირტის დამზადება. სპირტი იხმარებოდა ღვინოში შესარევად და გა-
სამაგრებლად. 2415 ფუთი ჭაჭისაგან 1883—84 წწ. 9 დღის განმავლობაში სუფ-
გაში გამოხდილ იქნა 345 ვედრო არაყი, რომლისგან მიღებული სუფ-
თა სპირტი ხმარდებოდა მეურნეობას.

საძოვრებიდან შემოსული თივა ერთი წლის განმავლობაში შე-
დგენდა 41250 ფუთს.

ამრიგად, ივ. მუხრანბატონის მეურნეობა მრავალდარგიანია, სა-
დაც წამყვანი როლი მევენახეობა-მეღვინეობას ეკუთვნის. მესაქონლე-
ობა, მემინდვრეობა, მებოსტენეობა და სხვ., რომელიც ასევე სასა-
ქონლო ხასიათს ატარებენ, ექვემდებარებიან ამ ძირითადი დარგის
წარმოებას. დამზადებული პროდუქციის ნაწილი იყიდებოდა, ნაწილი
კი მეურნეობის მოთხოვნილებასა და საჭიროებას ხმარდებოდა. მო-
ხდილი რძისაგან მეურნეობაში ამზადებლნენ ყველს, რომელსაც მუ-
შებს ურიგებდნენ საჭმელად, რძის ნაჩენები კი საქონლის საკვებად
იყო გამოყენებული. ასევე იყო ოდანის ფერმაში; ოდანი სულ იმის
ცდაში იყო, რომ არ ჰქონდა ადგილი პროდუქციის გამოუყენებლო-
ბას, აუთვისებლობას, უშედეგოდ ხარჯვას. ივ. მუხრანბატონის თვალ-
წინ ჰქონდა მაგალითი ასეთი აწყობილი მეურნეობისა და თვითონაც
აღნიშნავდა ოდანის დამსახურებას მისი მეურნეობის მოწყობა-გამარ-
თვის საქმეში.

ივ. მუხრანბატონის 9000 დესეტ. მიწიდან მის პირად სარგებლო-
ბაში იყო 1/3 ნაწილი, დანარჩენი ორი მესამედი კი გაცემული ჰქონ-
და იჯარით, უმეტესად მახლობელ სოფლის გლეხებზე სხვადასხვა პი-
რობების საფუძველზე. მიწების გაცემა, როგორც შენიშნავს ვერმიშე-
ვი, გამოწვეული იყო, ჯერ ერთი, მამულების დაქსაქსულობით და
ერთმანეთისაგან დაშორებით და მეორე, საიჯარო გადასახადის გადი-
დებით, რომელიც გამოიწვია რეფორმის შემდეგ გლეხობის უმიწოდ
დარჩენას ან მიწის უმნიშვნელო რაოდენობით მიღებამ.

ლენინი მემამულის მიერ მიწის იჯარით გაცემას ასე ხსნიდა, რომ
„ხან ეს არის მეურნეობის გაცემა სხვა პირთათვის და სამაგიეროდ
რენტის მიღება, ხან კი არის საკუთარი მეურნეობის წარმართვის წე-
სი, მუშახელით მამულის უზრუნველყოფის საშუალება“²³. ეს უკა-
ნასკნელი შეეხება სწორედ ივ. მუხრანბატონის, რომელიც ამ მიზნით
აძლევდა იჯარით მიწებს გლეხებს, რომ მას იაფი, მაგრამ უხარისხო
მუშა ხელი მიეღო. რაც შეეხება გლეხების მაერ მიწების იჯარით
აღებას, ეს იყო „გაჭირვებით გამოწვეული გარიგება“²⁴.

23 ლენინი, თხ., ტ. III, გვ. 218.

24 იქვე.



აქ იყო სწორედ ის მოვლენები, რომელიც ახასიათებდა გარემოშია
ვალ ეპოქას, ე. ი. შრომა-მიგების სისტემის გვერდით არსებობდა კა-
პიტალისტური სისტემა. „დასახელებული სისტემები, — შენიშვნას
ლენინი, — სინამდვილეში სრულიად სხვადასხვანაირად და გასაოც-
რად გადაეხლართებიან ხოლმე ერთმანეთს; მრავალ სამამულო მეურ-
ნეობაში ორივე სისტემა შეერთებულია და შეფარდებულია სხვადა-
სხვა სამეურნეო სამუშაოსთან“²⁵.

ჩვენს მიერ განხილულ მეურნეობაში, არსებობდა როგორც შრო-
მამიგების, ისე კაპიტალისტური სისტემა, ანდა ორივე ერთად. მიწის
იჯარით გაცემის სანაცვლოდ ივ. მუხრანბატონის მეურნეობაში გლე-
ხებს ევალებოდათ სხვადასხვა სამუშაოების შესრულება, გუთნეუ-
ლის გამოყვანა, ვაზების გასხვლა, თიბვის დროს სამუშაოდ გამოსვლა
და სხვ. გარდა ამისა, იყო აგრეთვე ნატურით გადასახადი, რომელსაც
გლეხი მემამულეს აძლევდა მიწის სარგებლობის სანაცვლოდ, ეს
ნატურით გადასახადი იყო როგორ სანახევრო, ისე მეოთხედი. ეს
დამოკიდებული იყო ხელშეკრულების პირობებზე.

მიწების გაცემა ხდებოდა ნაკვეთებად ნახევარი დესეტინიდან 20
დღეს.-მდე. ეკრმიშევი შენიშვნას, რომ მიწები ეძლეოდათ მიწამოქ-
მედ პირებს და არა მსხვილ მოიჯარებს, როგორც ხდებოდა რუსეთ-
ში, სადაც მოიჯარები თავის მხრივ კიდევ გასცემდნენ იჯარით მი-
წას, რასაკვირველია, უფრო მეტ ფასად. საქართველოში ეს არ ხდე-
ბოდა, რადგან მიწების იჯარით გაცემის მიზანი იყო სამუშაო ძალის
მიღება. საიგარო ვადის ხანგრძლივობა. იყო ერთი წელი, იგი ყოველ-
წლიურად ახლდებოდა. მიწით სარგებლობისათვის მისი მომხმარებე-
ლი იხდიდა ნატურით გადასახადს. საიგარო გადასახადის ღირებულე-
ბა დამოკიდებული იყო სარგებლობის სახეობაზე, მიწის სიშორე თუ
სიახლოებები სარწყავ არხებთან, თვით ნიადაგის ხარისხსა და მოიჯა-
რის მეტ თუ ნაკლებ საჭიროებაზე. მიწით სარგებლობისათვის ნატუ-
რით გადასახადი იყო სანახევრო და მეოთხედი. სიმინდის დასათვალი
გაცემულ მიწას მემამულე მონაცვდა და დათესდა თავისი ხარჯებით
და მერე გადასცემდა მოიჯარეს იმ პირობით, რომ იგი 3-ჯერ მორ-
წყავდა და ორჯერ გათოხნიდა. მოსავლის ნახევარს მოიჯარე ღებუ-
ლობდა ტაროების სახით. ეკრმიშევს გამოანგარიშებული აქვს, თუ რა
მოგებას პოულობდა ტაროებით მემამულე თითოეულ დესეტინაზე.
ერთ დესეტინაზე მოდიოდა 140 ფუთი სიმინდი, აქედან 70 ფუთი
ეკუთვნობა მემამულეს. ერთი ფუთი სიმინდი ღირდა — 60 კაბ. 70
ფუთი — 42 მან. სიმინდის ფუჩეჩისა და ჩალის ჩაუთვლელად. აქე-

²⁵ ლენინი, თხზ., ტ. III, გვ. 211.

დან გამოირიცხებოდა მემამულის მიერ გაწეული ხარჯები; მიწის
ხენისათვის — 10 მან., თესლისათვის — 1 მან. 20 კაპ., ოსლის მიწის ფრთხილი
დაფარვა (ვადელკა) — 1 მან. სიმინდის მოზიდვა — 3 მან., და დამარ-
ცვლა — 2 მან. 80 კაპ., სულ 18 მან. მემამულეს რჩებოდა 24 მან.
სუფთა მოგება ერთ დესეტინაზე (42—18—24). სხვა პირობები ჰქონ-
და მოურწყავი მიწების გაცემას. აქ, ამ მიწების გაცემის დროს, მე-
მამულე მოითხოვდა შრომითი ბეგარის შესრულებას. მაგალითად, ვა-
ზის გასხვლას, თიბვის დროს დახმარებას და სხვ. იჯარით გაიცემოდა
აგრეთვე საბოსტნე მიწები და ის ადგილები, რომლებიც ვაზებს შო-
რის იყო მოთავსებული. ვაზის გათოხვნის პერიოდში ამ ადგილებს
იყენებდნენ საბოსტნე მიწებად (ვ გირ იქ პერეკოპკი), საბოსტნე მი-
წები გაიცემოდა სანახევროდ და აგრეთვე ფულზე. დესეტინა ღირდა
20 მან. ფულით იჯარის შემთხვევაში მოიგარე გადასახადის ნაწილს,
იხდიდა ხელშექრულების დადების დროს, ხოლო დანარჩენს — პირ-
ველი გათოხვნისა და ბოსტნეულის აღების დროს. გარდა ამისა, მოი-
გარის მოვალეობა იყო წესრიგში ჰქონდა სარწყავი არხები, რომ-
ლითაც სარგებლობდნენ მემამულე და მოიგარე, ეს თავის მხრივ, მე-
მამულეს აძლევდა 300—400 მანეთის ეკონომიას. ვაზებს შორის მდე-
ბარე ადგილების საბოსტნე მიწებად გაცემისას მოიგარე გაზაფხული-
დან შემოდგომამდე იღებდა ხარჯს მემამულისაგან, როგორც თავის-
თვის, ისე მუშებისათვის, მაგრამ წლის ბოლოს, როცა ის მოსავალს
(ბოსტნეულს) გაყიდდა, მოიგარეს ნახევარი ნაწილიდან მემამულე
გამოუქვითავდა 3 მან. თითოეულ მუშაზე. მუშები იყვნენ უმთავრე-
სად დასავ. საქართველოდან, განსაკუთრებით რაჭიდან.

რაც შეეხება საძოვრების იჯარით გაცემას, ეს არ ხდებოდა; მხო-
ლოდ სოფ. მუხრანის მოსახლეობას ჰქონდა უფლება ეძოვებინა თა-
ვისი საქონელი მემამულის საძოვრებზე იმ პირობით, რომ მიწის ხენის
დროს ისინი მასში მონაწილეობას მიიღებდნენ (1884 წ. 14 გუთანი
გამოსულა)²⁶. ახლო-მახლო მყოფი საძოვრებით სარგებლობდნენ ამ-
გლეხები და მომთაბარე მეგოგები, რომლებიც ერთიანდებოდნენ ამ-
ხანაგობებად და ქირაობდნენ ფარეხებს. თითოეული ასეთი ფარეხით
სარგებლობისათვის მეგოგები იხდიდნენ 12—40 მანეთამდე, ფარე-
ხის ფართობის მიხედვით. გარდა ამისა, კიდევ 3 ცხვარი უნდა მიე-
ცათ მფლობელის სასარგებლოდ.

ივ. მუხრანბატონის მეურნეობაში იყვნენ როგორც დროებით-
ვალდებულნი, ისე დაქირავებული მუშები. ეს უკანასკნელნი გასამრ-
ჩელოს იღებდნენ ფულით. დროებითვალდებულნი, გარდა ნატურით

26 X. A. В е р м и ш е в, დასახ. შრომა.



გადასახადისა, ასრულებდნენ აგრეთვე შრომით ბეგარასაც, კულტურული ვებული მუშები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე მოსულის: თბილისიდან, სპარსეთიდან, თბილისიდან მოსული მუშები იყვნენ უმთავრესად წყობიდან გამოსული ჭარისკაცები, ლაქიები, მზარეულები, მეტლები და სხვ., ეს იგივე გლეხები არიან, რომლებიც უმიწოდამ აიძულა ქალაქიდ წასულიყვნენ სამუშაოს საძებნელად. მაგრამ სოფელთან კავშირი მთლად არ გაუწყვეტიათ ჯერ კიდევ ადგილობრივი მუშები ყოველგვარ სამუშაოს ასრულებდნენ გარდა თიბვისა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ქალებიც, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით. მოსულ მუშაოს რიცხვებში იყვნენ აგრეთვე აისორები, სპარსელები და სომხები, რომლებიც თავიანთ სამშობლოში მიწათმოქმედებას ეწეოდნენ, ამიტომაც სარგებლობდნენ შრომისუნარიან და შრომის მოყვარე მუშების რეპუტაციით. სამუშაოდ ჩამოდიოდნენ აგრეთვე მთიდან ხევსურები და მთიელები. ხევსურები მხოლოდ მეტი დროს იყვნენ და შემდეგ ისევ ბრუნდებოდნენ. მთიულები კი ყურძნის მოწევამდე და ღვინის დაყენებამდე რჩებოდნენ. იყვნენ ისეთი დაქირავებული მუშებიც, რომლებიც გასამრჯელოს ნატურით იღებდნენ (თ. ჩ. იზდოლის რაბочие), სიმინდის, პურისა და ყურძნის მოსავალს იღებდნენ სანახევროდ სხვადასხვა პირობების საფუძველზე. სამუშაოს მეტ ნაწილს, როგორც ასკვნის ვერმიშევი, ასრულებდნენ დროებითვალდებული გლეხები, მაგრამ იყო სამუშაოებიც, რომელსაც მხოლოდ დაქირავებული მუშები ეწეოდნენ.

დაქირავებული მუშები იყვნენ როგორც წლიური, ისე დღიური და თვიურნიც. მაგალითად, ღვინის დაყენების დროს მუშებს ქირაობდნენ თვეობით, თიბვის დროს კი — დღიურად. მთიბავი იღებდა 1 მან., ხარჯი მემამულისა იყო. თვიური მუშების ხელფასი სხვადასხვა იყო: ზამთრობით — 5 მან. ზაფხულობით — 7—6 მან., წლიური მუშებიც ასევე სხვადასხვა სახის იყვნენ. უბრალო წლიური მუშას ეძლეოდა 30 მან. — 70 მან-მდე წელიწადში, ხოლო სპეციალისტებს — ექვემდებულისხმებოდნენ მხვნელები, მწყემსები და მებოსტნეები — 100—200 მანეთმდის.

საველე მუშაობა იწყებოდა გათენებისას და გრძელდებოდა მზის ჩასვლამდის. მთელი სამუშაო დღე უდრიდა 14 საათს, რომლის განმავლობაში ისვენებდნენ სამჯერ. ამას უნდებოდა ორნახევარი საათი. სამუშაო დღის განმავლობაში მუშები სამჯერ იღებდნენ არაყს და ცოტა გაუმჯობესებულ საჭმელს, რომელშიც შედიოდა ხორცი. მათი საჭმელი, შენიშნავს ვერმიშევი, გამოირჩეოდა ერთფეროვნებითა და სიმჭლევით. რაც შეეხებოდა მუშების ცხოვრების პირობებს, ის იყო

მკაში იყვნენ როგორც დროებითვალდებული, ისე დაქირავებულ-
ნი, რომლებიც დღეში იღებდნენ 60 კაპივიდან — 1 მანეთამდის, ამა-
ში გამოირიცხებოდა საშმლის ფასი 18 — 23 კაპ., ე. ი. ხელშე რჩე-
ბოდათ 42—77 კაპ. ზამთრობით ქირაობდნენ მუშებს სხვადასხვა სა-
მუშაოს შესასრულებლად ვენახში, მუშებს დღიურად აძლევდნენ 20—
25 კაპ. უფრო მცოდნე მუშებს, ვაზის გამსხვლელებს 40 კაპ. დღეში.

მწყემსი წელიწადში იღებდა 120 მან. შეეძლო ჰყოლოდა ორი
მუშა და ერთიც ნახევარმუშა (полурабочий). თვითონ მწყემსი და
მისი მუშები იღებდნენ 4 ფუთ ხორბალს. მწყემსებს შეეძლოთ ჰყო-
ლოდათ საძოვრებზე 25 სული სხვისი საქონელი, რაც მას აძლევდა
მოგების საშუალებას მთელი წლის განმავლობაში, რადგან ერთი თავი
საქონლისათვის იღებდა 6 მან.

დაქირავებული შრომა ყველაზე ნაკლებად გამოყენებული იყო
მიწის ხენაში. აქ ერთ საინტერესო ფაქტან გვაქვს საქმე. ვერმიშვი
შენიშნავს, რომ ინგლისური გუთნის შემოლებამ გააადვილა ხენა-
თესვის საქმე. მაგრამ ივ. მუხრანბატონი მაინც ქართულ გუთანს ამ-
ჯობინებდა და მიწის ხენაშიც მას იყენებდა.

ინგლისური გუთნის უპირატესობა იყო ის, რომ ნაკლებგამწევ
ძალას მოითხოვდა, ვიდრე ქართული გუთანი. ქართულ გუთანს 8—12
უღელი ხარი სჭირდებოდა, მაშინ როცა, ინგლისური გუთნისათვის 4
უღელი ხარიც საკმარისი იყო. ვერმიშვის გამოანგარიშებით ქართუ-
ლი გუთნით 1 დღესტინა მიწის მოხენა ჭდებოდა 5 მან. 10 კაპ., ხოლო
ინგლისური გუთნით — 2 მან. 90 კაპ. მაგრამ ამ გამოანგარიშებით გა-
თვალისწინებულია გუთნის გამართვა, რომელშიც იგულისხმებოდა
საქონელი, გუთნის დედა; მეხრეები და მათზე გწეული ხარჯი. ასე
მაგალითად, ინგლისური გუთნის ღირებულებაში შედიოდა:

4 უღელი ხარი (1 უღელი 40 კაპ.)	— 1 მან. 60 კაპ.
1 გუთნის დედა	— 60 კაპ.
2 მეხრე	— 40 კაპ.
ხარჯი	— 30 კაპ.

2 მან. 90 კაპ.

ასეთივე გამოანგარიშებით ქართული გუთანი უფრო ძვირი ჭდე-
ბოდა, მაგრამ მას აიაფებდა დროებითვალდებული გლეხთა შრომა,



მაშინ როცა, ინგლისური გუთანი ძეირდებოდა, დაქირავებული მარტინი ხარჯის გამოყენების გამო, რაღაც ამის გარეშე ვერ ხერხდებოდა მისი ხმარება. ამიტომაც ივ. მუხრანბატონი მეტ უპირატესობას ანიჭებდა ქართულ გუთანს, რომლის გამოყენების დროს გლეხი არაფერს არ იღებდა, გარდა იმისა, რომ მემამულე ერთ გუთანზე აძლევდა მას 50—70 კაპ-მდე. ასე რომ, 1 დესეტ. უჭდებოდა 1—2 მან. მაშინ, როცა ინგლისური გუთნით 1 დესეტ. 6 მან.-მდე ჭდებოდა. ამიტომაც არის, შენიშვნავს ვერმიშევი, რომ მემამულე ამჯობინებს ქართულს გუთნის გამოყენებას, თუმცა იგი მდარეა და ნაკლებარისხიანი, მაგრამ, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ქართულ გუთანს თავისი ღირსებაც ჰქონდა და მეტად მნიშვნელოვანი. ქართული გუთანი მიწას ხნავდა ღრმად და შეიძლება ივ. მუხრანბატონი ამასაც ითვალისწინებდა.

აქედან ცხადია, რომ მემამულეს ეძვირებოდა დაქირავებული მუშახელის გამოყენება მეურნეობაში და ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად ყოფილიყო იგი გამოყენებული. მიწების იჯარით გაცემა ძირითადად იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ მიეღონ იაფი მუშახელი. რაც შეეხება ღროებითვალდებულ გლეხთა შრომას, ეს იყო უხარისხოდა ნაკლებსარგებლიანი, ეს კი იწვევდა ჩამორჩენას და განუვითარებლობას სოფლის მეურნეობაში.

დაქირავებული შრომა ყველაზე მეტად გამოყენებული იყო თიბვაში, რაც მანქანების ხმარების საშუალებას იძლეოდა. აქ შედარებით იაფი ჭდებოდა მუშახელი და ამით შეიძლება ავხსნათ მისი თიბვაში გამოყენება. მანქანებს ამუშავებდნენ ცხენის საშუალებით, რაღაც ხარ-კამეჩი გამოუსადევარი იყო მათი ნელი მოძრაობის გამო. ვერმიშევს ყურადღების გარეშე არ რჩება ღროებითვალდებულ გლეხთა შრომის ნაყოფიერების ნაკლოვანება დაქირავებულ შრომასთან შედარებით. გლეხი ცდილობს, შენიშვნავს ვერმიშევი, რაც შეიძლება ჩქარა გაათავოს სამუშაო, რომლის ხარისხიანობაც მას აინუშიაც არ მოსდის. ეს გასაგებიცაა, განაგრძობს იგი — გლეხი იძულებულია მემამულესთან იმუშაოს მაშინ, როცა თავისი ბური, რომელსაც სიმწიფისაგან მარცვლები სცვივოდა, მოუმკელი რჩებოდა. პურის თესვაში გამოყენებული იყო ღროებითვალდებულ გლეხთა შრომა და მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობაში აჩსებობდა სათესი მანქანა გარეტის სისტემისა, თესვა წარმოებდა ხელით, რაღაც ეს მიჩნეული იყო უფრო სწრაფ და იაფ სამუშაოდ.

სოფლის მეურნეობაში დაქირავებული მუშახელის ნაკლებობა, რომელიც დამახასიათებელი იყო რეფორმამდელი ხანისათვის, საგრძნობი იყო რეფორმის შემდეგ ხანაშიც. საგლეხო რეფორმამ ან სულ

უმიწოდ დატოვა გლეხი, ან უფრო მეტად მიაჭაპვა იგი მიწას. უმიწოდ დარჩენილი გლეხობა ქალაქს მიმართავდა, ხოლო მიწას მიჯაჭულდა და გამოიძინდა. რომელიც ეკონომიური გაჭირვების დროებითვალდებული გლეხები, რომელიც ეკონომიური გაჭირვების გამო იძულებით მუშაობდა, ახალს ვერაფერს ქმნიდა და კაპიტალიზმის ზრდისა და განვითარების ხანაში მას დიდისნის სიცოცხლე არ ჰქონდა.

სოფლის მოსახლეობის წიაღშივე იქმნებოდა სოფლის ბურუუაზია შეძლებული გლეხობის სახით. ეს იყო სწორედ გლეხობის დიფერენციაცია, რომლის შედეგად იქმნებოდნენ სოფლის მოსახლეობის ახალი ტიპები: სოფლის ბურუუაზია და სოფლის პროლეტარიატი — დაქირავებული, ნადელი მქონე მუშათა კლასი²⁷; მემამულე დაქირავებული მუშახელის სიძვირის გამო ერიდებოდა მის გამოყენებას მეურნეობაში და ამჯობინებდა შრომის ძველ წესს. თვით ისეთი შეძლებული მემამულე და მეურნეობის რაციონალურ წესზე მოწყობის გულმოლგინე მოამაგეც კი, როგორიც ივ. მუხრანბატონია, ვერ აღწევს იმას, რომ თავის მეურნეობის ყველა დარგში გამოყენოს დაქირავებული შრომა, რაც წინ წასწევდა მეურნეობის საქმეს, თუმცა მეურნეობის გაუმჯობესების მიზნით სხვას ბევრს ცდილობს იგი. ამ მიზანს ემსახურებოდა მის მიერ უცხოეთიდან შემოტანილი მანქანა-იარაღების გამოცდა-გამოყენება თავის მამულში. ივ. მუხრანბატონს მთავარ დაბრკოლებად ამ საქმეში მიაჩნდა კაპიტალის უქონლობა, რომლის სიმცირე მას უძნელებდა დაქირავებული შრომის ფართოდ გამოყენებასა და მანქანა-იარაღების შეძენას. თუ გავხსენებთ, სამუშაო ძალის მიღების მიზნით იყო გაცემული იჯარით მიწები, რომელთა გაცემა მას იაფ, მაგრამ უხარისხო მუშახელს აწვდიდა. ეს იყო მიწისათვის შრომამიგების ფორმა, რომელიც მდგომარეობდა შრომა-მიგებისა და ნატურალურ იჯარაში. „ჩვენ აქ ვხედავთ სრულიად სხვა-გვარ იჯარას, — ამბობს ლენინი, — რომელიც გამოხატავს მთლიანელის მიერ საკუთარ მეურნეობაზე ურის თქმას კი არა, არამედ კერძომფლობელობითი სახნავების განვითარებას, გამოხატავს არა გლეხის მეურნეობის განმტკიცებას, მისი მიწათმფლობელობის გაფართოებით, არამედ გლეხის სოფლის მუშად გადაჭიდვას“²⁸. შრომამიგების დროს, შრომის საზღაური უფრო დაბალია, ვიდრე კაპიტალისტურ „თავისუფალ“ დაქირავების დროს. თავისთვად ცხადია, რომ შრომა-მიგების შედეგია შრომის დაბალი ნაყოფიერება, ე. ი. შრომამიგებაზე დამყარებული მეურნეობის წესები უაღრესად რუტინულია, გლეხის

27 ლენინი, თხ., ტ. III, გვ. 191.

28 იქვე, გვ. 218.

შრომა თავის ღირსებით ყმის შრომას უახლოვდება²⁹. ამის გამო, რომ კაპიტალისტური ურთიერთობა სოფლის მეურნეობაში უკრიცნელა იყიდებს ფეხს და ფორმების სხვადასხვაობით ხასიათდება.

ჩვენ მიერ განხილულ მემამულური მეურნეობის ამ დარგებში, როგორც ვხედავთ, ისეთივე მოვლენებს ჰქონდა ადგილი, როგორც ძირითადად ახასიათებდა ყველა მემამულურ მეურნეობას ამ პერიოდში. ეს ჩვენ საშუალებას გვაძლევს არსებული მოვლენებისა და ფაქტების საფუძველზე დავასკვნათ, რომ ივ. მუხრანბატონის მეურნეობის ზემოთ განხილულ დარგებში არსებობდა მეურნეობის საბატონო სისტემის შეერთება კაპიტალისტურ სისტემასთან. საბატონო მეურნეობის სისტემის ნაშთია მიწის დამუშავება ახლომახლო მიდამოს გლეხების ინვენტარით, ამასთან ქირის ფორმა ვერ სცვლის ამ სისტემის არსე, კაპიტალისტური სისტემა მდგომარეობს წლიური, ვადიანი, დღიური და სხვა მუშების დაქირავებაში, რომლებიც ამუშავებდნენ მიწის მფლობელის ინვენტარით³⁰. ივ. მუხრანბატონის მეურნეობაში მიწის დამუშავება ხდებოდა როგორც ბატონყმური, ისე კაპიტალისტური სისტემით. ასე, მაგალითად, საძოვრებით სარგებლობისათვის სოფ. მუხრანის გლეხობა ხვნაში უნდა გამოსულიყო თავის გუთნებით („за это — օგულისხმება საძოვრებით სარგებლობა должно во время пахания выставить в один день все то количество, какое будет у них спряжено в это время“). ზოგჯერ თვით ივ. მუხრანბატონი სთავაზობდა მათ თავის უცხოური სისტემის გუთნებს, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, მხოლოდ ცდა იყო, რასაც აფერხებდა კვლავ დაქირავებული მუშახელის სიმცირე და სიძვირე. კაპიტალისტური სისტემის წესი არსებობდა თიბგაში, ნაწილობრივ მკაში და მევენახეობა-მებაღეობაში. მაგრამ ქაც, როგორც შემდეგში დავინახავთ, ბატონყმური მეურნეობის გვერდით არსებობდა კაპიტალისტური საწარმო—ღვინის ქარხანა და სავაჭრო სახლი³¹.

ამრიგად, ი. მუხრანბატონის მეურნეობაში ბატონყმური სისტემის ნაშთების გვერდით არსებობდა კაპიტალისტური სისტემის დამახასიათებელი ნიშნები. ეს უკანასკნელი ძალაან ნელა, მაგრამ მაინც შესამჩნევად იჭრებოდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. ეს მკვეთრად, უფრო მეტიც, აშკარად ჩანდა მევენახეობა-მეღვინეობაში, სა-

²⁹ ლ ე ნ ი ნ ი, თხ., ტ. III, გვ. 223.

³⁰ ი ქ ვ ე, გვ. 211.

³¹ ქ. ჩარკვიანი, მეღვინეობის მდგომარეობა რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში, „საქართველოს კომუნისტი“, 1958, № 11.

დაც მას — კაპიტალისტურ საწყისებს, უვკე უპირატესობა ჰქონდა მოპოვებული.

მუხრანის მევენახეობა-მეღვინეობაზე მრავალი სტატია და წერილი იძეჭდებოდა XIX ს. პეტერბურგისა და ლიტერატურაში. მთელ იმ-პერიაში იყო ცნობილი ივ. მუხრანბატონის მეურნეობა და მისი წარმოების ახლებური სისტემა, რომელიც უმეტესად გამოყენებული იყო ღვინის წარმოებაში. მუხრანის მეურნეობას ბევრი მნახველი და მიმბაძველი ჰყავდა. თვითონ ივ. მუხრანბატონი ცდილობდა, კიდევ უფრო გაეზარდა მეურნეობა, რათა აქ დამზადებულ ღვინოებს ფართო გასავალი ჰქონდა როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

მუხრანის მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ ვრცელი აღწერილობა დაგვიტოვა ცნობილმა ქართველმა მწერალმა იონა მეუნარგიამ. იგი, როგორც აღწერიდან და სხვა წერილებიდან ჩანს, ივ. მუხრანბატონის ახლობელი და მისი მეურნეობის ხშირი სტუმარი ყოფილა. მასვე ეკუთვნის მეურნეობის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 1886 წელს შეუდგენია. ამ დროისათვის მუხრანის მეურნეობა წარმოადგნდა ეკონომიკურად ძლიერსა და შესანიშნავი ღვინოების დამამზადებელ წარმოებას, რომლის შემოსავალი 1886 წლისათვის უდრიდა 244.700 მანეთს.

როგორც ცნობილია, ივ. მუხრანბატონმა ბევრი დრო მოანდომა მიწების შემოერთება-შემომტკიცებას, რომელიც შემდეგშიაც არ შეუწყვეტია. საარქივო საბუთები, მოყოლებული XIX ს-ის 40-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე, სავსეა მუხრანბატონშე საჩივრებით, მის მიერ მიწების მიტაცების, სხვისი ნაკვეთების მითვისებისა და სხვა ძალმომრეობის შესახებ.

ივ. მუხრანბატონის ვენახების საერთო ფართობი შეადენდა 400 დესტ. თითოეულ დესტინაციები მოდიოდა 200 ვედრო ღვინო. ეს ვენახები მდებარეობდა თბილისის, გორისა და დუშეთის მაზრებში: სოფ. მუხრანში, საზედვინიძეოში, დამპალოში, ძალისში, ყურისუბანში, საფურცლებში, ჩონგილარში, ოქამში, ნაქულბაქევში, დიღომში, ვეძის-ში, ნიჩბისა და ხანდაკში.

მეურნეობის მთავარ პუნქტებს წარმოადგნდა მუხრანი და ლილომი, სადაც მდებარეობდა ღვინის მთავარი საწყობები. მუხრანში ჰქონდა, აგრეთვე, სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ღვინის საწარმო და საჩდაფი.

პირველი სამეურნეო ღონისძიება, რომელიც მან ჩატარა მეურნეობაში, იყო ვენახების გადახალისება, სავენახე მიწების განოყიერება და ახალი ვენახების გაშენება.



ასევე იზრუნა მან ლვინის შესანახი ჭურჭლის შექენაზე გადასცემის
ფიცრის ნაკლებობის გამო მეურნეობაში არ ამზადებდნენ კასრებს,
ამიტომ ივ. მუხრანბატონმა ყირიმში შრაიდერს შეუკვეთა 50 000 კას-
რი, რომელიც ერთად მოიცავდა 10 000 ვედროს. ამ კასრების შექენა
შას 6 000 მან. დაუკდა³². ახალ სავენახე მიწებს იგი განსაკუთრებული
პირობებისა და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით არჩევდა. სა-
ვენახე მიწები ნოყიერი და აუცილებლად მზიანიც უნდა ყოფილიყო,
ამიტომ უმთავრესად სამსრეოს ირჩევდნენ, ხოლო მთიან ადგილებში
ისეთ მიწებს შეარჩევდნენ, რომლებიც ირგვლივ შემოფარგლული იყო
ქლდებით, რაც ხელს შეუწყობდა მზის სითბოს ხანგრძლივ შენარჩუ-
ნებას.

ყოველ ახალ ნაკვეთს ჯერ ანოყიერებდნენ, შემდეგ იწყებდნენ
მის დამუშავებას: მთელი სავენახე მიწა მოიხენებოდა 5 ვერშოკის
სილრმეზე. რასაც მოპყვებოდა გაფხვიერება (ռა. რыхление) 1 ვერ-
შოზე. ამ მუშაობის ჩასატარებლად გამოჰყავდათ ყველაზე ღო-
ნიერი მუშები. მიწის ასეთი დამუშავების შედეგად ვაზის ძირები
ღრმად ინერვებოდა, რაც ხელს უწყობდა ატმოსფერული ნალექებით
მიწის გაუღენთვას და ტენიანობას. ვაზის ძირები ირგვებოდა სიმეტ-
რიულად, მათ შორის მცირე მანძილის დატოვებით, სადაც უნდა გა-
ევლო ახალი სისტემის ვიწრო გუთანს, რომელიც გაასუფთავებდა მი-
წას სარეველა ბალახებისაგან. გუთანში შებმული იყო ერთი ცხენი.
ივ. მუხრანბატონის მეურნეობის მნახველი და აღმწერი მუბენკო შე-
ნიშნავს, რომ ეს ვიწრო გუთანი ათ მუშას მანც სცვლიდა.

მაგრამ სხვა ამბავი იყო ვენახის ძირების გარშემო სარეველა ბა-
ლახებისაგან მიწის გაწმენდა, რაც უფრო ფაქიზ მუშაობას მოითხოვ-
და. ამას კი აკეთებდნენ თოხით, ისე რომ არ დაზიანებულიყო ვაზის
ძირები. მთელი ზაფხულის განმავლობაში ვენახები ირწყვებოდა ორ-
ჯერ. უკვე ვაზერდილ ვაზებს ამაგრებდნენ საამისოდ დამზადებულ სა-
რებზე, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული იყო მავთულით.
მოსავლის აღება ხდებოდა 15 ოქტომბერს, ხანდახან უფრო გვიან, ეს
დამოკიდებული იყო ამინდზე, ყურძენი იკრიფებოდა ხარისხის მიხედ-
ვით; მაგალითად, იყო ყურძენი, რომელც არ იკრიფებოდა მანამ, სა-
ნამ არ დაკავშირებოდა, საიდანაც დაყენებული ღვინო ყველაზე საუკეთე-
სოდ ითვლებოდა ივ. მუხრანბატონის მეურნეობაში.

ვიდრე ყურძნის კრეფის შეუდეგებოდნენ, მთავარი მეღვინე საც-
დელად დაწურავდა ყურძნის მტევანს და ამოშებდა ტკბილის შემა-

³² Диккенсон, Виноделие И. К. Багратион-Мухранского, 1880, г. Тифлис.

დგენლობას, მის შაქრიანობას, ე. ი. შეიძლებოდა თუ არა რთველად დასაწურად საწარ-
დაწყება.

დახარისხებული ყურძენი ურმებით მიღიოდა დასაწურად საწარ-
მოში, სადაც ერთხელ კიდევ ხდებოდა ყურძნის გადარჩევა.

თუ ყურძენი ნაწვიმარი იყო, მაშინ საჭირო იყო მისი გაშრობა, რისთვისაც ანთებდნენ საამისოდ მოწყობილ ღუმელებს, რომლის ტემ-
პერატურაზე მარცვლებში დაგროვილი წვიმის წყალი ამოშრებოდა. ასე გამზადებული ყურძენი იყრებოდა უზარმაზარ რეზერვუაში, რომელსაც შიგ ჰქონდა მუხისაგან გაკეთებული ბადე. ბადეში გადი-
ოდა მარცვლები და ყუნწები ზევით ჩეხებოდა. ყუნწებს ამორებდნენ ჟაჟას, რადგან ის ღვინოს მწკლარტე გემოს აძლევდა, რაც არ ახსია-
თებდა ევროპულ ღვინოებს. ეს რეზერვუარი მთლიანად მოცემენტე-
ბული იყო და მისი ყურძნით აგსების შემდეგ მოძრაობას იწყებდა ფარცხი (კრისტა), რომელიც ფრთხილად სცყლეტდა მარცვლებს, რათა ყურძნის კურკები მთელი დარჩენილიყო და ტებილისათვის
გემო არ შეეცვალა.

დაწურული ტკბილი ისხმებოდა რონოდებზე შემდგარ ჭურჭლებ-
ში; ეს უკანასკნელი მიპჲონდათ საღუღებელ ქვაბებთან, რომლებშიც
ტკბილი გროვდებოდა და ღუღღებოდა.

თეთრი ყურძნის ჭაჭა იქვე იწნებოდა თუშის წნებებში, რომ-
ლებიც სახელურის საშუალებით მოძრაობაში მოპყავდა ერთ მუშას. თეთრი ყურძნის ტკბილი ასაღუღებლად ისხმებოდა 120 ველრიან
კასრებში. შავი ყურძნის ტკბილს კი ჭაჭასთან ერთად ასხამდნენ გან-
კასრებში. შავი აშორებდნენ ჭაჭას, რადგან წითელი
საკუთრებულ ქვევრებში. მას არ აშორებდნენ ჭაჭას, რადგან წითელი
ღვინო ჭაჭასაგან იღებს განსაკუთრებულ გემოსა და ფერს. ეს ხის
ქვევრები, რომლებშიაც ყურძნის ტკბილი ისხმებოდა, ზევით ვიწროვ-
დებოდა, გერმეტულად იხურებოდა და გარკვეული ტემპერატურის
ქვეშ იმყოფებოდა. ღუღღილის ჩეგულაციისათვის და მისი გაგებისა-
თვის ქვევრებს ჰქონდა სათანადო მოწყობილობა, რომლის საშუალე-
ბით თვალყურს დევნებდნენ დუღილის პროცესს.

ღეკვემდებრში ხდებოდა ღვინის პირველი გადაღება, დარჩენილი
სითხე მიპჲონდათ სპირტის გამოსახდელ ქარხანაში, ხოლო მეორე
გადაღება კი მარტში ან აპრილში, როცა ღვინო მზად იყო, მეღვინე
ამოწყებდა მის ხარისხიანობას და მარტში გადაღებული ღვინო სარ-
დათებში აგვისტომდე ჩეხებოდა, ვიდრე ხელახალი გადაღება იქნებო-
და საჭირო. გადაღების დროს ხდებოდა ნაკლული კასრების შევსება.

ამგვარად მოწეული და დაყენებული ღვინო მზად იყო გასაყიდად
მხოლოდ ორი წლის შემდეგ. თეთრი ღვინო სუფთავდებოდა თევზის
წებოთი, წითელი კი ჟელატინით, რის შემდეგაც ღვინოები გამჭვირ-

ვალე ხდებოდა. ყოველივე ამის შემდეგ რჩებოდა მხოლოდ ღვინის სიმშრალის დადგენა საამისოდ არსებული ხელსაწყოების საშუალებით.

ღვინის საბოლოო ხარისხიანობის შემოწმების დროს მიღებული ღვინის ხარისხი არ უნდა ყოფილიყო განსხვავებული ადრე დადგენილი და მიღებული ხარისხისაგან, თუ მოხდებოდა ისე, რომ ახლად მიღებული ღვინის ხარისხი განსხვავდებოდა დადგენილი ხარისხისაგან, მაშინ მას ათანაბრებდნენ საერთოდ მიღებულ ხარისხთან.

ასევე კარგად იყო მოწყობილი ღვინის შესანახი მთავარი სარდაფები მუხრანსა და დილომში. მუხრანის ღვინის სარდაფს ეჭირა 804 ქვ. საუენი მიწის ფართობი და იტევდა 100 ათასამდე ვედრო ღვინოს. მთავარი სარდაფი შედგებოდა ოთხი განყოფილებისაგან. ამათგან პირველი განყოფილება წარმოადგენდა ქართულ მარანს, რომელშიც 10 ქვევრი იდგა და აქ ღვინოს ქართული წესით აყენებდნენ³³. სხვა დანარჩენ განყოფილებებს, თითოეულს ცალ-ცალკე, თავისი დანიშნულება ჰქონდა და სათანადო მოწყობილობით იყო აღჭურვილი, რაც საჭირო იყო ღვინის ევროპულ წესზე დასაყენებლად. მაგალითად, აქ ნახავდით ღვინის დასაწმენდ ხელსაწყოებს, ჰოლანდიურ ფილტრატს, რომელიც ღვინოს თხლესა და ნალექისაგან სწმენდდა, ფეხის მანქანას, რომლის საშუალებით ბოთლები ირკცხებოდა, მრავალსახეობის საჭახავებს და სხვ.

სარდაფის მეორე შენობა შედგებოდა სამი განყოფილებისაგან, რომლებშიც სხვადასხვა ზომისა და მოცულობის მქონე საღულებელი კასრები იდგა. აქ ხდებოდა ღვინის დაწურვა, კასრებში ჩასხმა და დუღება, აქვე იყო ჭაჭის საწნევი, რომელთანაც ჭაჭი მოჰქონდათ ყუთებით დატვირთული რონოდებით.

გარდა მუხრანისა და დილმის მთავარი სარდაფებისა, სარდაფები იყო აგრეთვე დამპალოსა და ხანდაკში.

ივ. მუხრანბატონი, ივანე ოქრომჭედლიშვილისადმი გაგზავნილ წერილში წერდა, რომ მას მოეპოვება სხვადასხვა ხარისხის — როგორც ევროპულად, ისე ქართულად დაყენებული ღვინოები და აღნიშნავდა მათ რაოდენობას. 1888 წლისათვის მას ჰქონია სოფ. მუხრანში — 48000 ვედრო, დილომში — 29991 ვედრო, აქვე ქართულ ქვევრებში — 18,5 საპალნე. სოფ. ხანდაკში — 1540 ვედრო, თბილისის სარდაფსა და მაღაზიაში 1814 ვედრო, სულ 54984 ვედრო ღვი-

³³ Диккенсон, Виноделие И. К. Багратион-Мухранского, Тифлис, 1889.

ივ. მუხრანბატონი არ კმაყოფილდება არსებულით. მისი პროექტი ითვალისწინებდა სარდაფების ფართობების გაზრდასა და წარმოების გადიდებას. ამისათვის შენდებოდა ახალი სარდაფი, რომელიც ძველ სარდაფთან შეერთებული იქნებოდა მიწისქვეშა გვირაბით და რკინიგზით. ეს ახალი სარდაფი დაიტევდა 96000 ვედრო ლვინოს. საერთოდ სარდაფებში დაცული იყო ერთნაირი ტემპერატურა, წარმოებდა ვენტილაცია და განათებული იყო ელექტრონით. ცალკე არსებობდა ახალი ლვინის სარდაფი, საიდანაც გასაყიდად გამზადებული ლვინო გაპრონდათ კიდევ სხვა შენობაში. ლვინის სარდაფიდან ასი ნაბიჯის დაშორებით მოთავსებული იყო სპირტის გამოსახდელი ქარხანა, სადაც ჭავისაგან და ლვინის ნარჩენებისაგან აყენებდნენ 95° სიმაგრის სპირტს და აგრეთვე კონიაქს.

ქარხნის ახლოს მოთავსებული იყო უკვე საკუთარი კასრების და-სამზადებელი სახელოსნო და საზეინკლო. ორივე სახელოსნოს განა-გებდა მთავარი მექასრე, ტომით რუსი; საერთოდ მეურნეობაში იყვ-ნენ, როგორც ქართველები, ისე რუსები; კასრების დასამზადებელი ხე-ტყე—მუხა შემოდიოდა იმერეთიდან და კახეთიდან. ჩვეულებრივ კასრების ზომად მიჩნეული იყო 20 ვედროდან დაწყებული 350 ვედ-რომდის, სადუღებელი ხის ქვევრები შეიცავდა 100—600 ვედროს. გასაგზავნი ლვინის კასრები იტევდა მხოლოდ 20 ვედროს, რადგან დიდი მოცულობის კასრები უხერხული იყო სამგზავროდ.

დიდი ყურადღება ექცეოდა კასრების დასუფთავებასა და ლვინის ჩასხმისათვის მათ სათანადოდ გამზადებას. ამისათვის ახალ კასრებს გამორეცხავდნენ და გამოწმენდნენ ხოლმე იმ კარების სამუალებით, რომელიც კასრებს ძირზე ჰქონდა დატანებული. ამ კარებით მრეცხა-ვი თავისუფლად შედიოდა და ასუფთავებდა ამ უზარმაზარ კასრებს, პატარებს კი რეცხავდნენ სპეციალურად მოწყობილი დაზგების საშუ-ალებით. ამავე კასრებს, გარეცხვის შემდეგ, გამოწვავდნენ გოგირდით, რომ ლვინოს სოკო არ გასჩენოდა.

მთავარი მელვინის სახლთან არსებობდა ლაბორატორია, რომლის აშენების პროექტს მოიხსენიებს დიკენსონი თავის 1880 წელს გამოცე-მულ ბროშურაში და შენიშნავს, რომ ლაბორატორია ხელს შეწყობს მეღვინეობის განვითარებას ამ მხარეში და აქ წარმოებული

³⁴ ივ. მუხრანბატონის წერილი ილია ოქრომჭედლიშვილისადმი 1888 წ. — ლიტმუზეუმის არქივი.



სამუშაოები შემოწმებული და გამოკვლეული იქნება მეცნიერებული რაც შემდეგ გამოქვეყნდა პრესაში³⁵.

ამ ლაბორატორიაში ამოწმებდნენ ღვინოს, ირკვევდნენ შაქრიანბას და აღგენდნენ საბოლოო ხარისხიანობას. ამას აკეთებდა მთავარი მელვინი, რომელსაც, რასაკვირველია, ჰყავდა დამხმარე მელვინეებიც — თანაშემწეები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მეურნეობის წარმოების საქმეს, მუშიდან დაწყებული მებაღემდე.

მეცნახეობა-მელვინეობის შესწავლისა და გავრცელების საქმეს ხელს უწყობდა მუხრანში არსებული სამეურნეო სკოლა, რომელშიც 10 მოწაფე ითვლებოდა. გათვალისწინებული იყო სასკოლო შენობის აგება, რაც საშუალებას მისცემდა მოწაფეთა რიცხვის გაზრდას. მოწაფეები პრატიკულად ეცნობოდნენ მელვინეობის წარმოებას სარაფალებსა და ლაბორატორიაში. მოწაფეებს შორის იყვნენ საშუალო განათლების მქონენი, თავადაზნაურთა ოჯახილან გამოსულნი, რომელთაც შინაური განათლება პქონდათ მიღებული, და აგრეთვე გლეხობის წარმომადგენლები. პირველ 2—3 წელიწადს მოწაფეები ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ მეურნეობის ხარჯზე, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ ისინი იღებდნენ ჯამაგირს 15—20 მან. თვეში. მათ პქონდათ ცალკე შენობა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, მაგრამ საღილობდნენ მუშებთან ერთად.

ასეთი იყო საერთო სურათი მეურნეობის წარმოებისა, რომელიც უფრო და უფრო იზრდებოდა და ვითარდებოდა, რასაც ნათლად დავინახავთ, როცა გავეცნობით მეურნეობის ხარჯებსა და ღვინით ვაჭრობის საქმეს.

მეურნეობის ხარჯები იყო შემდეგი:

დაქირავებული მუშახელი — 44000 მან.

ყურძნის მკრეფავებისა და მეღვინეების დაქირავება — 3000 მან.

სარები ბაღების ყოველწლიური რემონტისათვის, თითო —

1 კა. — 10664 მან.

— 1 200 მან.

— 400 მან.

— 800 მან.

— 2367 მან.

— 13400 მან.

— 16 446 მან.

ყურძნის მოზიდვა
ჯებირების შეკეთება
სპირტის გამოხდა და რატიფიკაცია
აქციზი
ღვინის წარმოების აღმინისტრაცია
ვაჭრობის აღმინისტრაცია

³⁵ Диккенсон, დასახ. ზრ., გვ. 28.

ლვინის გატანა 1 ვედრო — 80 კაპ.	— 24 000 მან.
კასრი	— 7 000 მან.
	— 121 423 მან.

სულ

მეურნეობის შემოსავალი 1886 წელს, როგორც აღვნიშნეთ, იყო 244 700 მან., აქედან ხარჯი — 123 700 მან.; 244 700 მან. — 123 700 მან. = 121.423 მან. მოგების ამ თანხას გამოაკლდებოდა ძირითადი და საბრუნვი კაპიტალის პროცენტები.

ივ. მუხრანბატონის ძირითადი კაპიტალი იყო როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება.

უძრავ ქონებაში შედიოდა:

სოფ. მუხრანში: 400 დესეტ. ვენახი, 1 დესეტ. — 3000 მან. სულ — 1 200 000 მან., 2.500 დესეტ. მიწა ბალების გასაშენებელი; 1 დესეტ. — 300 მან. სულ 750 000 მან., სახლი ეზოთი და შენობებით, არხითა და სარდაფით, რომელიც იტევდა 100 000 ვედრო ღვინოს — 250 000 მან.

ცემენტის შენობა, სადაც ღვინო მზადდებოდა — 15 000 მან. ღვინის დამამზადებელი ორთქლის ქარხანა — 3 000 მან. სპირტის დამამზადებელი ორთქლის ქარხანა — 2 000 მან. საორთქლე განკუოფილება — 1200 მან. სახელოსნო — 1000 მან.

სოფ. დიღომში ღვინის შესანახი საწყობი — 25 000 მან. ღვინის დამამზადებელი ქარხანა — 1000 მან.

სულ — 2 248 200 მან.

მოძრავი ქონება:

სოფ. მუხრანში: ღვინის საღულებელი თავისი კისრებითა და ქვევრებით, წნევებითა და სხვა მოწყობილობით — 23 000 მან.

კასრები 20 000 ვედრო ღვინისათვის — თითო ვედრო 35 კაპ. სულ 17 500 მან.

ლაბორატორია — 1800 მან.

კასრების გასაკეთებელი სახელოსნო — 50 000 მან.

სოფ. დიღომში ხის ქვევრები — 4 800 მან.

კასრები — 2 800 მან.

სულ — 54 900 მან.

მთელი ქონება — 2 303 100 მან.

მეურნეობაში შემოსულ მოგებას (121.423 მან.) გამოაკლდებოდა პროცენტები სავაჭრო სახლის აგენტებისა, ძირითადი და საბრუნვი

კაპიტალისა (ძირითადი კაპიტალი — მეურნეობა საბრუნვი განვითარებოლი — შესატანი ფული), ამის შემდეგ დარჩენილი თანხა ნაწილდებოდა თანაბრად სავაჭრო კომპანიის წევრებს შორის.

ვიდრე ივ. მუხრანბატონის ღვინოების გატანისა და ვაჭრობის წარმოების საქმეს შევეხებოდეთ, მანამდე ზედმეტი არ იქნება განვიხილოთ მოკლედ, რა მდგომარეობაში იყო ღვინით ვაჭრობა რუსეთის იმპერიაში და რა მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ღვინოებს ამ საქმისათვის.

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, შეემცირებინა ღვინოების შემოტანა უცხოეთიდან და მასზე მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა ქვეყნის შიგნითვე მოწოდებული ღვინოებით, მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო ამ აგრძელულ ქვეყანაში, სადაც ყოველგვარი წამოწყება დასაწყისშივე ხედებოდა დაბრკოლებას. ხშირად გადაულახველი რჩებოდა და ანდა არსებული პირობების სიძნელისა გამო ვაივაგლახით სანახეეროდ აღწევდა მიზანს.

პირობების სიძნელე მდგომარეობდა იმაში, რომ რუსეთში კაპიტალისტური ურთიერთობის ნელი განვითარების გამო ყოველი ახალი წამოწყება განიცდიდა მარცხს ანდა ჩამორჩენას. კაპიტალის უქონლობა, მუშახელის სიძვირე, აი, ის ძირითადი მიზეზები ამა თუ იმ წარმოების წარუმიტებლობისა, რასაც ხშირად აღნიშნავენ თვით რუსი მოხელეები და მწარმოებლები.

იმისათვის, რომ ღვინით ვაჭრობის წარმოება განვითარებულიყო რუსეთში, რუსეთის ხელისუფლებას საჭიროდ მიაჩნდა უცხოელი კაპიტალისტების მოყვანა, სანიმუშო ფერმების მოწყობა, ღვინის დაყენებისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესება, რათა ამით უზრუნველყო შიღა რუსეთის ბაზრების ქართული ღვინოებით მომარაგება. ვერ კიდევ 30-იან წლებში რუსეთი შემოტანილი ღვინისათვის უცხოეთის სახელმწიფოებს უხდიდა ყოველწლიურად 10 მილ. მანეთს ოქროთოვნი. რუსეთის ხელისუფლება დაინტერესებული იყო იმით, რომ იმპერიის შიგნით ღვინოების წარმოება ევროპულ წესზე დაეყენებინა, რადგან ასე დამზადებული ღვინოები დიდ გასავალს მოიპოვებდნენ როგორც რუსეთში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

კავკასია ითვლებოდა ერთ-ერთ ღვინის მწარმოებელ ძირითად მხარედ რუსეთში. მთავარი ცენტრი ღვინით ვაჭრობისა იყო თბილისი, სადაც საშუალოდ 1883—1893 წლებში 2 მილ. ვედრომდე ღვინო

36 3. გუგუ შევილი, მეცნახეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1801—20 წწ., ექ. ინსტ. შრომები, ტ. V, 1951.

შემოდიოდა³⁷. ღვინის გაყიდვა წარმოებდა სარდაფებში, დუქნებში, სააქციზო მეთვალყურეობის ქვეშ. მსხვილ ფირმებად ითვლებოდა: ჯორჯაძის, ივ. მუხრანბატონის, პ. მაკაროვის, კუზანვის, კახელი მემა- მულების — აბამელიქის, ფრიდონნოვისა და დიკენსონის, ანდრონიკა- შვილის, შერემეტიევის, ვაჩაძისა და სხვ. ფირმები. ამათგან ჯორჯაძეს, მაკაროვს, შერემეტიევსა და მუხრანბატონს ჰქონდათ ღვინის სარდაფე- ბი, სადაც შეიძლებოდა ღვინის ხანგრძლივად შენახვა.

ამ ფირმების ყველა მეპატრონე არ აწარმოებდა ღვინის დაწურვასა და დაყენებას, ბევრი მათგანი ვენახის პატრონთან გარკვეული ხელშე- კრულების დადებით აწარმოებდა უკვე მიღებული ღვინის შესყიდვას. ერთადერთი ივ. მუხრანბატონი ყიდდა თავისი საკუთარი ბალვენახები- დან დაყენებულ ღვინოს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ღვინით ვაჭრობას ჩარჩული ხა- სიათი მიუღია, რაც დაკაშირებული ყოფილა თავის მხრივ ღვინის ვა- ყალბებასთან. როგორც ტიმოფეევი, ისე ძუბენკო და სხვებიც აღნიშ- ნავდნენ ამ ამბავს და მწარმოებლებს მოუწოდებდნენ ამხანავობებად გაერთიანებისაკენ, რაც უზრუნველყოფდა მაღალი ტექნიკით იაფ, ამ- ტანობის მქონე სუფრის ღვინოების დამზადებას, რომლებიც გასაგალს ჰპოვებდა რუსეთში; ამხანავობებად უნდა გაერთიანებულიყვნენ, აგრე- თვე, გლეხები, რომელთაც კრედიტს გაუხსნიდა სახელმწიფო, რითაც მათ საშუალება ეძლეოდათ, გაუმჯობესებინათ ღვინის წარმოება.

კერ კიდევ 1850 წელს მოსკოველი ვაჭარი სტეფანე ეზოვი მოი- თხოვდა, რომ მთავრობას მიეცა მისთვის ქართული ღვინოებით ვაჭრო- ბის უფლება. ეზოვი აღნიშნავს ქართული ღვინოების ღირსებებს, რომ- ლებიც არაფრით არ ჩამოუვარდებიან საფრაგეთის — ბურგუნდიისა და ბორდოს ღვინოებს. ქართული ღვინოების ფასს, ეზოვის აზრით, სცემდა ის, რომ ძნელი მოსაწოდებელი იყო ტერიტორიალური სიშო- რის და უგზობის გამო. მაგრამ მიუხედავად იმისა, ეზოვი თანახმა იყო ევარია ამ ღვინოებით პეტერბურგსა და მოსკოვში³⁸, რუსეთის ხე- ლისუფლებას არც თუ მაინცდამაინც მოსწონდა ეზოვის თაოსნობა ამ საქმეში, რადგან ქართული ღვინოების აქციზის გადახდის გარეშე გა- ყიდვა დასცემდა ყირიმისა და ლონის ღვინოების ფასს, რომლებიც აქ- ციზით იყიდებოდა. ეზოვმა მაინც მიაღწია თავის მიზანს და 1851 წლის იანვრიდან მას ნება მიეცა, გაეხსნა მოსკოვსა და პეტერბურგში ღვინის სარდაფები, სადაც ვაჭრობა იწარმოებდა მხოლოდ კავკასიური ღვინო- ებით. 1851 წელს თბილისელი მოქალაქე ვინმე მამიკონოვი მოითხოვდა

³⁷ Тимофеев, С. Н. Сбыт кавказских вин, 1895, ვ. 43.

³⁸ ЦГИАЛ, ф. 1263, д. № 23.



ამავე პირობების საფუძველზე ეზოვის მსგავსად კავკასიური და ქართველი ბით ვაჭრობის ნებართვას მოსკოვში³⁹.

ამრიგად, რუსეთის ხელისუფლებისათვის სავსებით ცხადი იყო ქართული ღვინოებით ვაჭრობის სარფიანობა და მით რუსეთის ბაზრების ღაემაყოფილება-უზრუნველყოფა. ამიტომაც ცდილობდა სხვადასხვა ღონისძიებებით ღვინის წარმოების გაუმჯობესებასა და მოწოდების გაადვილებას, რასაც ხელს შეუწყობდა რკინიგზების მშენებლობა, ღვინის შესანახი ჭურჭლის გაუმჯობესება და სხვ.

ივ. მუხრანბატონმა ყველაფერი გამოიყენა იმისათვის, რომ მაღალ-ხარისხოვანი ღვინო მიეღო და მის მიერ ევროპულ წესზე დაყენებულ ღვინოებს გასავალი მოეპოვებინათ არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიც. მისი ღვინოები იყიდებოდა როგორც ცალობით, ისე ბიოუ-მაღ შემდეგ ქალაქებში: თბილისში — გოლოვანის პროსპექტზე, მოსკოვის ორ მაღაზიაში ტვერსკისა და მიასნიცის ქუჩებზე და პეტერბურგში „ბოლშაია მორსკაიას“ ქუჩაზე.

ღვინოებზე დაწესებული ფასი სხვადასხვა იყო მისი ხარისხიანობის მიხედვით.

I	ხარისხის ღვინო ვედრო ღირდა	16 მან.
II	" " " " "	9 მან. 60 კაპ.
III	" " . " "	4 მან. 80 კაპ.

აქედან საშუალოდ ფასი ერთი ვედრო ღვინისა იყო 8 მან. ღვინოები იგზავნებოდა საღ. ქსნიდან ბათუმში, აქედან მოსკოვსა და პეტერბურგში. საღგურ ქსნამდე ღვინოები მოჰქონდათ ურმებით, ასევე ურმებით ჩაჭქონდათ თბილისში (საღ. ქსნიდან თბილისამდე 38 ვერსი იყო).

ერთი ვედრო ღვინის გადატანა ღირდა:

მუხრანიდან ქსნამდე — $3\frac{1}{2}$ კაპ.

მუხრანიდან თბილისამდე — $6\frac{1}{2}$ კაპ.

ქსნიდან ბათუმამდე — 22 კაპ.

ბათუმიდან ოდესამდე — 20 კაპ.

ბათუმიდან სევასტოპოლში — 18 კაპ.

სევასტოპოლიდან მოსკოვში — 45 კაპ.

მოსკოვიდან პეტერბურგში — 42 კაპ.

ასე რომ, 1 ვედრო ღვინის გატანა ოდესამდე ჭდებოდა 47 კაპ., მოსკოვამდე — 90 კაპ., პეტერბურგამდე — 132 კაპ., თბილისამდე 6,5 კაპ.

³⁹ ЦГИАЛ, Ф. 1263, д. № 23.

ღვინის შესანახი ჭურჭელი მზადდებოდა მუხრანსა და თბილისში არებულ საკუთარ სახელოსნოებში, ბოთლებს კი იქნდნენ თბილისა და მოსკოვში. თბილისში ბოთლი ღირდა — 8 კაპ. მოსკოვში — 6 კაპ. ქვევრი ჭდებოდა 70 მან., კასრები მოცულობის მიხედვით სხვადასხვა ღირებულების იყო: 20-ვედროიანი კასრი ღირდა 8 მან., 40-ვედროიანი — 15 მან., 100-ვედროიანი — 35 მან., 500-ვედროიანი — 175 მან. და 1000-ვედროიანი — 350 მან.

მოსკოვიდან პეტერბურგში ღვინო იგზავნებოდა ბოთლებით, რადგან პეტერბურგში მხოლოდ 1886 წელს გაიხსნა ღვინის სარდაფი. ამით ახსნებოდა მოსკოვიდან პეტერბურგში ღვინის გაგზავნის სიძვირე.

გარდა რუსეთისა, ივ. მუხრანბატონი აგენტების საშუალებით ღვინოებს აგზავნიდა პოლონეთში — ვარშავასა და სხვა ქალაქებში. 1897 წელს დადებული სავაჭრო ხელშეკრულება ივ. მუხრანბატონსა და პოლონეთის ღვინით მოვაჭრე აგენტებს შობერსა და ზავატსკის შორის ითვალისწინებდა როგორც ქ. ვარშავაში, ისე სხვა ქალაქებში ვაჭრობას სამი წლის ვადით. ერთი წლის განმავლობაში ამ სავაჭრო კომპანიის აგენტებს — შობერსა და ზავატსკის ივ. მუხრანბატონისაგან უნდა შეესყიდათ 10 ათ. მანეთის ღვინო. ივ. მუხრანბატონი სად. ქსანში ღვინოს ჩაბარებდა კომპანიის აგენტს. თუ ერთი წლის განმავლობაში არ შეისყიდნენ ღვინოებს, ხელშეკრულებას ძალა ეკარგებოდა. შეკვეთის დროს შობერი და ზოვატსკი თანხის მეოთხედს უგზავნიდნენ ივ. მუხრანბატონს, ხოლო ღვინოების გაგზავნის შემდეგ ეს უკანასკნელი დანარჩენ თანხას ღებულობდა. პოლონეთში ღვინოების გავრცელებისა და ვაჭრობის წარმოებისათვის ივ. მუხრანბატონი შეღავთებს აქცებდა მათზე. პირველი ხარისხის ღვინოს, რომელიც ვედრო 16 მანეთად ფასობდა, იგი თმობდა 11 მან. 20 კაპ., მეორე ხარისხის ღვინოს, რომელიც იყიდებოდა ვედრო 9 მან. 60 კაპ. — 7 მან. და მესამე ხარისხისას, შეფასებულს 4 მან. 80 კაპ. — 4 მან. 24 კაპ. ივ. მუხრანბატონს თავისი ფირმის წარმომადგენლად პეტერბურგში ჰყავდა ილია ოქროშედლიშვილი, რომლისადმი 1888 წელს მიწრილი წერილიდან ჩანს, რომ პეტერბურგში ღვინის ვაჭრობა წარმოებდა როგორც ბოთლებით, ისე კასრებით. „ბოთლებით ვაჭრობა იყოს იმ ფასებით, როგორც უკვე შერიგებული ხართ ტერმინთან ც უსტუკოვ 30% 20%“ — წერს ივ. მუხრანბატონი⁴⁰. ამავე წერილიდან ვგებულობთ, რომ პოლონელ აგენტებთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება განხორციელებულა და პოლონელი მოვაჭრენი კმაყოფილნი დარჩენილან. იმავე პირობებს სთავაზობდა ივ. მუხრანბატონი პეტერბურგელ მოვაჭრეებს, რომელ-

⁴⁰ ლიტერატურული მუზეუმის არქივი.

თაც ი. მუხრანბატონის ღვინოები მოსწონდათ, მაგრამ მასზე დაული ფასები ეძვირებოდათ. ესენი იყვნენ ტატინი, ბექმანი, შიტი და ტურმინი.

თუ რა ღვინოები მზადდებოდა ი. მუხრანბატონის მეურნეობაში, ამას ვვებულობთ ნიკო ხატისოვის აღწერიდან, აქ მზადდებოდა საფერავი, რქაწითელი, თავვერი, მწვანე, დამპალო, ვარდისფერი, მუხრანი და სხვ. ი. მუხრანბატონი სთხოვდა ილია ოქრომჭედლიშვილს, ეცნობებინა მისთვის ამ მოვაჭრეთა მიერ წარმოდგენილი ფასები და აგრეთვე თავისი აზრი ამის შესახებ⁴¹.

ი. მუხრანბატონს არ დაუკლია ცდა იმისათვის, რომ თავისი ღვინოები უფრო შორს, საფრანგეთში გაევრცელებინა და თავისი წარმოებით დაეინტერესებინა ისეთი მსხვილი კაპიტალისტი, როგორიც იყო არონ როტშილდი.

ნიკო ნიკოლაძე ამის შესახებ პარიზიდან წერდა იონა მეუნარგიას, რომელსაც ნიკო ნიკოლაძისათვის, როგორც გავლენიანი პირისათვის, დაუვალებია საქმის მოვარება. წერილიდან ჩანს, რომ ნიკოლაძე მონდომებით მოჰკიდებია დავალებულ საქმეს და იონას ატყუბინებდა: „მუხრანსკის საქმეზე დამიჯერე სრულებით საჭირო არ იყო ის დეზები, რომელსაც შენ მე მახვედრებ, უშენოთაც კარგად მესმის, რამდენადაც საჭიროა ჩვენი ქვეყნისათვის ამ საქმის ხეირიანად გარიგება“⁴². პარიზში იმ დროს ტარდებოდა სოფლის მეურნეთა კონგრესი და მთელი საფრანგეთის მამულის პატრონები და მელვინეები იქ ყოფილან⁴³. ამავე წერილიდან ჩანს, რომ ვინმე ეტიენს ივ. მუხრანბატონის ღვინოები გაუსინჯებია როტშილდისა და დეუშტებისათვის, რომლებსაც თავის მხრივ ნაცნობებისათვის დაულევინებიათ და ყველანი აღტაცებულნი დარჩენილან ამ ღვინოების გემოთი და არმატით. „მარტო ერთმა არონმა მივინა ეს ღვინოები, — წერს ნიკოლაძე, — გროშად არა ღირანო. ეს გახლავს უმჯობესი ნიშანი, რომ როტშილდი ამ საქმეს აიღებს, არონს მარტო არ უნდა ბევრი ვთხოვოთ, სწორედ ასე აგინებდა ის ნავთის საქმესაც“⁴⁴. შემდეგ ნ. ნიკოლაძე შიშს გამოთქვამდა საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გამო, რომ ომის მოლოდინში კაპიტალისტებს მილიონების გაღებისა ეშინოდათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში როტშილდი გაზაფხულისათვის აპარებდა თა-

41 ლიტერატურული მუზეუმის არქივი.

42 ნ. ნიკოლაძის წერილი იონა მეუნარგიასადმი 1888 წ. ზუგდიდის სახ. ისტორიული მუზეუმის შრ., 1947, თბილისი.

43 ა ქ ვ ე.

44 ნ. ნიკოლაძის წერილი ი. მეუნარგიასადმი, — ნ. ნიკოლაძის არქივი.

ვის სპეციალისტების გამოგზავნას, რომლებიც დაათვალიერებდნენ ივ. მუხრანბატონის მამულებსა და ლვინის სარდაფებს. აქედან მათი დაბრუნების შემდეგ როტშილდი მიიღებდა გარკვეულ გადაწყვეტილებას. ივ. მუხრანბატონს ეტყობა ძალიან ეჩქარებოდა საქმის დაბოლოება, რასაც უკმაყოფილება გამოუწვევია 6. ნიკოლაძის მხრიდან. იგი შენიშნავს, რომ ივ. მუხრანბატონს ჰვინია, „ამგვარი საქმის გათავება და ლობის ჭამა ერთიან“⁴⁵. შემდეგი ვითარებიდან ირკვევა, რომ ივ. მუხრანბატონის ეკონომისა საქმე გაუფუჭებია და ეს საქმე ოდარ განხორციელებულა „ეხლა ხომ ხედავ, — წერს ნიკოლაძე, — რომ ხანდახან ეკონომია მეტისმეტად საზარალო რამ გამოდის, ის ურჩევნოდა ივანეს რომ ასიოდე ცხვარი გაემეტებინა და გაეყიდა, ვინემ ის მომხდარიყო, რაც მოხდა“⁴⁶... 6. ნიკოლაძე უკმაყოფილო დარჩენილა ამ საქმის მოუგვარებლობით და ივ. მუხრანბატონთან ურთიერთობით.

ივ. მუხრანბატონი მომავალში ფიქრობდა თავისი მეურნეობის კიდევ უფრო გაზრდა-გაფართოებას და საამისოდ ხარჯთაღრიცხვაც კი ჰქონდა შედგენილი. ამ პროექტის მიხედვით უნდა გაყიდულიყო 60 000 ვედრო ღვინი და 877 ვედრო სპირტი მხოლოდ საკუთარი ვენახებიდან, ხოლო გადამუშავებული 90 000 ვედრო ღვინისაგან 720 000 მანეთი და შამპანურის გაყიდვისაგან 460 000 მანეთი. შამპანური დამზადდებოდა პირველი და მეორე ხარისხის:

I ხარისხის 100 000 ბოთლი, თითო 2 მან. 50 კაპ. — 250 000 მან.

II ხარისხის 140 000 ბოთლი, თითო 1 მან. 50 კაპ. — 21 000 მან.

10 ათასი ვედრო ჭაჭის არაყისაგან დამზადებული კონიაკი — 130.000 მან.

ჭაჭისაგან დამზადებული 1555 ათ. ვედრო სპირტის გაყიდვით (ვედრო — 10 მან.) — 15550 მან.

750 ცალი კასრის გაყიდვა, რომელიც დაიცლებოდა ლვინის გაყიდვის შემდეგ თითო 3 მან. — 2250 მან.

სულ — 1 816 570 მან. შემოსავალი.

მეურნეობის წინანდელ ხარჯებს ემატებოდა ყურძნის ყიდვა, 120 000 ვედრო ღვინის მისაღებად — 1 ვედრო 2 მან. — 240 000 მან.

20 000 ვედრო შამპანური — 40 000 მან.

1 000 ვედრო ჭაჭის არაყი აქციზის გადახდით 1 ვედროზე 5 მან.— 50 000, 240 000 ბოთლის შეძენა თითო ბოთლი 8 კაპ., — 19 200 მან.

შამპანურზე გაწეული ხარჯები 15 000 მან.

⁴⁵ 6. ნიკოლაძის წერილი ი. მეუნარგიასადმი, 6. ნიკოლაძის არქივი.

⁴⁶ იქ 3 გ.

სპირტის გამოხდა 140 000 ვედროს რაოდენობით — 1 555 მან.

გაწეული ხარჯები — 15000 მან.

აქციზი — 4 200 მან.

ჭურჭელი კონიაკისა და შამპანურისათვის 12 800 მან.

კასრების გამოშვება, რომელიც შეიცავდა 150 000 ვედროს 35 კაპ.
ვედროზე — 52 000 მან.

საწყობების მოწყობა ვარშავასა და ოდესაში — 3000 მან.

მუხრანში საწყობების წშენება 350 000 ვედრო ღვინისათვის —
525 000 მან. კასრების ყიდვა ამ რაოდენობის ღვინისათვის — 1 225 000
მან.

საბრუნავი კაპიტალი — 1 701 286 მან. 60 კაპ.

სულ — 2 486 786 მან. 60 კაპ.

ასე რომ, მეურნეობის შემოსავალი იქნებოდა:

საკუთარი ბალებიდან — 488 770 მან.

დამზადებული ღვინისაგან — 1 327 800 მან.

სულ 1 816 570 მან.

გასავალი: საკუთარ ბალებზე გაწეული ხარჯები — 62 432 მან.

ღვინის დამზადებაზე გაწეული ხარჯები — 565 755 მან.

აღმინისტრაცია — 56 100 მან.

ვაჭრობა — 145 846 მან.

სულ 830 133 მან.

აქედან მოგების სახით დარჩებოდა 986 438 მან., რომელსაც გამო-
აკლდებოდა 10 %. სავაჭრო აგენტებისა, დარჩებოდა — 887 794 მან. 20
კაპ. ამ თანხას თავის მხრივ გამოაკლდებოდა 60 % ძირითადი კაპიტალის
და საბრუნავი კაპიტალის სასარგებლოდ. საბოლოოდ დარჩენილი თან-
ხა 606401 მან. 4 კაპ. რაოდენობით თანაბრად უნდა გაენაშილებინა
ამხანაგობების წევრებს შორის.

ეს ვრცელი აღწერილობა მეურნეობისა საშუალებას გვაძლევს, ნა-
თელი წარმოდგენა ვიქონიოთ მისი წარმოებისა და მუშაობის შესახებ.
როგორც ვხედავთ, ივ. მუხრანბატონის მეურნეობაში წამყვანი დარ-
გია მევენახეობა-მეღვინეობა, რომლის მიზანია ღვინოების ევროპულ
წესზე დამზადება და მათი გატანა.

ევროპული ღვინოების მიღებისათვის მეურნეობაში დიდი ყურა-
დება ექცეოდა ვენახების მოვლა-დამუშავებას და შემდგ ყურძნის

დაწურვას და ლგინის დაყენებას. საამისოდ ტარდებოდა მთელი რიგი განაკვეთები, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. ამ ხან-გრძლივი წარმოების პროცესში მეურნეობაში გამოყენებული იყო ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები (ცხენის შესაბმელი გუთანი, ვაზის შემწამვლელი მანქანები, ლაბორატორიული ხელსაწყოები და სხვ.).

ყოველივე ამას თან ერთვოდა წარმოების ახალი სისტემის გავრცელება, რასაც ხელს უწყობდა მეურნეობაში სამეურნეო სკოლის არ-სებობა.

ასეთი იყო ტექნიკური მხარე მევენახეობა-მელვინეობის დარგისა, რომელსაც ემსახურებოდა მოსამსახურეებისა და მუშების მრავალრიცხოვნი შტატი, აქედან ბევრი იყო დღიურად, თვიურად და წლიურად დაქირავებული მუშახელი. მუშახელისათვის მეურნეობის ხარჯებში ცალკე იყო აღნიშნული თანხა — 47 000 მან. რაოდენობით. მუშა დღეში იღებდა 30-60 კა. წლიური მუშების ხელფასი უდრიდა 30—70 მან., ხოლო სპეციალისტებისა კი 100—2 000 მან. დაქირავებული მუშები იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე მოსული. ადგილობრივ მუშებს ეკუთვნოდნენ დროებითვალდებული გლეხები და ხიზნები, რომლებიც იმდენად ბევრი იყვნენ მეურნეობაში, რომ ოთხ კატეგორიას შეადგენდნენ. იმის მიხედვით, თუ ვინ რამდენ მიწას ფლობდა. აქედან პირველს ეკუთვნოდნენ — ე. წ. ლიტრა ხიზნები, ე. ი. ისინი, ვინც ფლობდნენ 20 დღიურ მიწას — 10 დღესტ. მეორე კატეგორიას ეკუთვნოდნენ 15 დღიურიანი — 7½ დღესტ. სამხარეჭიანი ხიზნები, მესამე და ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ ნახევარლიტრა ხიზნები, 10 დღიურ — 5 დღესტ. მიწის მფლობელნი და, ბოლოს, მეოთხე კატეგორიას წარმოადგენდნენ ჩარეჭი ხიზნები 5 დღიური — 2½ დღესტ. მიწით, ამათ რომ დაგენდნენ ჩარეჭი ხიზნები 5 დღიური — 2½ დღესტ. მიწით, ამათ გრძლდა, არსებობდნენ კიდევ უმიწო ხიზნები, რომლებიც სარგებლობდნენ მემამულის ვენახებითა და კარმიდამოთი. ამ ხიზნების უმეტესობას ეჭირა ვენახები და ამუშავებდა მათ მემამულესთან დადებული ხელშეკრულების მიხედვით.

ხიზანთა რიცხვი შეადგენდა სულ 77 კომლს, აქედან 9 კომლი იყვნენ ლიტრა ხიზნები, 5 კომლი — სამხარეჭიანი ხიზნები, 28 კომლი — ნახევარლიტრიანები და ჩარეჭიანები — 26 კომლი. უმიწო ხიზნების რიცხვი, რომლებიც დასახლებული იყვნენ მემამულის კარმიდამოში უდრიდა 9 კომლს. ხიზნების უმრავლესობას წარმოადგენდნენ ოსები, შემდეგ ქართველები, სომხები და იშვიათად ბერძნები. ყველა შეძლევა ბულ ხიზანს ჰყავდა 3—4 ულელი ხარი. ისინი ძირითადად ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, იშვიათად მეცხვარეობას და მემამულის სასარგებლოდ ასრულებდნენ სამუშაო ბეგარას.



მათ მიერ მემამულის სასარგებლოდ შესრულებული სამუშავებელი გარა წარმოადგენდა იგივე ვალდებული გლეხების შრომას მემამულის მიმართ, იმ განსხვავებით, რომ ხიზანს უფლება რჩებოდა, წასულიყო ერთი მემამულისაგან მეორესთან. ვერმიშევი, რომელმაც დაწვრილებით შეისწავლა ხიზანთა მდგომარეობა ამ მეურნეობაში, ალწმნავდა მათ მძიმე კაბალურ შრომას და მის უნაყოფობას, რის საფუძველზე ძალა მოითხოვდა საერთოდ ხიზნობის გაუქმებას. ხიზანთა შრომა მას მიაჩნდა უხარისხოდ, რასაც ორავთარი სარგებლობა არ მოპონდა და თავისი დაბალი ტექნიკის გამო იწვევდა ჩიმორჩენილობას სოფლის მეურნეობაში⁴⁷.

მიუხედავდა იმისა, რომ მემამულე სარგებლობდა ხიზნების უფასო შრომით, მაინც წაგებული რჩებოდა მათი ნაკლებნაყოფიერი მუშაობის გამო. „Следствие всего этого является не только экономическая невыгодность работы хизан, но и ея техническия несовершенства“⁴⁸.

სულ სხვა სურათია ივ. მუხრანბატონის მეურნეობაში 90-იან წლებში. როცა უკვე მას განაგებდა მისი შვილი კონსტანტინე მუხრანბატონი. მის დროს ხიზნების დაქირავება ხდება ფულით. ისინი ძველებურად ვალდებული არიან შეასრულონ ესა თუ ის სამუშაო, მაგრამ ამისათვის გასამრჩელოს იღებენ ფულად. მაგალითად, სოფ. მამის-წყაროსა და მუხრანის ხიზნები ბურის ლეჭვის დროს ვალდებული იყვნენ მიეწოდებინათ მუშები ყოველდღიურად ორი თვის განმავლობაში 32 კაცის რაოდენობით; თითოეული მათგანი თვეში მიიღებდა 10 მან., ასევე სოფ. ძალისა და ერედას უნდა გამოეყვნა 34 მუშა ვაზის გასხვლის დროს 12 დღით, თითოეული მუშა დღეში მიიღებდა 30 კაპ., იმ სოფელს კი, რომელსაც არ შეეძლო მუშახელის მოწოდება, უნდა გადაეხადა ფული, მაგ, სოფ. სხალტბის მოსახლეობა ვალდებული იყო, გადაეხადა 85 მან. ნაცვლად მუშების მოწოდებისა. ასევე ფულადი გასამრჩელო ეძლეოდათ ხიზნებს, რომლებიც ვალდებული იყვნენ მიეწოდებინათ მეურნეობისათვის ვაზის სარები. თითოეული ურემი სარი შეფასებულ იყო 1 მან. 50 კაპ. მეურნეობაში კირის გამოწვაზე მომუშავე დაქირავებულ მუშას ეძლეოდა 50 კაპ. დღეში. მათი რიცხვი უდრიდა 228-ს. ივ. მუხრანბატონის დროს ხიზნები ასრულებდნენ სამუშაო ბეგარას მოსავლის ნაწილის მიღების სანაცვლოდ. მემამულე ვალდებულად თვლიდა თავს, ხელი გაემართა ხიზნებისათვის — მიეწოდე-

47 В ер м и ш е в, Хизаны и хизанство, 88. 19.

48 ვერმიშევს ფულად გამოანგარიშებაზე აქვს გადაყვანილი მათი ვალდებულებები.



გინა მისთვის სახლის ასაშენებელი ხე-ტყე და ხუთი წლის განმავლობაში განვითარდა გადასახადისაგან, ხოლო ამ ვადის გასვლის შემდეგ ხიზანი ვალდებული იყო მემამულისათვის ეხადა მოსავლის ერთი მეშვიდედი.

90-იანი წლებისათვის კი მუხრანის მეურნეობაში, რომელიც თავისი სიდიდით პირველი იყო კავკასიაში, მტკიცება ფულადი რენტა და ახალი დარგების წარმოებასთან დაკავშირებით იზრდება დაქირავებულ მუშათა რიცხვი.

1897 წელს კონსტანტინე მუხრანბატონის მეურნეობაში გასაყიდად მზად იყო ნახევარ მილიონი მანეთის ღვინო. ამ მეურნეობას რუსეთში ჰქონდა ღვინის გასაღების 18 რაიონი; თითოეულ რაიონს თავის აგენტი ჰყავდა, რომელიც აწარმოებდა ღვინის ვაჭრობის საქმეს. გარდა რუსეთისა, მუხრანბატონის ღვინოები კვლავინდებურად იყიდებოდა ვარშავაში და მცირე რაოდენობით იგზავნება ამერიკაშიც კა⁴⁹. ამ უზარმაზარი მეურნეობის კაპიტალბრუნვა 1896 წელს შეადგინდა 300 000 მანეთს.

მეურნეობაში ეწეოდნენ აგრეთვე მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობასა და მეხილეობას. მეურნეობის მთავარმართველსა და ზედამხედველს აბაზაძეს გათვალისწინებული ჰქონდა ხეხილის ბალის გაშენება 50 დესეტ. ფართობზე. ქედიან 5 დესეტინაზე უკვე დარგული იყო ხე 1200 ცალის რაოდენობით. ნერგები გამოწერილი იყო ზაქათალიდან, როსტოკიდან და შეძენილი იყო მეურნეობაში მოწეული ბოსტნეულის გაყიდვის ხარჯზე. მეურნეობაში წინანდებურად ეწეოდნენ ხორბლის, სიმინდისა და ქერის თესვას. არ მივიწყებულა მესაქონლეობაც, მერძევეობის გაუმჯობესების მიზნით მეურნეობამ ბარონ კუჩენბახის ფერმიდან შეიძინა ძროხები. მეურნეობა ითვალისწინებდა აგრეთვე მეფრინველეობის ფერმის გაშენებას და გასაყიდად საბოსტნე თესლის დამზადებას.

ასეთი იყო მუხრანის მეურნეობა, რომელიც 1897 წლისათვის, „კავკასიის სოფლის მეურნეობის“ კორესპონდენტის სიტყვით რომ ვთქვათ, ლეგიონებით მუშებს იტევდა, რომლებიც ზარის ხმაზე დგე-

⁴⁹ «КСХ», 1897 წ., № 162.

ბოდნენ დილით და საერთო სასადილოში სადილობდნენ. მოუწვდისა მისა, ჯერ კიდევ არსებულ დროებითვალდებულ გლეხთა შრომას მაინც თავისი შედეგი გამოუღია და ვაზის არაწესიერი მოვლის გამოკ. მუხრანბატონის სოფ. დილომში მთლიანად დაუკარგავს მოსავალი⁵⁰.

ამრიგად, ჩვენ მიერ შესწავლილი მეურნეობის განხილვის შედეგად ნათლად წარმოგვიდგება მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ეკონომიკის პროცესი, რომელიც XIX ს-ის 40-იანი წლებიდან იწყება და მთელი საუკუნის მანძილზე ვითარდება.

ამ მეურნეობისათვის დამახასიათებელია ზემოაღნიშნული პროცესის ყველა ძირითადი ნიშანი: ორი სისტემის, საბატონო და კაპიტალისტურის თანაარსებობა, დაქირავებული მუშახელის გვერდით ჯერ კიდევ დროებითვალდებულ გლეხთა შრომის გამოყენება, მეურნეობაში, მანქანა-იარაღების ხმარება, მეურნეობის დარგების სპეციალიზაცია, ბაზრისათვის პროდუქციის დამზადება და სხვ.

ივ. მუხრანბატონის მეურნეობიდან ბაზარზე გადიოდა ბოსტნეული, პური, რძის ნაწარმი (კარავი, მაწონი), საქონლიდან — ცხვარი, უფრო გვიან გასაყიდად მზადდებოდა თივა და თესლეულიც კი, რომ არაფერი ვთქვათ ღვინოზე.

თუ რა მონდომებით ცდილობდა ივ. მუხრანბატონი მანქანა-იარაღების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში, ამას არა ერთხელ აღვნიშნავდით მეურნეობის აღწერის დროს. მანქანა-იარაღების გამოყენება სცადა მან ხენაში, თიბგაში, ვენახების მოვლა-გაშენებაში და სხვ. ამათგან ზოგს წარმატება ხვდა, ზოგი კი ასე ადვილად ვერ ინერგებოდა მეურნეობაში. შუმანის გუთანი, რომელიც თითქოს „წარმატებით იქნა ხმარებული“, მთლიანად ვერ შეეთვისა ადგილობრივი მიწის თავისებურებასა და პირობებს და ვერ შესძლო შეეცვალა ქართული გუთანიც გაუმჯობესდა და ცნობილი გახდა „მუხრანულის“ სახელით⁵¹.

90-იან წლებში მეურნეობაში ჯერ კიდევ არსებობდა დროებით-ვალდებულ გლეხთა შრომა, მაგრამ საგრძნობლად გაზრდილია დაქირავებულ მუშათა რაოდენობა.

ყოველივე ეს მომასწავებელია ახალი კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებისა სოფლის მეურნეობაში, რომელიც წარმოებდა მეტისმეტად ნელა და სიძნელეების გადალახვით. ეს კი გამოწვეული

⁵⁰ „KCX“, 1897 წ., № 161.

⁵¹ გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1948 წელი, „მიმომზღველი“, ტ. I, 1945, გვ. 371.



იყო ძველი, ბატონიშვილი ურთიერთობის ნაშთების არსებობით, კაპიტანი გადა
ტალის სიმცირითა და მუშახელის ნაკლებობით. არსებული სიძნელე-
ები შეტ-ნაკლებად ხელს უშლიდნენ ყოველთვის ახალი ურთიერთობის
დამკვიდრებასა და განმტკიცებას მისი ჩასახვისა და განვითარების
მთელ მანძილზე.

მიუხედავად ამისა, სოფლის მეურნეობაში ვითარდებოდა კაპიტა-
ლისტური წყობილება, რომელიც სპობდა ძველ, კარჩაკეტილ ნატურა-
ლურ მეურნეობას და ქმნიდა ახალ წარმოებასა და ურთიერთობას.

ალექსანდრე და დაბით ჭავჭავაძეების
 გეურნეობა

საქართველოსა და ამიერკავკასიაში ცნობილი იყო ჭავჭავაძეების მეურნეობა კახეთში.

ჭავჭავაძეებს დიდი გავლენა ჰქონდათ რუსეთის ხელისუფლების წინაშე, მათ მიერ გაწეული დამსახურების გამო. გარსევანი სრულუფლებიანი ელჩი იყო ერეკლე მეფისა და მთავარი მონაწილე საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. ამისათვის იგი დაჯილდოებული იყო ყმა-მამულით, როგორც ერეკლე მეფისაგან, ისე რუსეთის იმპერატორ პავლესაგან.

გარსევან ჭავჭავაძის მამული მდებარეობდა ოელავისა და სიღნაღის მაზრებში. ეს იყო სოფლები: წინანდალი, ნაფარეული, მუკუზანი, ზეგანი, ველისციხე და ურიათუბანი.

იქ, საღაც გარსევანი აღწერს თავის ყმა-მამულს, აღნიშნავს თავის შემოსავალს როგორც ამ მამულიდან, ისე თავის სამოხელეოდან — ყაზახის ელის საგამგეოსაგან.

გარსევანი გარდა იმისა, რომ საქართველოს ელჩი იყო რუსეთის კარზე, ეშიკალისბაში იყო კახეთისა, საიდანაც ორასი თუმნის შემოსავალი ჰქონდა. ყაზახის ელის საგამგეოსაგან კი — სამასი თუმანი.

ყაზახი მომთაბარე ტომი იყო. ისინი ზაფხულობით სტოკვებდნენ სახლებს და მთაში მიღიოდნენ საცხოვრებლად. მათი რიცხვი სულ ოთხი ათას კომლს უდრიდა და ბარად ყოფნის დროს მიწათმოქმედებას ეწეოდა. წესისამებრ ყაზახი მოვალენი იყვნენ გარსევან ჭავჭავაძისათვის მიწა დაემუშვებინათ, და დაეთესთ, ამ მიწებიდან შემოდიოდა ბური, ქერი, ბრინჯი, რომელიც სახლის საჭიროებისათვის იხმარებოდა. მოსავლის ზედმეტი ნაწილი იყიდებოდა, რაც იშვიათად ხდებოდა. „მუნითგან მქონდა მოსავალი პურისა, ქერისა და ბრინჯისა საქმაოდ სახლისა ჩემისა და არა იშვიათად გავყიდდი მოსავლისამებრ მომეტებულისა“¹ — წერს გარსევანი.

¹ სცია, ფ. № 2, საქ. № 109.

გარდა ამ სამოხელეო შემოსავლისა გარსევანს ჰქონდა თავის მიზანულია საკუთარი ყმა-მამული კახეთში. ყმების რიცხვი უდრიდა ორიათას სულს, რომელიც დასახლებული იყვნენ „კახეთსა შინა, უკეთესსა და ნაყოფიერს ადგილას“². ისინი ეწეოდნენ მიწათმოქმედებას, ჰქონდათ საკუთარი ბაღ-ვენახი და ბაღჩანი. ისინი მემამულეს გადასახადს უხდი-დნენ უმთავრესად ღვინით. თვითონ გარსევანი აღნიშნავს, რომ „მე აქამომდე გარდა არას ვართმევდი და იმათაც მცირედ, რადგანაც კმაყოფილი ვიყავი ჩემი სხვადასხვა შემოსავლით“³.

ჭავჭავაძეების სხვა საბუთებში აღნიშნულია, რომ გარსევან ჭავჭავაძის წლიური შემოსავალი დამოკიდებული იყო მოსავალზე; ღვინის კარგი მოსავლიანობის დროს გლეხის თითოეული ოჯახი იხდიდა 1 სა-პალნე ღვინოს, საშუალო მოსავლიანობის დროს კი ნახევარ საპალნეს, ლობიოს აძლევდნენ ბატონს იმ შემთხვევაში, თუ ბატონი მოითხოვდა და არა ყოველ წელიწადს, ოჯახზე ერთ ლიტრას⁴.

გლეხური მეურნეობების გარდა გარსევანს ჰქონდა საკუთარი ბაღ-ვენახები, რომელთაგან ყოველ წელს ოთხი ათასი მანეთის შემოსავალი ჰქონდა.

ასე რომ, კახეთის მსხვილი მემამულე, ერეკლე მეფის ელჩი გარსევან ჭავჭავაძე ფლობდა 300-მდე კომლ გლეხს და ჰქონდა 12 ათასი მანეთი შემოსავალი წელიწადში.

მასვე ეკუთხხოდა ორი ქვიტკირის სახლი წინანდალსა და თელავში და დაუსახლებელი ადგილები, რომელიც ოდესლაც სოფლებს წარმოადგენდნენ ე. წ. ხარაბანი (ხარაბა ნიშნავს სოფელს „სადა ყოფილ არს შენობა და აწ არლა არა არს“).

გარსევან ჭავჭავაძე, რომელიც რუსეთში წასავლელად ემზადებოდა, მოითხოვდა თავისი ყმა-მამულის თანაბარ ქონებასა და სამოსახლოს რუსეთში. ამიტომ აღუწერდა თავის ქონებას, რომელიც მისი წასვლის შემდეგ ხაზინას უნდა გადასცემოდა. რუსეთის იმპერატორმა პავლემ საქართველოს ელჩი ათასი სული გლეხით დააჯილდოვა, რასაც არაერთხელ იხსნიებდნენ ალქსანდრე და დავით ჭავჭავაძეები.

მართალია, გარსევან ჭავჭავაძე თავის ოჯახით ცხოვრობდა რუსეთში და იქვე გარდაიცვალა, მაგრამ არც დაპირებული ათასი სული

2 ცია, ფ. № 2, საქ. № 91.

3 იქვე.

4 იქ, სადაც გარსევანი ლაპარაკობს გლეხების გადასახადებზე, აღნიშნავს, რომ გაუთავებელი ომიანობის დროს შეუძლებელია გლეხებს მოსთხოვო ყველა გადასახადის გადახდა და აქვე შენიშნავს, რომ საერთოდ ქართველ გლეხს უფრო მეტი გადასახადები აქვს, ვიდრე რუს გლეხს.

5. ნაცვლიშვილი.

გლეხი და არც ყმა-მამული მას არ მიუღია. მისი შეილი, ჩვენი სასიქა-დულო პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე რუსეთის სამპერატორო კარზე იზრდებოდა და შემდეგში ერთ-ერთ გავლენიან პირად ითვლებოდა რუსეთის ხელისუფლების თვალში.

იმ რაციონალიზატორ მემამულეთა შორის, რომელნიც ცდილობდნენ თავიანთი მამულის გარდაქმნასა და მეურნეობის ახლებურ წესზე წარმოებას, ალ. ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველი ინიციატორთაგნი იყო ამ საქმისა. იგი თავიდანვე შეუდგა თავისი მამულის კეთილმოწყობას და შეეცადა ახლებურ წესზე გარდაქმნა, შემოსავლიანი გაეხადა თავისი მამულის წარმოება. ეს თავდაპირველად გამოხატა თავის მამულში საიგარო წესების შემოღებაში — მიწების ნაკვეთებად გაქირავება-ში და სამაგიეროდ მეურნეობის მუშახელით უზრუნველყოფაში.

უფრო გვიან რუსი მოხელე ალნიშნავდა რა ამ ფაქტს, ალ. ჭავჭავაძე მიაჩნდა პირველ დამწყებად ამ რუსული ანუ ევროპული სისტემის გავრცელებისა ამ მხარეში, რომელიც, მისი აზრით, მხოლოდ რუსეთის მფლობელობის 45-ე წელიწადს განხორციელდა⁵. მაგრამ ჯერ კიდევ 20-იან წლებში დაიწყო ალექსანდრემ ამ სისტემით თავისი მეურნეობის წარმოება.

1820 წლისათვის ალ. ჭავჭავაძეს უკვე გამართული მეურნეობა ჰქონდა. მას ამ დროისათვის მეურნეობიდან 30 ათას თუნგამდე ღვინო შემოსდიოდა და მეაბრეშუმეობას ეწეოდა. საფრანგეთის კონსული გამართა, რომელიც ამ წელს იმყოფებოდა ალ. ჭავჭავაძის მამულში, ალ-ტაცებული იყო აქ მოწეული ღვინოებით და მოხარული იყო, რომ შესაძლებლობა მიეცა გასცნობოდა აბრეშუმის გამოყვანის აღმოსავლურ წესს.

ალ. ჭავჭავაძეს ბლომად ჰქონდა თუთის ხეები ნაფარეულში, მათი რიცხვი 760 უდრიდა და მეაბრეშუმეობაში წარმატება ჰქონდა, მაგრამ ომიანობამ და ლეკების შემოსევებმა ხელი შეუშალა მას განევითარებინა ეს საქმე.

გამბასავე გადმოცემით, ალ. ჭავჭავაძე მიწებს ამუშავებდა თავისი გლეხებისა და იმერლების საშუალებით. გლეხები ვალდებული იყვნენ კვირის განმავლობაში ერთი დღე ემუშავათ ბატონის მამულში, ხოლო დანარჩენი ხუთი დღე თავის მიწაზე, რომელიც იჯარით ჰქონდა აღებული მისგან. გლეხები ვალდებული იყვნენ აგრეთვე მოსავლის ერთი მეშვიდედი ბატონისათვის მიეცათ.

⁵ სცია, ფ. № 4, საქ. № 71.

⁶ Gamba—Voyage dans la Russie 1826. გვ. 84—85.

რაც შეეხება იმერლებს, ისინი მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ, მოჯამაგირებადაც მუშაობდნენ, მაგრამ უფრო ცნობილი იყვნენ როგორც ვაზისა და ვენახის მოვლის კარგი მცოდნენი, მიუხედავად ამისა, მათ 20 მანეთზე მეტს წელიწადში არ აძლევდნენ. მაშინ როცა სხვა მუშებს 30 მანეთად ქირაობდნენ. გამბა ამას ხსნილა იმით, რომ იმერლებს მათი ყოფილი ბატონები არ ასვენებდნენ და თავიანთ უფლებას აცხადებდნენ საკუთარ ყმებზე, ამიტომაც — შენიშნავს იგი — ისინი ისე სასურველი აღარ არიან როგორც უწინ და მათი რიცხვიც ამ დროისათვის ისე დიდი არ არისო, როგორც იყო აღრე.

ალ. ჭავჭავაძეს თავისი მეურნეობის წარმოება მძიმე პირობებში უხდებოდა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს ის ძალაუნებურად მოშორებული იყო ამ საქმეს. ამას ემატებოდა ლეკების თარეში და მისგან თავდაცვისათვის ზრუნვა. რითაც მუშახელი იყლდებოდა როგორც მის მეურნეობას, ისე მთელ მხარეს. ლეკების თავდასხმისაგან ქვეყანას იცავდა მილიცია, რომელიც, რასაკვირველია, უმთავრესად გლეხობის ხარჯზე იყო⁷.

ხოლო ჭავჭავაძიანთ სახლი, რომელიც ცნობილი იყო თავისი ფუფუნებითა და სტუმართმოყვარეობით, აუარებელ ხარჯსა და კაპიტალს მოითხოვდა. ისინი მაგალითის მიმცემის იყვნენ ყოველივე სიახლისა ძველ ფეოდალურ ოჯახების ყოფა-ცხოვრებაში. მათი სალონის კარები მუდამ ღია იყო როგორც ქართველი, ისე რუსეთიდან ჩამოსული პოეტებისა და საზოგადო მოღვაწეებისათვის.

1833 წლისათვის ალ. ჭავჭავაძის წლიური შემოსავალი უდრიდა 6000 მანეთს და მთავარ შემოსავლის წყაროს წარმოადგენდა პური და ღვინოზ, რომლის პროდუქციის გაზრდისათვის იგი არაფერს არ ზოგავდა. ამიტომაც მის იმედი ჰქონდა, რომ ამ ღონისძიებების ჩატარების შემდეგ შემოსავალი გაორკეცლებოდა. მთავარი დაბრკოლება მანც კაპიტალის ნაკლებობა იყო და ამიტომაც სესხს ხშირად მიმართავდა.

ალ. ჭავჭავაძე თავის ჩვენებაში 1833 წელს აღნიშნავდა, რომ მხოლოდ 1831 წლის განმავლობაში მევალებს 40 000 მანეთი მისცა. დავალიანებით ხსნიდა იგი ხაზინიდან 6000 ფუთი სპილენძის შეძენას, ფუთი 7 მან. ამ საქმეში ალ. ჭავჭავაძეს შუამდგომლობდა ზავილეისკი. ეს სპილენძი, რომელიც შეძენილი იყო აღავერდის სპილენძის კანტორიდან 50.000 მანეთის რაოდენობით, ალ. ჭავჭავაძეს ეძლეოდა თავისი მამულის გირაოდ 7 წლის ვადით⁸. ამ 7 წლის განმავლობაში უნდა გა-

7 სცია, ფ. № 4 საქ. № 71.

8 სცია, ფ. № 1457, ღურა. № 8.

9 სცია, ფ. № 8 საქ. № 2020.

დაეხადა სპილენძის ღირებულება. ჩვენებაში კითხვაზე თუ რისთვის შეიძინა მან ეს სპილენძი, ჭავჭავაძე პასუხობს, რომ მას ჰქონდა აუარებელი ვალები, რომლის გასტუმრებასაც ის ამის საშუალებით აპირებდა. მევალები იყვნენ: სოლომონ გურგენიძე, რომლის ემართა 2178 მანეთი, ივანე ამატუნი — 3223 მან., საგიორვი — 35920 მან. თავისი პროცენტებით, ბექან ხატისოვი, თელაველი მღვდელი ივანე ზურაბოვი და სხვ. ყველა ეს თანხა გავისტუმრე ხაზინიდან გამოტანილი სპილენძის ხარჯზე. გარდა ამისა, არას ვამბობ თბილისში დუქნებისა და სარდაფების აშენებაზე და აგრეთვე ქვის წისქვილის აგებაზე¹⁰ — აღნიშნავს — ალ. ჭავჭავაძე.

მიუხედავად ძველი ვალებისა, ალ. ჭავჭავაძე 1835 წელს კვლავ იღებს სესხს — 85 714 მანეთს 26 წლის ვადით. ეს სესხი მას ეძლეოდა თავისი მამულის გირაოდ, რომელიც შეფასებული იყო 432 000 მანეთად. ამაში იგულისხმებოდა 1860 კვ. დესეტ. მიწა, 273 დესეტ. ვენახი, 20 ქვის წისქვილი და 10 ქვის სახლი, 1137 გლეხი. წლიური ხელფასი ალ. ჭავჭავაძისა უდრიდა 2000 მანეთს. ამ თანხის დაფარვისათვის ალ. ჭავჭავაძე შემდეგ შეღავათს ითხოვდა. ფინანსთა მინისტრი აღნიშნავდა რა ჭავჭავაძის ვალების რაოდენობას, თანახმა იყო შეღავათი მიეცა მისთვის ვალების გადახდაში, იმ პირობით, რომ ალ. ჭავჭავაძეს მიეცემოდა სესხი ძველი წესის მიხედვით. ჭერ კიდევ ვორონცოვის შუამდგომლობით ალ. ჭავჭავაძეს შეღავათი მიეცა 7985 მანეთის გაუქმებით. ამჯერადაც ვალის გადახდის ვადა უხანგრძლივდებოდა 10 წლით¹¹.

თავის გართულებულ მდგომარეობას ალ. ჭავჭავაძე ხსნიდა მთელი რიგი მიზეზებით. ერთერთი მიზეზზი იყო, რომ ყვავილის გაჩენამ და კარანტინის დაწესებამ შეაფერხა საქონლის რეალიზაცია, რამაც შეამცირა მისი შემოსავალი¹². გარდა ამისა, ისეთმა ხარჯებმა, რომელიც გამოიწვია ორთქლის ორყოსახდელის მოწყობამ, ღვინოების რუსეთში გატანამ და სარდაფების მოწყობამ თბილისა და სტავროპოლში შეამცირა მეურნეობის სახსრები და ბოლოს, კაპიტალის საერთო ნაკლებობამ საქართველოში ხელი შეუშალა ღვინის გაყიდვისა და რეალიზაციის საქმეს. ამას ემატებოდა ლექების თავდასხმები, რომელსაც მუდამ განიცდიდა კახეთის მოსახლეობა. მიუხედავად ამისა, ალ. ჭავჭავაძე არასდროს არ წყვეტდა თავისი მეურნეობის წარმოებას, რომლის

¹⁰ ეს დუქნები და სარდაფი ჰქონდა მას აელაბრის ხიდის ახლოს, რომლის შინა ედავებოდა ყორლანტი. სენატის დაღენილებით. ეს მიწის ნაკვეთი ქალაქის საკუთრებად იქნა ცნობილი. ფ. № 4, საქ. № 621.

¹¹ ლენინგრ. ისტ. არქივი, ფ. № 1268, საქ. № 330.

¹² სცია, ფ. №, საქ. № 380.

სულ უფრო და უფრო გაუმჯობესებას ცდილობდა. „...Он надеется, —
წერდა რუსი მოხელე, что будет иметь необходимые последствия
по принимаемым теперь мерам, скорое возвращение в Кахетии
тишины и спокойствия, тогда как он так и все помощники будут
иметь большие возможности заниматься устройством своего хо-
зяйства“¹³. მაგრამ აღ. ჭავჭავაძეს არ დასკალდა თავისი მეურნეობის
საბოლოოდ გამართვა-მოწყობა.

მან კაპიტალის მიღების მიზნით „პრიკაზში“ დააგირავა ნაფარეუ-
ლი 3750 მანეთად. გარდა ამისა, აღ. ჭავჭავაძე ფულისათვის კერძო
პირებსაც მიმართავდა ხოლმე. წინანდალში ცნობილი „დიდი კაპიტა-
ლისტი“ ველისციხელი ვაჭარი მარტიროს ტერტერაშვილი სამი დღის
განმავლობაში ყოფილა ალექსანდრესთან წინანდალში და საკრედიტო
ანგარიშებს ასწორებდა თურმე¹⁴.

რადგანაც აღ. ჭავჭავაძეს ხშირად უხდებოდა სამსახურებრივი
მოვალეობის გამო კახეთიდან გასვლა და სხვადასხვა აღგილებში ყოფ-
ნა, სურდა რომ მეურნეობაში ყოლოდა ვინმე მმართველად, რომე-
ლიც მის მაგიერ განაგებდა მეურნეობის საქმეებს და მას მხოლოდ
განსაზღვრულ თანხას ჩააბარებდა. ამ მიზნით მისცა თავისი მამული
იჯარით ვინმე რენტელს, რომელიც ვალდებული იყო მამულიდან ალე-
ბული შემოსავალი ჩაებარებინა აღ. ჭავჭავაძისათვის ფულად. რენ-
ტელი იყო სამხედრო სამსახურიდან გამოსული კაპიტანი, რომელთა-
ნაც ალექსანდრემ დასლო ხელშეკრულება 7 წლით 1842 წლის იანვ-
რიდან. მას გადაეცა თითქმის ყველა მიწა. რენტელი ვალდებული იყო
ალექსანდრესათვის ჩაებარებინა 3500 მანეთი. მაგრამ რენტელმა ვერ
გაამართლა იმედები და გაუმჯობესების მაგიერ განადგურებამდე მი-
იყვანა მეურნეობა. რენტელი უცხო კაცი იყო და ანგარიში არ უწევ-
და აღგილობრივ მოსახლეობის მოთხოვნილებებსა და ჩვეულებებს,
რითაც ოპშეფოთა თავისი ქვეშევრდომი გლეხები. ასევე უვიცობა გა-
მოაქცავნა მეურნეობის წარმოების საქმეში. მან ცხენები შეუშვა
ვენხებში და განადგურებამდე მიიყვანა სათუთ მოვლას ჩვეული ვა-
ზები. ვერ გაართვა თავი მეურნეობის წარმოებას, იძულებული იყო
თვითონ მიეტოვებინა იგი და 1842 წლის ივლისში წამოვიდა იქიდან.
მიუხედავად ასეთი ზარალისა, რაც მან მეურნეობას მიაყენა, იგი მოი-
თხოვდა თავის კუთვნილ ხელფასს და ხელშეკრულების აღდგენას. იგი

¹³ ЦГИАЛ, ф. № 1268, дело № 330.

¹⁴ ს. ხუციშვილი, მასალები აღ. ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის, ზურნ.
„ცისკარი“, № 7, 1957.



თავისი ნებით მივიღა ნაფარეულში და დაიწყო ბეღელში შენაბეჭდის მუშებისათვის მისაცემი პურის გასაყიდად გატანა.

ალ. ჭავჭავაძის რწმუნებული სთხოვდა ხელისუფლებას, ჩამოე-შორებინათ რენტელი ჭავჭავაძის მეურნეობიდან, რადგან მის ხელში ამ მეურნეობას განადგურება ელოდა და მისი პატრონი ვერ შეძლებ-და ვალების გასტუმრებას, თუკი არ ექნებოდა შემოსავალი. რენტელი კი დაუინებით მოითხოვდა მიეცათ მისთვის ჭავჭავაძის გლეხებისაგან შემოსული პური და ღვინო. ეს იყო 300 საპალნე ღვინო და 3000 კო-დი პური. ალ. ჭავჭავაძის რწმუნებული ნესტეროვსკი იძულებული იყო მიეცა მისთვის ნაფარეულის გლეხობისაგან შემოსული 180 კოდი პურიდან 60 კოდი, ხოლო ღვინო ვერ მისცა, რადგან არ იცოდა ვის-თვის რამდენი გამოერთმია. რწმუნებული აღშფოთებული იყო რენ-ტელის საქციელით და სთხოვდა სახელმწიფო პალატას მის დასჯას, ხელშეკრულების გაუქმებას და ნაფარეულიდან წაღებული პურის ანაზღაურებას¹⁵.

ალ. ჭავჭავაძე არა ერთხელ მიმართავდა მას დარიგებებითა და ოჩევით, მაგრამ რენტელს არაფრის გაგება არ სურდა. „Этот офицер, — пишет ჭავჭავაძის რწმუნებული— взял в голову, что он арендатор не внимал никаким советам¹⁶. რენტელის მიერ მეურნეობის დატო, ვების შემდეგ ალ. ჭავჭავაძე თვითონ შეუდგა მისი საქმეების წარ-მოებას. ამის შემდეგ მას დიდხანს არ უცოცხლია — 1846 წლის ნოემ-ბერში მოულოდნელად დაიღუპა სახელოვანი პოეტი და დაუცერო-მელი მოამაგე თავისი საქმისა.

ამრიგად, XIX ს-ის 40-იანი წლებისათვის კახეთში ჭავჭავაძის მე-ურნეობა წარმოადგენდა ერთ-ერთ მსხვილ მემამულურ მეურნეობას, სადაც ძირითადად აწარმოებდნენ პურსა და ღვინოს, უმთავრესად ღვინოს, რომლითაც განთქმული იყო კახეთი და განსაკუთრებით ჭავჭავაძიანთ მამული.

მეურნეობაში დამზადებულ პროდუქციას ჰქონდა სასაქონლო ხა-სიათი და ძირითადად ამ მიზანს ემსახურებოდა მისი წარმოება. აქ დამზადებული ღვინოები გადიოდა როგორც ადგილობრივ, ისე რუსე-თის ბაზრებზე.

მეურნეობაში გამოყენებული იყო ტექნიკის სიახლენი, ასე მაგა-ლითად, ორთქლის არაყსახდელი. რაც მთავარია მეურნეობაში იყე-ნებდნენ დაქირავებულ მუშახელს — ადგილობრივ მოსახლეობასა და მოსულ იმერლებს.

15 სცია, ფ. № 4, საქ. № 71.

16 იქ 3 ვ.



ალ. ჭავჭავაძე ცდილობდა თავის მეურნეობაში გამოეყენებინა უკუცულებელი სიახლე, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა გაეუმჯობეშდა სებინა მისი წარმოება, ამას, მისი აზრით ხელს უშლიდა მხოლოდ კაპიტალის ნაკლებობა, რომლის მოპოვებისათვის ის დაუცხრომლად იღწვოდა.

სინამდგილეში ახლა წარმოების დანერგვა წარმოუდგენელი იყო ბატონიყმობის გაუქმების გარეშე.

ახალი ურთიერთობის განვითარება ფეხს იკიდებდა ჩვენს სასაქონლო პროდუქციის ზრდით, ტექნიკის სიახლეთა გამოყენებითა და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებით სოფლის მეურნეობაში. ყოველივე ეს კარგად ჩანს ალ. ჭავჭავაძის მეურნეობაში.

ალ. ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ მეურნეობა მისი შვილის დავით ჭავჭავაძის ხელში გადავიდა; აქედან უკვე ძნელი ხდება იმის დადგენა, თუ როგორ ხდებოდა ამ მეურნეობის წარმოება. საამისოდ ჩვენ არ გაგვაჩნია საქმაო საბუთები, მასალები, რომლებიც აღწერდნენ მეურნეობის ხარჯთაღრიცხვასა და შემოსავალს.

როცა საუფლისწულო უწყება იბარებდა ამ მეურნეობას, მან ვერ შეძლო მეურნეობის სააღრიცხვო მასალების მოქება. ამიტომ მოხელენი იძულებული იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ მეურნეობის გამგებელთა მიერ მიწოდებული ცნობებითა და უკანასკნელი წლის (1885) მოსავლით განესაზღვრათ ამ მეურნეობის შემოსავალი.

თვითონ დავითს არ ეცალა ეწარმოებინა საქმეები, რადგან სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. მისი მთავარი საზრუნვავი იყო ფუფუნებითი ცხოვრებისათვის საჭირო თანხები არ მოკლებოდა მის მრავალრიცხვან ოჯახს¹⁷; შვილების აღზრდას, რომელსაც მხოლოდ უცხოეთიდან ჩამოსულ გუვერნიორებს ანდობდა, მრავალი თანხა სჭირდებოდა. ამიტომ არა რომ დავითის როგორც ოფიციალური საქმეები, ისე პირადი წერილები, ყოველთვის აღსავსეა ვალებზე, უფლობასა და სესხის მიღებაზე ჩივილითა და წუხილით. „Ты мой друг и можешь быть совершенно спокоен, что должная сумма своевременно будет взнесена, теперь-же принимаю меры обеспечить этот долг из поступающих доходов¹⁸, წერს დავითი ერთერთ წერილში.

1867 წელს დავითმა 15000 მანეთი მიიღო სესხად თავის დის ეკატერინე დადიანისაგან.

¹⁷ დავითის მეუღლე იყო ილია ბატონიშვილის ასული ანა, რომელთანაც ცხრა შვილი ჰყავდა. სალომე, მარიამი, ელენე, თამარი, ნინო და ანასტასია, ვაჟე-ზი: ილია, სანდრო და არჩილი.

¹⁸ საქ. სახ. მუშ. ხელნაშ. 17397—6.



დავითს ჰქონია ვინმე ალენოვის ვალი, რომლის გასტუმრების შეზღუდვა დახმარება გაუწია მისმა შეგობარმა, რითაც თავიდან აშორა უსია-მოვნება.

ალ. ჭავჭავაძეს საკმაოდ დიდი თანხა დარჩა გასასტუმრებელი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დავითს დააწვა ვალად. ამათ აღ-მოჩნდა დავით ჭავჭავაძის თხოვნა რუსეთის ხელისუფლების წინაშე ახალი სესხის მისაღებად.

1847 წელს მოუსავლიანობამ და ხოლერამ დიდი ზარალი მიაყენა დავით ჭავჭავაძეს როგორც სულიერად, ისე მატერიალურად. მას ხოლერისაგან გარდაცვალა დედა სალომე ავალიშვილის ასული, ამის შესახებ ის შენიშნავდა, რომ მან დაკარგა უკანასკნელი იმედი თავის ცხოვრებაში.

მოუსავლიანობის გარდა მეურნეობისათვის უფრო მძიმე იყო მუშახელის დაკარგვა, ხოლერამ 110 სული გლეხი გაუწყვიტა დ. ჭავ-ჭავაძეს. „...лишась столько рук в имении я не в состоянии заменить их другим“¹⁹ — წერდა იგი ამის შესახებ.

ამას ემატებოდა გართულებული საგარეო მდგომარეობა. კახეთის მოსახლეობა გნიცლიდა ლეკების გამანადგურებელ თარეშებს, რის-გან თავდასაცავად შექმნილი იყო სახალხო მილიცია. მას თვითონ და-ვით ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა, რომელსაც ევალებოდა თავის ხალ-ხიც გამოიყვანა, რაც არც ისე აღვილი საქმე იყო, რადგან მეურნეო-ბას მუშა ხელი აქლდებოდა.

„მე ამათის გულისათვის, — წერდა ის თავის მეგობარს, — ჩემს ოჯახს ვერ მივხედე, ყველაფერი გამოიხრდა, და მადლობის მაგიერ უსიამოვნების მეტს ვერას ვხედავ“²⁰. 1854 წელს ლეკები თავს დაესხ-ნენ დავით ჭავჭავაძის ოჯახს წინანდალში, სახლი გადასწვეს, იქაურო-ბა გაანადგურეს, პატარა ძუძუმწოვარა ბავშვი მოჰკლეს, რომელიც ხელიდან გაუვარდა ანა ბატონიშვილს და დავითის ცოლშვილი ტყვედ წაიყვანეს. შამილი 1 მილ. მანეთ ითხოვდა დავით ჭავჭავაძის ცოლ-შვილში, მაგრამ შემდეგ 40 000 მანეთ დათანხმდა. რუსეთის ხელი-სუფლებამ დახმარების სახით მისცა რამდენიმე ათასი მანეთი, მაგრამ ის საქმარისი არ იყო დანგრეული კარმიდამოსა და მეურნეობის აღ-საღენად.

ასეთ მძიმე პირობებში უხდებოდა დავით ჭავჭავაძეს თავისი მე-ურნეობის წარმოება, რომელსაც კარგი მოვლისა და ზრუნვის შედე-გად შესაძლებლობა ჰქონდა გაცილებით მეტი შემოსავალი მიეღო, ვიდრე ჰქონდა.

19 ЦГИАЛ, ф. 515, Д. № 968.

20 საქ. სახ. ლიტ. მუზ. ხელ. № 9742—6.



დავით ჭავჭავაძის ზერებს, საიდანაც შემოღილა ძირითადი კაპი-
ტალი, სულ ეჭირა 348,1 დესეტ. გარდა ამისა, მეურნეობაში იყო საჭმალურია
კარმიღამო, სახნავი, საბოსტნე მიწები, სათიბები, საძოვრები და ტყე-

საკარმიღამო მიწა	— 16,4 დეს ²¹ .
ვენახი	— 348,1 „
საბოსტნე	— 25,7 „
სახნავი	— 2212,8 „
სათიბები	— 2866,8 „
საძოვრები	— 172,3 „
ტყე	— 8736,9 „

სულ — 15089 დესეტ.

ეს გამოანგარიშება მიღებულია გლეხების მიერ ნაღელის გამო-
სყიდვის გამოკლებით.

საერთო შემოსავალი მეურნეობისა არ აღმატებოდა 20—22 ათას
მანეთს წელიწადში.

დავით ჭავჭავაძეს, რომელსაც არ შეეძლო საკუთარი სახსრებით
მეურნეობის წარმოება, როგორც ვენახები, ისე სახნავი მიწები გაცე-
მული ჰქონდა იჯარით. იჯარის პირობა ვენახის გაცემის დროს მოსავ-
ლის ნახევრით ისაზღვრებოდა, სახნავი მიწებისა კი ზოგჯერ ნახევრით,
ზოგჯერ 1 დესეტინაზე რამდენიმე კოდით.

მოიგარადე სარგებლობდა მემამულის ინვენტარით: მარნით,
კოკებით, ქვევრებითა და სხვა საჭირო საგნებით, რომელიც უკვე მას
ეკუთვნოდა, მათვე ეგალებოდათ ვენახის მოვლა, მოსავლისათვის
ზრუნვა და მთელი რიგი სამუშაოების ჩატარება ღვინის გაყიდვამდე²².

მთელი მამული ეჭვს მეურნეობად იყო დანაწილებული: წინან-
დლის, მუკუზნის, ნაფარეულის, ზეგანის, ურიათუბნისა და მუღან-
ლოს მეურნეობად.

წინანდლის მეურნეობაში ვენახს ეჭირა 30 დესეტ. და 1729 კვ.
საუ., რომელიც გაცემული იყო იჯარით მოსავლის ნახევრის გაღებით:
აქედან შემოღილდა წელიწადში ორი ურემი ღვინო დესეტინიდან, ანუ

21 ცГИАЛ ფ. 515, დ. № 968 15.

22 ცГИАЛ ფ. 515, დ. № 668 1120—21.



135 ვედრო—2000 ბოთლი, თითო ურემი ღვინო იყიდებოდა ისტორიული გილზე 500 მანეთად.

ნაფარეულის მეურნეობაში იყო 11395 დესეტ., 430 კვ. საჟ. მემა-მულის საკუთარი მიწები შეაღენდა 204 დესეტ., აქედან ვაზს ეჭირა 129 დესეტ. და 1541 კვ. საჟ. ეს ვენახებიც როგორც წინანდლისა გა-ლებული იყო იჯარით ამავე პირობის საფუძველზე. ნაფარეულის ღვი-ნოები უფრო ნაკლებად ფასობდა, ვიდრე წინანდლისა. ერთი ურემი ღვინო იყიდებოდა 300 მან. ასევე იყო სხვა დანარჩენ ვენახების; მუ-კუზნის, ზეგანისა და ურიათუბნის იჯარით გაცემის საქმე.

გარდა სავენახე მიწებისა, იჯარით იყო აგრეთვე გაცემული სახ-ნავი მიწებიც 1 დესეტინაზე — 2 კოდი პურის მიცემით. მოიჯარადრე ვალდებული იყო მოეხნა და დაეთესა აღებული ნაკვეთი, რისთვისაც ის მიიღებდა 1 დესეტ. 2 კოდ პურს. მაგრამ მემინდვრეობას ეწეოდნენ ძირითადად მულანლოში, რომელიც სულ 1619 დესეტ. შეაღენდა. ეს იყო სახნავი, სათიბი და საძოვარი მიწები, ესეც იჯარით იყო გაცე-მული. იგი ექვს ნაწილად იყო განაწილებული მულანლოელებზე, რომლებიც წელიწადში იხდიდნენ 822 მანეთს. მაგრამ უმთავრესად იჯარის პირობას შეაღენდა გარკვეული ნაწილი მოსავლისა²³.

მულანლოში მოდიოდა პური, ქერი, სიმინდი და ფეტვი. მიწის და-მუშავება ხდებოდა ქართული გუთნით. აქ საშუალოდ 1 დესეტ. მო-დიოდა:

ხორბალი	— 90 — 96	ფუთი
სიმინდი	— 96 — 102	"
ქერი	— 108 — 120	"

უხვი მოსავლიანობის ღროს იყიდებოდა მარცვლეული თვითონ მოიჯარადრე გლეხების მიერ ახლო-მახლო სოფლებში, სიღნაღმა და თელაგში.

ერთი კოდი ხორბალი ანუ 3 ფუთი	— 2 მან.	1 ფუთი	— 66 კაპ.
" " ქერი ანუ 3 ფუთი	— 1 მან.	32 კაპ.	1 ფუთი—44 კაპ.
" " ფეტვი " "	1 მან.	50 კაპ.	" 50 "
" " სიმინდი " "	1 მან.	50 კაპ.	" —50 "

²³ ЦГИАЛ ф. 515 Д. № 968, лл. 28, 661.

გარდა ამისა, მეურნეობაში დიდი ნაწილი ეჭირა ტყეს, რომელ-აკადემიური შიც ბევრი სხვადასხვა ჯიშის ხე იყო, გამოსადეგი, როგორც ვენახის სარებისათვის, ისე საშენი ხე-ტყისათვის და მეურნეობის სხვა საჭიროებისათვის. ამას ემატებოდა წისქვილები და ღუქნები, რომლებიც აგრეთვე იჯარით იყო გაცემული.

ვენახის იჯარით ამღებნი დაინტერესებულნი იყვნენ, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი მიეღოთ და ნაკლებად ზრუნავდნენ ვაზის მოვლაზე. მათ საამისო შეძლებაც არ გააჩნდათ. ისინი ასრულებდნენ მხოლოდ აუცილებელ სამუშაოებს. ასეთი იყო ვაზის გასხვლა, შეკვრა და მისი სარეველა მცენარეებისავან გასუფთავება. ვაზის ძირებს შორის სთესდნენ-ბოსტნეულს და ზოგჯერ ბურსაც კი, ამის შედეგი იყო ის, რომ დავით ჭავჭავაძის ზვრები ნაკლებმოსავლიანი იყო. ამ დროისათვის ყველაზე მეტი ზვრები ყოფილა ნაფარეულში, რომელიც რვა მოიგარადრეზე იყო განაწილებული. ესენი იყვნენ:

იოსებ დოლიძე, რომელსაც ჰქონია 63 დესეტინა, აქედან ვაზს ეჭირა 34 დესეტინა. იღებდა სულ 975 ვედრო ღვინოს (წითელს 300, თეთრს 675). ერთ დესეტინაზე — 29 ვედროს, ვედრო ღვინო ღირდა 1,38 მან. (დესეტინა ვენახი იძლეოდა 40 მან. 25 კაპ.).

გიორგი ჯაში — სულ ჰქონია 36 დესეტ. 17 დესეტინა ვენახი — 674,5 ვედრო ღვინო, (1 დესეტ. 39 ვედრო, 54 მან. 12 კაპ.).

ბესარიონ ბაროშვილი — 23 დესეტ. 16 დესეტ. ვენახი — 937,5 ვედრო — (1 დესეტ. — 58 ვედრო — 89,50 კაპ.).

იოსებ კაკბაძე — 26 დესეტ. 17,5 დესეტ. ვენახი — 325 ვედრო — (1 დესეტ. 47 ვედრო — 65 მან. 23 კაპ.).

ბესარიონ კუსიანი — 31 დესეტ. 11,5 დესეტ. ვენახი — 942 ვედრო — (1 დესეტ. 53 ვედრო — 73 მან. 56 კაპ.).

მაქსიმე ნაფარეშვილი — 31 დესეტ. 18 დესეტ. ვენახი — 787,5 ვედრო (1 დესეტ. 59 მ. 68 კაპ.).

დავით ელოშვილი — 12 დესეტ. 7 დესეტ. ვენახი — 150 ვედრო — (1 დესეტ. 21 ვედრო — 29 მან. 14 კაპ.).

ზეგო რაფაშვილი — 4 დესეტ. 2 დესეტ ვენახი — 562 ვედრო — (1 დესეტ. 281 ვედრო — 390 მან. 2 კაპ.).

129 დესეტინა ვენახიდან ნაფარეულში მოდიოდა 5854,2 ვედრო ღვინო, აქედან წითელი 1130, თეთრი 4724, 2 დესეტინაზე 45 ვედრო, საერთო შემოსავალი — 1 დესეტ. 99 მან. 5 კაპ. (ვედრო იყიდებოდა — 1 მან. 38,8 კაპ.).

ასევე იყო სხვა დანარჩენ მეურნეობებშიც:

	საერთო შემოსავალი	გასავალი	სუფთა მოგება
წინანდალი	4449,8	375	4074,8
ურიათუბანი	1544,24	253	1291,34
მუკუზანი	6998,42	253	6745,42
ზეგანი	1625	253	1372
ნაფარეფლი	9130	680	8450
მულანლა	822	100	722
ს უ ლ	24568,84	1914	22564,84

მეურნეობის საერთო შემოსავლის დადგენის დროს, როგორც ცხრილიდან ჩანს, მხედველობაშია მიღებული ის ფულადი შემოსავალი, რომელსაც დავით ჭავჭავაძე იღებდა მოიგარადრეებისაგან.

ეს ჩანს მულანლოს შემოსავლიდან, რომლის მოიგარადრეები გარიგებული იყვნენ მემამულესთან როგორც ნატურით, ასე ფულად გადასახადზე. ეს ფულადი გადასახადი იჯარისა მულანლოში უდრიდა 822 მანეთს, რომელიც მიჩნეულია კიდევაც მულანლოს საერთო შემოსავლად.

ასევე უნდა იყოს სხვა მეურნეობებშიც, სადაც ვენახების გაცემა ხდებოდა იჯარით, მოსავლის ნახევრის პირობაზე. როგორც ირკვევა ეს ჩაწილია ამ ცხრილში გაანგარიშებული. მოწეული ღვინის რაოდენობა და საერთოდ მეურნეობის შემოსავალი ყოველთვის აღმატებოდა აქ გაანგარიშებულ შემოსავალს²⁴.

რაც შეეხება ღვინის დაყენების წესს, ის წარმოებდა ძველებურად. აქ არ ჰქონია ცდას ადგილი, რომ კახური ღვინოები ევროპულ წესზე დაეყენებინათ. ყურძენი იწურებოდა ხის მარნებში, საიდანაც შემდეგ გადიოდა მიწაზი ჩაფლულ 30—40 და 200 ვედრიან ქვევრებში. ღვინის გადასხმა ხდებოდა წელიწადში ორჯერ ოქტომბერსა და მარტში. პირველი გადასხმის შემდეგ ახლად დაწურულ ტკბილს ყიდულობდნენ ვაჭრები, რომლებიც თვითონ აყენებდნენ ღვინოს. მემამულისათვის ხელსაყრელი იყო გაეყიდა ღვინო პირველი გადასხმის შემდეგ, რადგან მას არ ჰქონდა ღვინის შესანახი სარდაფები. ეს ვარემოება ძალიან დაბლა სცემდა ღვინის ვაჭრების საქმეს. ღვინოები იყიდებოდა

²⁴ ЦГИАЛ, ф. 515, Д. № 968, л. 27.

უმთავრესად თბილისა და ვლადიკავკაზში. ბუნებრივია ნაკლებმომატებულობა
ლიანი იქნებოდა მოიგარადრების ხელში ჩავარდნილი ჭავჭავაძის
შესანიშნავი ზვრები, სადაც არ იყენებდნენ არავითარი გაუმჯობესე-
ბულ წესებს. საუფლისწულო უწყების მოხელენიც კი შენიშნავდნენ
ამ გარემოებას და გაკვირვებული იყვნენ თუ როგორი გაუთოხნავი
იყო ვენახი, მოუვლელობისაგან ვაზი გამეჩერებულიყო²⁵.

1875 წლიდან 1879 წლამდის მთელი მეურნეობა იჯარით ჰქონიათ
აღებული ჭორჭაძესა და მოქალაქე მირიმანოვს, რომლებიც დავით ჭავ-
ჭავაძეს 24000 მანეთს აძლევდნენ წელიწადში; გარდა ამისა, ისინი
აძლევდნენ ნატურით, მეურნეობიდან შემოსულ პროდუქტებს 6000
მანეთის რაოდენობით²⁶.

როგორც ჩანს, ამ წლებიდან დავით ჭავჭავაძემ სრულიად შეუშვა
ხელი საკუთრივ მეურნეობის მართველობას, რაც საგრძნობლად ემჩ-
ნევა კიდევაც მის წარმოებას. 60-იან წლებისათვის ჭერ კიდევ თვი-
თონ მართავს მეურნეობას, რამდენადაც შეეძლო ეს სამხედრო სამსა-
ხურში მყოფ ადამიანს, რომელსაც გარდა თავისი სამსახურისა და მე-
ურნეობის წარმოებისა, ლეკების წინააღმდეგ ბრძოლასა და თავდა-
ცვაზე ზრუნვაც უხდებოდა²⁷. მის მოღვაწეობას მეურნეობის ასაღორ-
ძინებლად არ ჩაუვლია უქმად. 1862 წლის გაზეთი „გუთნის დედა“
აღნიშნავდა, რომ დავით ჭავჭავაძე წარმატებით აგრძელებდა თავის
მამის დაწყებულ საქმეს — აბრეშუმის წარმოებას, რისთვისაც მას ნა-
ფარეულში თუთის ხის პლანტაციები გაუზრდია და ჭიის გამოსაზრ-
დელი ფარდულებიც აუგია. იმავე წლის სასოფლო-სამეურნეო ნაშ-
რომთა გამოფენაზე, სხვა ექსპონატებს შორის დავით ჭავჭავაძის მე-
ურნეობაში გამოყვანილი აბრეშუმიც იმსახურებდა ჭილდოს²⁸. ამ
მიზნით ჰქონდა აღებული მას თბილისიდან 30 ვერსის დაშორებით
სოფ. ლოჭინში 50 დესეტ. მიწის ნაკვეთი, რომელსაც ჭერ კიდევ ალ-
ჭავჭავაძე ითხოვდა თუთის ხისა და მარენის პლანტაციების გასაშე-
ნებლად²⁹.

მაგრამ დავით ჭავჭავაძეს დიდხანს არ გაჰყოლია ამ საქმისადმი
სიყვარული. შეიძლება მუდამ შევიწროებულმა ეკონომიურმა მდგომა-
რეობამ და არეულმა საგარეო ვითარებამ აიძულა იგი მეურნეობა
მოიგარადრეებისათვთის გადაეცა. გარდა ამისა, ის ხშირად იმყოფე-

25 ცГИАЛ, ფ. 575, დ. № 968, ლ. 21.

26 იქვე.

27 იქვე.

28 გაზ. „გუთნის დედა“, 1862, № 22.

29 სცია, ფ. № 4, საქ. № 621.

ბოდა საზღვარგარეთ და მეურნეობის წარმოებასაც ამ დროში მარტინ რწმუნებულს აბარებდა.

თოთოეულ მეურნეობას თავისი ზედამხედველი ჰყავდა, რომელიც განაგებდა მის წარმოებას. ამისათვის იგი თვიურ ხელფასს იღებდა. მუქუჩანსა და ურიათუბანში ერთი ზედამხედველი ჰყოლია, რომელიც წელიწადში 300 მანეთს იღებდა. ნაფარეულის გამგებელ ქალსა და მის მეუღლეს 480 მანეთი ჰქონიათ წელიწადში. გარდა ამისა, იყვნენ მეტყველები და დარაჯი. 5 მეტყველეს — 543 მან. ეძლეოდა.

საინტერესოა ნაფარეულის მეურნეობის გამგებელი ქალის ვინაობა. ეს ქალი იყო ფრანგი პოლინა ესკაზო, რომელიც დავითსა და მის მეუღლეს თავისი შვილების აღსაზრდელად ჩამოყავანილი ჰყავდათ პარიზიდან, სადაც ისინი იმყოფებოდნენ შამილის ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ. პოლინა საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ დავითის კამერდინერს სოსიქო საგინაშვილს გაჰყვა ცოლად და სამუდამოდ დასახლდა ნაფარეულში. დავით ჭავჭავაძე ძალიან გაევირვებული იყო ამ ქალის არჩევანით, მაგრამ ამავე დროს მოხარულიც იყო, რომ იგი მეურნეობაში რჩებოდა. „Она основывается здесь и будет продолжать заниматься нашим хозяйством³⁰. პოლინა გარდა იმისა, რომ ფრანგულს აწავლიდა დავითის მცირეწლოვან შვილებს, თავის მეუღლეს მეურნეობის წარმოებაშიც ეხმარებოდა. დავითიც ძალიან კმაყოფილი იყო მისი გამგებლობით და ამის შესახებ თავის მეგობარს სწერდა „Она, как Вам известно, женщина очень хорошая и полезная, что в необходимости доказывается двумялетним ея правлением Напареули³¹.“

პოლინას ქალიშვილის ანასტასია საგინაშვილის მოგონებებიდან ვგებულობთ, რომ დავითს მისთვის ჩაუბარებია წინანდლის, ნაფარეულისა და მუქუჩნის მეურნეობა, რომელთა მართვაში მას იოსებ საგინაშვილი — პოლინას მეუღლე ეხმარებოდა, მისი ერთგული და საქმიანი სამსახურისათვის დავით ჭავჭავაძემ, როცა გადაწყვიტა მამულის საუფლისწულო უწყებისათვის გადაცემა, პოლინას ერთბაშად მისცა მასწავლებლობისა და მოურავობის 2000 გან.³² მეურნეობის წარმოებაში მონაწილეობას იღებდნენ დავითის შვილებიც. ასე მაგალითად, ილას შესახებ დავითი წერს, რომ მას საღამომდე მოცალეობა არა აქვს, რაღაც მოსავალს იღებს ნაფარეულშით³³.

მიუხედავად ამისა, მეურნეობის წარმოების ასეთი სისტემა —

³⁰ საქ. სახ. ლიტ. მუზეუმის ხელნაშ., ფ. 17399—6.

³¹ იქვე, 13216—6.

³² საქ. სახ. ლიტ. მუზეუმის ხელნაშ., ფ. № 13216—6.

³³ იქვე, ფ. № 17399—5.

იჯარით გაცემა ვენახებისა, რომლის მიზანი იყო მხოლოდ და მხოლოდ რაც შეიძლება მეტი შემოსავლის მიღება, სასურველ შედეგს ვერ აღწევდა. მისი მფლობელი დავით ჭავჭავაძე მუდამ ფულის ნაკლებობას განიცილა და ამიტომაც ღვინის გაყიდვა წარმოებდა ნაჩქარებობას განიცილა და ამიტომაც ღვინის გაყიდვა წარმოებდა ნაჩქარებობას ვაღ, მისი დაყენების წელიწადს, რაც ძალიან სცემდა ღვინის ხარისხის ხიანობასა და ღირებულებას. ამას კი, თავის მხრივ, მემამულისათვის ზარალი მოჰქმნდა.

დავით ჭავჭავაძის მამულში სულ ორიცხებოდა 406 კომლი, აქედან 1620 გლეხი მამაკაცი, ხუთი სოფლის: წინანდლის, ურიათუბნის, მუკუნის, ზეგანისა და ნაფარეულის 333 კომლმა ან 1345 სულმა გლეხმა თავი გამოისყიდა და მესაკუთრე გლეხი გახდა. ამ მესაკუთრე გლეხების მფლობელობაში გადავიდა 1693 დესეტ. 1229 კპ. საქ. მიწა. სოფ. მუღანლოს 73 კომლი გლეხობა კი წინანდებურად რჩებოდა დროებითვალდებულ დამოკიდებულებაში მემამულესთან, რადგან მათი სანადელო მიწები არ ჩათვალეს სარწყავ მიწებად, როგორც ეს ბატონს სურდა³⁴.

გარდა მესაკუთრე და დროებითვალდებულ გლეხებისა, მეურნეობაში იყვნენ ხიზნებიც. ნაფარეულში მათი რიცხვი უდრიდა 78 კომლს, მუღანლოში 9 კომლს, ხიზნები არ ითვლებოდნენ მიწის მუდანობაში და იჯარით აღებულ ნაკვეთში ფულს უხდიდნენ მივ მფლობელებად და იჯარით აღებულ ნაკვეთში ფულს უხდიდნენ მემამულეს. ისინი ითვლებოდნენ ნამდვილ მოიგარადრეებად, რაღაც მემამულის სასარგებლოდ არავითარ სამუშაოს არ ასრულებდნენ. მათი მემამულის სასარგებლოდ არავითარ სამუშაოს არ ასრულებდნენ. მათი მემამულის განსაზღვრული იყო მხოლოდ მიწის აღეურთიერთობა მემამულესთან განსაზღვრული იყო მხოლოდ მიწის აღებითა და ფულის გადახდით³⁵.

დ. ჭავჭავაძის მეურნეობაში, როგორც ვხედავთ, დიდი რაოდენობით არის გამოყენებული დაქირავებული მუშახელი, რომლის ურთიერთობაში მემამულესთან განისაზღვრება როგორც ნატურით, ისე ფურნებობა მემამულესთან განისაზღვრება როგორც ნატურით, ისე ფურნებობაში. მუღანლოს გლეხობის ნაწილი ფულით უხდის მემამულეს გადასახადს. მუკუნისანში ხიზნები მემამულეს საიგარო გადასახადს აძლევენ არა ნატურით, არც სამუშაო ბევრის მოხდით, არამედ მხოლოდ ფულით.

დაქირავებული მუშახელი მეურნეობაში არსებობს დროებითვალდებულ გლეხთა, (მუღანლო) მოჯამაგირეთა და სხვ. სახით.

ასე რომ ახალ კაპიტალისტურ ურთიერთობას, რომელიც თანდათან იქრებოდა და ვითარდებოდა ქვეყნის შიგნით და წარმოების ახალტიპს ქმნიდა, მემამულურ მეურნეობაშიც ჰქონდა ფეხი მოკიდებული.

³⁴ ცГИАЛ, ხ. 525, საქ. № 968, ფ 8.

³⁵ იქვე.

რეზორმისშემდეგდროინდელი ფირლი მამაშულური მეურნეობები

საქართველოში მემამულური მეურნეობის გარდაქმნის პროცესში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საგლეხო რეფორმა, რომლის შემდეგ გაიზარდა თავისუფალი, დაქირავებული მუშახელის რაოდენობა და მემამულეს შესაძლებლობა მიეცა უფრო მეტად გამოეყენებინა იგი თავის მეურნეობაში. მაგრამ რეფორმამ დიდი შეღავათი ვერ მოუტანა გლეხობას, რომელიც თავისი გაჭირვებისა და ეკონომიკური იძულების გამო ისევ მემამულეზე იყო დამოკიდებული. მემამულეც, რასაკვირველია, რჩებოდა დროებითვალდებული გლეხის შრომის გამოყენებას, ვიდრე — თავისუფალი მუშახელის ფულით დაქირავებას. ეს კი თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენდა მეურნეობის წარმოებასა და მის წინსვლაზე, რომელსაც ბევრი სხვა ხელშემშლელი მიზეზიც ჰქონდა. მემამულე ეკონომიკურ გაჭირვებიდან ამოსავალს მისი მეურნეობის წარმოების გაუმჯობესებაში ხედავდა, მაგრამ საამისოდ მას სახსრები არ გააჩნდა და ხშირად იძულებული იყო წამოწყებულ საქმისათვის თავი გაენებებინა, ამით აისხება ის ამბავი, რომ მემამულეთა უმრავლესობამ მამული საუფლისწულო უწყებას გადააბარა ან ვალებში ჩავარდნილმა მისი გაყიდვით „უშველა“ თავს.

მემამულური მეურნეობის გარდაქმნის პროცესი ხასიათდებოდა ორი სისტემის ძევლი — ბატონყმურისა და ახლის — კაპიტალისტურის თანაარსებობით. აქედან პირველი მათგანი ირღვეოდა და ნაშების სახით მოელი ამ პროცესის მანძილზე თან ახლდა ახალ ურთიერთობას, რომელიც ნელ-ნელა ფეხს იკიდებდა ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და ძირს უთხრიდა ძველ ბატონყმურ ურთიერთობას.

რუსეთსა და მის კოლონიურ ქვეყნებში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების თავისებურება ახალი არ არის ისტორიული მეცნიერებისათვის, რომელიც მდგომარეობდა სწორედ ამ ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების მძიმე, რუსეთისათვის დამახასიათებელ პირობებში.

მემამულური მეურნეობის კაპიტალისტურმა ევოლუციამ გამო-გადასახლდა ხატულება ჰპოვა ძველი ფეოდალურ-ბატონიური ურთიერთობის შედარებით ინტენსიურ რღვევაში, დაქირავებული მუშახელის გაზრდაში, საბაზრო პროდუქციის წარმოების გაფართოებაში, ფულადი იჯარის გაბატონებასა და სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარებაში. ყოველივე ამას მოჰყვა გლეხობის დიფერენციაცია გარკვეულ საფეხურზე. მემამულე იყენებდა დაქირავებულ მუშახელს, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებს და აუმჯობესებდა სოფლის მეურნეობის დარგების წარმოებას.

ჩეფორმის შემდგომდროინდელ მეურნეობიდან აღსანიშნავია ივ. სულხანიშვილის, ბარათაშვილის, ანდრონიქაშვილის, ვეზირიშვილისა და სხვ. მეურნეობები.

ეს მემამულები, რომლებიც შეეცადნენ თავიანთი მამულის ახლებურ წესზე მართვას, გარდა მუხრანბატონისა და ჭავჭავაძეებისა, უმთავრესად წვრილი მესაკუთრენი იყვნენ. სხვა მსხვილ მემამულეებს, როგორებიც იყვნენ ორბელიანები, მელიქიშვილი, ფალავანდიშვილი, ციციშვილები, ერისთავები და სხვ., არც უცდიათ თავიანთი მამულების რაციონალურ წესზე გამართვა. ბევრი მათგანი მიწებს იჯარით აძლევდა, ჰყიდდა ან ვალში დაგირავებული ჰქონდა და თანდათან ჰყარგვდა მათ.

ასე რომ თუ XIX საუკუნის დასაწყისისათვის მიწების უმეტესობა თავადაზნაურობის ხელში იყო თავმოყრილი, შემდგომი ხანებისათვის უკვე აშკარა იყო ტენდენცია ამ მიწების ხვედრითი წონის შემცირებისა! ასე, მაგალითად, ავალიშვილების მამული ბორჯომის ხეობაში 69.881 დესეტ. მიწის ფართობით შეისყიდა სახელმწიფომ და მის ყოფილ მფლობელს დაუნიშნა მემკვიდრეობით 3 ენსია 5000 მანეთის რაოდენობით². თავად ციციშვილების კუთვნილი ტყე საციციანოს მთის სახელწოდებით გადავიდა სახელმწიფო საკუთრებაში³, რადგან ციციშვილებს აღარ შეეძლოთ მისი მოვლა. ამ ტყეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მდინარე მტკვრისა და მისი შენაკადების წყალსიუხვისათვის. ამიტომ ჩუსეთის ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევდა მის მოვლა-პატრონობას.

ყაფლან ორბელიანმა 1850 წელს გერმანელ კოლონისტებს მიჰყიდა მიწის არი ნაკვეთი — შეიტანლი და თოფა-ბაში, რაშიც მან მიიღო 434300 მან. (1 დესეტ. — 4 მან. 86 კაპ.)⁴. ასეთ ფაქტებს მრა-

¹ П. Гугушвили, Аграрные отношения в Закавказье, 1955, стр. 028.

² სცია, 3241, საქ. № 503.

³ სცია, 3243, საქ. № 243.

⁴ სცია, 3241, საქ. № 36.

კლად შევხვდებით მთელი XIX საუკუნის მანძილზე. იყო შემოქმედებული მამულების შორის. თუ მემამულე ვერ შეძლებდა თვისი უფლებების დამტკიცებას მიწაზე, იგი უსასყიდლოდ კარგავდა მას. ზურაბ, იაკობ, და ლუარსაბ ორბელიანებს 1819 წელს ჩამოერთვათ მიწები და სახელმწიფომ გერმანელ კოლონისტებს გადასცა დასასახლებლად და მეურნეობის გასამართვად. ორბელიანებმა საჩივარი აღძრეს თავიანთ მიწებზე და დაამტკიცეს რომ სოფლები: სამტრედო, ზემო შეიტანლი და ქვემო შეიტანლი მათ კუთვნილებას შეაღენდა. მათი ჩამორთმევისა და სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცლისათვის ისინი ფულად ანაზღაურებას მოითხოვდნენ. რუსეთის ხელისუფლება რამდენიმე წლის განმავლობაში განიხილავდა ამ საკითხს და, სცნო რა ორბელიანების უფლება ამ მიწების საკუთრებაზე, ცდილობდა შეეფასებინა რაც შეიძლება თვისოთვის ხელსაყრელად. იგი ითვალისწინებდა მიწების ვარგისიანობასა და შემოსავლიანობას 1822 წლიდან მოყოლებული 1871 წლიდის, ორმლის მიხედვით ორბელიანებს უნდა მიეღოთ 12891 მან. მაშინ როცა თვითონ ორბელიანები ამ მიწების საზღაურად მიიჩნევდნენ გაცილებით მეტს — 134.550 მანეთს. ორბელიანები ითვალისწინებდნენ იმ დანაკარგს, რომელიც მათ განიცადეს ამ ხნის განმავლობაში მიწების დაკარგვით. რუსეთის ხელისუფლებას კი არ ავიწყდებოდა ის ამბავი, რომ ასეთივე ვარგისიანობის მიწა 1850 წელს 1 დესეტ. გაიყიდა 4 მან. 86 კაპ. ორბელიანები 1 დესეტ. სახნავ მაწას აფასებდნენ 60 მან. სავენახე მიწას — 75 მან. და ნაკლებ გამოწას აფასებდნენ 24 მან. 1 დესეტ⁵. მემამულების სურვილი — მიეღოდოთ რაც შეიძლება მეტი თანხა, არაფრის წინაშე არ იხევდა. ისინი ყოველგვარი საშუალებით ცდილობდნენ ფულის ხელში ჩაგდებას. ზოგი მამულის შემოსავლიანობის გაუმჯობესებით, ზოგი გაყიდვითა, გაქირავებით და სხვ. ალექსანდრე ივანეს ძე ორბელიანს სოფ. ბაშ-კიჩეთი, ბორჩალოს მაზრაში, 12 წლის იჯარით ჰქონდა გაცემული დუხობორებზე, რომლებიც დასახლებული იყენენ აქ და ვაჭრობას და ალებ-მიცემობას ეწეოდნენ. მათი საოჯახო გადასახადი წელიწადში უდრიდა 1600 მანეთს. გარდა ამისა, დუხაბორებს ორბელიანისათვის ჩამოქმნდათ თბილისში მოსაკითხის საწით თაფლი და სანთელი⁶.

მაგრამ მემამულებს ფულის მიღების კველაზე ადვილ საშუალებად თავიანთი ქონების „პრიკაზში“ დაგიჩრავება მიაჩნდათ, საიდანაც ის იშვიათად თუ უბრუნდებოდა პატრონს და ვალში იყიდებოდა.

5 лъко, № 241, лъж. № 36.

6 სკიმ, ფ. № 7, საქ. № 1742.

რეფორმის პირველ ხანებში პრიკაზში გირავდებოდა როგორც დასახულებითი ხელებული, ისე დაუსახლებელი მიწები. თუ არავინ გამოჩნდებოდა მყიდველი, მამული სახელმწიფო ქონების ექსპედიციის განკარგულებაში გადადიოდა, რომელიც ამ მიწების საფასურს „პრიკაზს“ გადასცემდა⁷. იყო შემთხვევები, როცა ვალის რაოდენობა აღმატებოდა მამულის ღირებულებას. სარდიონ ციციშვილმა თავის მამული დააგირავა „პრიკაზში“ 1861 წელს და სესხი მიიღო 37 წლის ვადით. ვალის გადასცელობისა გამო მისი მამულები სოფ. ზახრაშენსა და დოებში, შეფასებული 28.330 მან., იყიდებოდა. ალ. აბაშიძეს მამული სოფ-კარტანახში დაგირავებული ჰქონდა 1200 მან. ვალი უდრიდა 1251 მანებს, რევაზ ვაჩნაძეს მამული დაგირავებული ჰქონია, 9000 მან. ვალი კი უდრიდა 10765 მან. ასეთი სავალალო მდგომარეობა ბევრ სხვა მე-მამულეს ჰქონდა.

1849 წელს ვორონცოვის ინიციატივით ორბელიანებსა და ხაზინას შორის დაიდო ხელშეკრულება 30 წლის ვადით. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ერევნის გუბერნიის ალექსანდრეპოლის მაზრაში მდებარე მიწები გადაეცა იქ მცხოვრებ სახაზინო გლეხებს — რუსებსა და სომებს — კათოლიკებს, რომელთა ოჯახებს ყოველწლიურად უნდა ეხადათ გადასახადი — რუსებს 72 მან. და სომხებს — 10 მან. რაოდენობით.

მაგრამ რაღაც ეს მიწები ჯერ კიდევ სადავო იყო ხაზინასა და ორბელიანებს შორის, ამიტომ შემოსული გადასახადი ამ მიწებიდან მიღიოდა „პრიკაზში“, ხოლო მას შემდეგ რაც ორბელიანების უფლება აღიარებული იქნა, მათ მიეცათ თანხა პროცენტებით, რომელიც უნდა გაენაწილებინა ორბელიანთა ოთხ ფასებს. ფულის მოგების მიზნით ქაიხოსრო და ანტონ ორბელიანებმა სახელმწიფოსაგან შეისყიდეს 32023 მანეთის აბრეშუმი. აღნიშნული თანხა მათ უნდა გადაეხადათ 4 წლის განმავლობაში. გირაოდ მიღებული იქნა მათი ქონება, რომელიც შეფასებული იყო 113,663 მანეთად⁸.

ციციშვილება და ხაზინას შორის დავა იყო საძოვრების შესახებ. ციციშვილები აცხადებდნენ რომ თრიალეთზე მდებარე აღვილები: ღიპები, რეხი კილიკის-ჯვარი, საპონაური, სახორცო და ტუსრები მათ საკუთრებას შეადგენდა. ეს ადგილები, როგორც სახაზინო საძოვრები, იჯარით ჰქონდა აღებული ვინმე მოქალაქე ახნაზაროვს. სახელმწიფო უარს ეუბნებოდა ციციშვილების ამ მიწების საკუთრებაზე და აღნიშნავდა, რომ ეს ადგილები დაუსახლებელი იყო თურქეთიდან

⁷ სცია, ფ. 141, საქ. № 114.

⁸ სცია, ფ. 26, საქ. № 1426.

⁹ სცია, ფ. 26, საქ. № 474.



ქრისტიანული მოსახლეობის მოსვლამდე. ზემოხსენებული აღმართული დაუბრუნდათ ციციშვილებს ჩეხის გამოკლებით, რომელიც სახელმწიფოს დარჩა¹⁰. ასეთი იყო მემამულეთა დიდი ნაწილის მდგომარეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მათი მიწვები გადადიოდა სახელმწიფოს ხელში, მას იძენდა სოფლად შექმნილი შეძლებული ფენა — კულტობა, მესაკუთრე გლეხი და გამდიღებული მეწვრილმანე. ამას განსაკუთრებით ძლიერი გამოვლინება ჰქონდა კახეთში, სადაც მემამულეთა დაქუცმაცებულად გაყიდული ვენახები და ზერები რომელიმე კულტის ან მევალე-მევახშის ხელში გადადიოდა.

მემამულების შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე ოჯარით მიწების გაცემა. იჯარა იყო ორგვარი, ნატურალური და ფულადი. 60-იანი წლებიდან იზრდებოდა ფულადი იჯარა. დავით ჭავჭავაძის მამული წინანდალში ჩვა მოიჯარადრეზე იყო განაწილებული, რომლებიც მემამულეს ფულად გადასახადს აძლევდნენ. მიწის დამშუშავებლად იგივე მოიჯარადრე გამოდიოდა, რომელიც, როგორც არამესაკუთრე, ნაკლებად იყო დაინტერესებული მიწის დამშუშავებით და მისი ტექნიკის გაუმჯობესებით. ამას ხელს უწყობდა მოკლევადიანი იჯარა, რომელსაც მემამულე ხშირად მიმართავდა საიჯარო ფასის გადიდების მიზნით.

მეფის ხელისუფლება დაინტერესებული იყო მისი ერთგული თავადაზნაურების კეთილდღეობითა და დღეგრძელობით და ყურადღების გარეშე არ ტოვებდა მის დამსახურებას სახელმწიფოს წინაშე.

ქართველი თავადაზნაურობა თავის მხრივ მადლიერი იყო მეფის. იგი იმედის თვალით შეჰვეურებდა რუსეთის ხელმწიფეს, ცოლობდა თავი გამოეჩინა თავისი წარმატებით. ამას ადვილად აღწევდა სამხედრო ასპარეზზე მოღვაწეობით, რისთვისაც დამსახურებულ ჩინებს იღებდა. სამსახურში მოპოვებულ წარმატებისათვის რუსეთის იმპერატორი უხვად აჯილდოვებდა ერთგულ თავადებს — მელიქიშვილს, ჩოლოყაშვილს, სუმბათაშვილს, ჭავჭავაძეს, მუხრანბატონსა და სხვებს მიწის ნაკვეთების მათ საკუთრებაში გადაცემით¹¹.

გარდა ამისა, მეფის ერთგულმა თავადაზნაურობამ გლეხთა გამოსყიდვისათვის მიიღო საქართველოს თანხა, მისი კეთილდღეობისათვის დაარსდა „პრიკაზი“, სათავადაზნაურო ბანკი. ყოველივე ეს ღონისძიება მიმართული იყო იქითქენ, რომ მემამულებსა და თავადებს მიეღოთ ფული და შეენარჩუნებინათ უზრუნველი ცხოვრება. მაგრამ ფეოდალურ საკუთრებას მიწაზე, უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი. მის

10 სცია, ფ. 26, ხაქ. № 196.

11 ლენინგრადის, სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საქართველოს ბიბლიოთეკა, ხელნაწერთა განყოფილება.

რღვევას ველარ შეაჩერებდა ვერც მეფის ღონისძიებები და ვერც ადგილურია
გილმამულის წარმოების წესის გაუმჯობესებანი. ეს გაუმჯობესება
ძირს უთხრიდა მემამულურ მეურნეობას, რომლის წიაღში იქნე-
ბოდა ახალი კაპიტალისტური წარმოება. მემამულე მაშინ იქნებოდა
მოგებული, თუ იგი ამ ახალ სისტემაზე გადაიყვანდა თავის მეურ-
ნეობას. მაგრამ მისთვის ადვილი არ იყო დროებითვალდებულ გლეხ-
თა შრომის გამოყენებაზე უარის თქმა. რუსეთის და მისი კოლონია-
ლური ქვეყნების ჩამორჩენილმა და ბიუროკრატიულ სახელმწიფოსა-
თვის დამახასიათებელმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა განაპი-
რობა მემამულური მეურნეობის გარდაქმნის მაჩანჩალური, ნახევრად-
ბატონიური ხასიათი.

მემამულეთა მიწათმფლობელობას ართულებდა მიწების გაუმიშნაო-
ბა. მთელი საუკუნის მანძილზე ბოლო არ უჩანდა მიწებისათვის ბრძო-
ლას, მემამულებს, მემამულებსა და გლეხებს, სახელმწიფოსა და მე-
მამულეს შორის. მიწის გამო ატეხილმა დავამ სისხლისღვრა გამოიწვია
მუხრანბატონებსა და ზედგინიდებს შორის. ივანე მუხრანბატონია,
რომელიც ცნობილი იყო თავისი აგრესიული განწყობილებით, სასა-
მართლოში დასჭრეს მამულის მითვისების გამო. ასეთ შემთხვევებს
მრავლად ჰქონდა ადგილი, რაც საერთო ჯამში აბრკოლებდა და ხელს
უშლიდა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეს ჩვენს ქვეყანა-
ში. ასე რომ, მემამულური მიწათმფლობელობა XIX საუკუნის მეორე
ნახევარში ყოველმხრივ შევიწროებული აღმოჩნდა და პროგრესულად
მიიწევდა წინ მისი რღვევისა და ნგრევის პროცესი. მიწების გაუმიშ-
ნაობა და დაქასებულობა, კაპიტალის ნაკლებობა, მუშახელის სიძვი-
რე, სათანადო ბაზრის უქონლობა, და სხვ. ხელს უშლიდენ, აბრკოლებ-
დნენ მემამულის მეურნეობას წარმატებას, მაგრამ ძირითადი მიზეზი
მაინც ბატონიური ნაშების — დროებითვალდებულ გლეხთა ინსტი-
ტუტის არსებობაში მდგომარეობდა.

მემამულეთა მეურნეობის შესწავლისას, ერთის მხრით, მთავარია
გამოვიყვლიოთ ვინ იყო მისი მწარმოებელი, ვისი ხელით იმართებო-
და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები, მეორეს მხრივ, ვინ
იყო მფლობელი მეურნეობაში დამზადებული პროდუქციისა და რა
შემოსავალს იძლეოდა იგი.

მემამულეთა მეურნეობების შესწავლის დროს, სათანადო საბუ-
თების სიმცირის გამო, ძნელია მეურნეობისა და მისი შემოსავლის
აღწერა. შესაძლებელი ხდება მხოლოდ ამ მეურნეობების წარმოების
საერთო მდგომარეობის და წარმოების ხასიათის დადგენა.

თითოეული მემამულე მეურნეობის გამართვისა და წარმოებისა-
თვის თავდაპირველად ცდილობდა შემოეფარგლა მამულის ფართობი



და გამოერკვია მიწისა და ნიაღაგის ნაყოფიერება, ვარგისიანთა მუშაობებისა და მოდგებოდა თუ არა იგი ამა თუ იმ დარგის საჭარმოებლად. ამის შემდეგ მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი იყო სარწყავი სისტემის წესრიგში მოყვანა, მუშახელის მოპოვება, სასოფლო-სამეურნეო იარაღების შექმნა. წარმოების მოსურნე მემამულე თვითონ აწარმოებდა ყველაფერ ამას თუ კი საამისოდ სახსრები გააჩნდა, თუ არა და სესხს მიმართავდა.

გორის მაზრის სოფ. ტირმნისში და ბროშლეთში ივ. სულხანი-შვილს 3500 დესეტ.-ზე ჰქონდა გამართული მეურნეობა¹². აქედან 3000 დესეტ. ტირმნისში და 500 დესეტ. ბროშლეთში. ეს მიწები მას მექევიდრეობით ჰქონდა მიღებული; მეურნეობის წარმოებას შეუდვაჭერ კიდევ 1860 წლიდან და 1865 წლს უკვე საკმაოდ გამართული ჰქონდა იგი. ივ. სულხანი-შვილის გადმოცემით, ნიაღაგი სოფ. ტირმნისა და ბროშლეთში გვალვის პირობებშიც კი ინარჩუნებდა ნაყოფიერებას, მეურნეობა ირწყვებოდა მდ. პატარა ლიახვის საშუალებით, რომლიდანაც გამოყვანილი იყო სარწყავი არხი.

მეურნეობაში მომუშავე მუშახელი უმთავრესად მოღიოდა იქვე ახლო-მახლო მდებარე ოსური სოფლებიდან. მინდვრის სამუშაოებზე ჩამოდიოდნენ ზაფხულობით და დღეში იღებდნენ — 20 კაპ. ქართველები კი 30—50 კაპ. ხანდახან უფრო მეტს. როგორც ჩანს, ქართველები, რომლებიც რჩეობდნენ გზებზე მუშაობას, ძნელად ჰქიდებდნენ ხელს მინდვრის სამუშაოებს. ამ სოფლებში მოსახლობდა 82 კომლი გლეხი. მთელი ფართობის 3000 დესეტ-დან უმეტესი ნაწილი გლეხებზე ნადელებად იყო გაცემული და საკუთრივ სარგებლობაში რჩებოდა 500-მდე დესეტ., ე. ი. ძირითად მიწებს ამუშავებდნენ ღროებითვალდებული გლეხები, დაქირავებულ მუშახელს კი სეზონური ხასიათი ჰქონდა, თუმცა მეურნეობაში იყვნენ მუდმივი დაქირავებული მუშებიც.

1865 წლისათვის ივ. სულხანი-შვილს თავის¹³ მეურნეობაში 200 დესეტ. მიწაზე (საძოვრების ჩაუთვლელად) დათესილი ჰქონდა: 50 დესეტ. საშემოდგომო ხორბალი, 100 დესეტ. საგაზაფხულო, 4 დესეტ. ფერვე, მუხულო, ცერცვი და თამბაქო, 8 დესეტ. ენდრო, 7 დესეტ. ვენახი, 30 დესეტინაზე ხელოვნურად მოშენებული საკვები ბალახი და 1 დესეტ. იონჭა. მიწის დამუშავებისას ივ. სულხანი-შვილი იყენებდა შუმანის სისტემის გუთანს, რომელიც არც თუ ისე შედეგიანი იყო, მაგრამ მეურნეობაში მაინც იხმარებოდა. მეურნეობაში ანოუიერებდა

¹² ფ. № 241, ან 3, საქ. № 14, 1865—83 წწ.

¹³ ფ. 241 ან 3, საქ. 14, 1865—83 წწ. გვ. 70, 88.



ნენ მხოლოდ სასიმინდე მიწას და სიმინდის მოყვანა წარმოებდა ძალის მიზანით გულხად, თუმცა ივ. სულხანიშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა ცხენის შესაბმელი გუთნის გამოყენება, რომელიც სიმინდის ნათესს სარეველა მცენარეებისაგან გაასუფთავებდა. პურეულის მკა და ლეწვა წარმოებდა ასევე ძველებურად, რაღაც სალეწი მანქანის შეძენა ძვირი უფლებოდა მემამულეს. ივ. სულხანიშვილი მოწადინებული იყო შეეძინა სალეწი მანქანა, მაგრამ მან ვალესის სამანქანო დეპოში ვერ შეარჩია მისთვის სასურველი ზომის სალეწი.

ივ. სულხანიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბაქოს გუბერნიაში დიდი შემოსავალი მოიტანა ენდროს წარმოებამ. ამიტომაც მან დერბენდიდან გამოიწერა თესლი და ჭერ 3—დესეტ-ზე დათესა, შემდეგ კი 7 დესეტ-ზე. 1864 წლისთვის ივ. სულხანიშვილი 1 ფუთ ენდროს ჰყიდვა 5 მანეთად, შემსყიდველები თბილისელი ვაჭრები იყვნენ. გარდა ენდროსი, ივ. სულხანიშვილმა მოაშენა მეორე სალებავი მცენარე — საფლორი, რომელიც, მისი გადმოცემით, კარგი აღმოჩნდა და გაამართლა მეურნის ხარჯები. ივ. სულხანიშვილი ამ სალებავი მცენარეების რეალიზაციისათვის თვითონ ჩამოდიოდა თბილისში.

როგორც ჩანს, ივ. სულხანიშვილი გაუტაცნია ტექნიკური კულტურის მოყვანას, იმ იმედით, რომ ეს კულტურები ახალი იყო ჩვენს ქვეყანაში და დიდ გასავალში იქნებოდა. იგი თავის მეურნეობაში ზე-თოვანი კულტურების მოშენებასაც მისდევდა. მან ყურადღება მიაქცია ამ მხარეში გავრცელებულ ველურ მცენარეს, რომლისაგანაც შეიძლებოდა სახამებლის მიღება. იგი შეეცადა აგრეთვე კანაფისა და ლერწმის მოყვანას, რომლებიც საჭირო იყო რაგოვისა და თუთის წარმოებისათვის.

კარგ მდგომარეობაში იყო საძოვრები და საკვები ბალანსი — იონგის ნათესი, რომლის მოვლისა და გასუფთავებისათვის ივ. სულხანიშვილი აპირებდა სათანადო მანქანების შეძენას.

7 დესეტინა მიწაზე ივ. სულხანიშვილს ჩაყრილი ჰქონდა სხვადასხვა ჭიშის ვაზი; საფერავი, მსხვილმარცვალი, ბუდეშური, ხორტივალი და აღრეული. გარდა ვენახისა, სულხანიშვილს გაშენებული ჰქონდა ხეხილის ბალი, სადაც დარგული იყო 60 ძირი ხე, 10 ძირი ბალი, 10 ძირი ქლიავი, 30 ძირი ვაშლი და მსხალი. აღსანიშნავია, რომ სულხანიშვილს გარდა ხილისა და ვენახისა, ევროპულად გამართული ყვავილნარი და ხეივნები ჰქონდა. ბოსტნეულიდან მოჰყავდათ სხვადასხვა ჭიშის კომბოსტო და კიტრი. მეურნეობაში გაშენებული იყო

ეროვნული
მუზეუმი

თურქული თამბაქო, რომელსაც უვლიდა ტრაპიზონიდან მოწყდეს შემდეგი ისტატი¹⁴.

მცირე მასშტაბით იყო წარმოდგენილი მეცხოველეობა და მეაბრეშუმეობა. მსხვილფეხა საქონლიდან მეურნეობაში იყო 8 ულელი ხარი, 3 ძროხა, რამდენიმე ღორი. მეაბრეშუმეობისათვის დარგული იყო 200 ძირი თუთის ხე. ასეთი იყო ივ. სულხანიშვილის მეურნეობა, რომლის გასამართვად მან სესხისათვის კერძო პირს მიმართა და ვალში ჩადგა. აღნიშნავდა რა თავის დამსახურებას სოფლის მეურნეობის დარგში, ივ. სულხანიშვილი წარმოების გასაფართოებლად ხაზინისაგან ითხოვდა 10 000 მანეთს (10 ჭლის ვადით).

ივ. სულხანიშვილის მოღვაწეობას არ ჩაუვლია შეუმჩნევლად. იგი დაჯილდოებული იყო ოქროსა და ვერცხლის მედლებით ადგილობრივ და სამპერიო გამოფენებზე მონაწილეობისათვის.

ივ. სულხანიშვილის მეურნეობის მნახველი აგრონომი დეიქმანი დადებითად აფასებდა მეურნეობის წარმოებას, რომელიც ღირსი იყო დახმარებისა და ხელის გამართვისა. ამის გარდა, იგი სათანადო ჩეგვა-დარიგებებს აძლევდა მეურნეობის მწარმოებელს, რაც მას უნდა გაეთვალისწინებინა თავის მომავალ მუშაობაში.

ივ. სულხანიშვილს 200 დესეტ. — მიწაზე უნდა გამოეყენებინა ექვსმინდვრიანი სისტემა. პირველ ჭელს დაეთესა საშემოდგომობრბალი, მეორე ჭელს — ქერი, მესამე ჭელს — სიმინდი, ღომა, კომბოსტო, მეოთხე ჭელს — შვრია, მეხუთე ჭელს — კვლავ საშემოდგომო და მეექვსე ჭელს საზაფხულო პური. ასევე ანაწილებდა საკვები ბალახისა და სხვადასხვა ტექნიკურ კულტურების ნათესებს. ასეთივე ჩეგვა-დარიგებებს აძლევდა მესაქონლეობის დარგში, მანქანიარაღების გამოყენებაში და სხვა დარგების წარმოებაში.

ივ. სულხანიშვილი, ვიდრე მეურნეობის წარმოებას შეუდგებოდა, მანამდე გულმოდგინედ სწავლობდა და აკვირდებოდა სოფლის მეურნეობას ევროპასა და რუსეთში ყოფნის ღროს. იგი საფრანგეთსა და შვეიცარიაში ეცნობოდა იქაურ მეურნეების საქმიანობას და ცდილობდა პრესის საშუალებით მათი უნარი და გამოცდილება გაეზიარებინა ქართველ მეურნეთათვის. ივ. სულხანიშვილი იძენდა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, რომლებსაც ის თავის მამულში ცდიდა. „იმედი მაქეს, — ჭერდა იგი, — რომ ჩემგან მოპოვებული საგნები გამოსადეგი იქნება და მასთან სასარგებლო საერთოდ მთლად ჩვენი მამულის მეპატრონისათვის“¹⁵. ამისათვის იგი იწვევდა სოფ. ტირქნისში ამ მანქანების ნახვის მსურველებს.

¹⁴ იგივე ფონდი, საქ. 14, გვ. 100.

¹⁵ „სასოფლო გაზეთი“, 1870 წ. № 16.

1869 წლისათვის ივ. სულხანიშვილის მეურნეობა კიდევ უფრო ზღვისათვის გაიზარდა. მას ჰქონდა ორი უცხოური სისტემის გუთანი, რომელთა მუშაობით კმაყოფილი იყო. სამკელი მანქანა, რომელსაც სალეჭი მოწყობილობაც ჰქონდა. ჰყავდა 31 ულელი ხარჯამეჩი, 7 ცხენი, 14 ანგორის თხა, ღორები, ადგილობრივი და იაპონური ჭიშისა, ნაზმატყლიანი ცხრები და ფრინველები.

იმისათვის, რომ უფრო კარგად ედევნებინა თვალყური მეურნეობის წარმოებისათვის, ივ. სულხანიშვილმა სოფ. ტირიძნისიდან 4 ვერ სის დაშორებით 400 — დესეტინაზე გააშენა ხუტორი, აქვე იყო შენობა ზედამხედველთათვის, მუშებისათვის; ბეღელი, ბოსელი, სალორე, საქათმეური, ფარენი და კამეჩების სადგომი. გარდა ამისა, უნდა აეშენებინა საჯინიბო, მანქანების შესანახი ფარდული და გადმოეტანა სოფ. ტირიძნისიდან რუსული წისწევილი.

მეურნეობაში სამინდვრიანი სისტემა იყო. სოესღნენ ხორბალს, ქერს, სიმინდს, ფეტვს, საშუალო მოსავალი 1 დესეტინაზე საშემოდგომო ხორბლისა იყო 10—12 კოდი. საგაზაფხულო ხორბალი დესეტინაზე — 8—10 კოდი, ქერი, 15—20 კოდი; მოსავლიან წელიწადში 20—30 კოდი. სიმინდი მოდიოდა დესეტინაზე 12—15 კოდი, ფეტვი — 5—8 კოდი, ლობიო 10—15 კოდი. მინდვრის სამუშაოებს ასრულებდნენ უმეტესად დროებითვალდებული გლეხები, რომლებიც გარიგებული იყვნენ მოსავლის ნახევრის აღებით; მიწების უმეტესი ნაწილი გლეხებზე იყო გაცემული იჯარით. გარდა დროებითვალდებული გლეხებისა, მეურნეობაში მუშაობდნენ დაქირავებული მუშებიც, რომლებიც წელიწადში იღებდნენ 100 მანეთს. ისინი მუშაობდნენ მინდვრებსა და ბალებში; რთველისა და პურის აღების დროს ჭირაობდნენ ოსებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც დღიურად იღებდნენ 40—60 კაპ.¹⁶.

70-იანი წლებისათვის ივ. სულხანიშვილის მეურნეობაში ცვლილებები მოხდა. ის აღარ აშენებდა წინანდებურად თამბაქოს, ენდროსა და სხვა ტექნიკურ მცენარეთა პლანტაციებს, რადგან ამ კულტურების მოყვანამ ცოტა სარგებლობა მოუტანა მას. თუმცა სათანადო წარმატებებსაც მიაღწია, მედლებიც კი მიიღო, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. როგორც ჩანს, ამ საქმეში ივ. სულხანიშვილს ნაკლები სარგებელი უნახავს და თავი გაუნებებია. ამიტომ მან კვლავინდებურად ხელი მიჰყო მემინდვრეობას; მიწების განოყიერებითა და საკვები მცენარეების დათვესით უზრუნველყო მეურნეობის მდგომარეობა. აგრონომი კუზმინი ივ. სულხანიშვილის ასეთ ჩავარდნას მიაწერს სოფლის მეურნეობის საზოგადოების მრჩევლებს, რომლებიც არასწორად



ურჩევდნენ მას ამ კულტურის გაშენებისათვის მოეკიდა ეელიაშვილები მეურნეობის დავალიანება იყო. ივ. სულხანიშვილის ვალი უდრიდა 8 000 მანეთს. მიუხედავად დიდი ზარალისა, რომელიც მან განიცადა მოუსავლიანობისა და ვალის გამო (რასაც დაემატა საქონლის ჭირი), მთავრობა უარს ეუბნებოდა შეღავათებზე¹⁷. შემდეგ, მისი მრავალგზის თხოვნის შედეგად, ვალის გადახდის ვადა გაუხანგრძლივეს 14 წლით, წელიწადში 500 მანეთის გადახდით.

ბაკურციხელი მემამულე სოლომონ ანდრონიკაშვილი, რომელიც ჯერ კიდევ 1860 წელს შეუდგა მეურნეობის წარმოებას, ფიქრობდა, რომ ჩინოვნიურ სამსახურს, მამულის მოვლა ჭობდა და რომ არც აქედან ექნებოდა ნაკლები შემოსავალი. თავის ქვეყნისათვის სასარგებლო საქმე იქნებოდა, თუ იგი ხელს მოკიდებდა სოფლის მეურნეობის განვითარებას მისი დარგების ახლებურ წესზე წარმოებას. მისი წარმატებები სოფლის მეურნეობაში მისაბაძი გახდა კახეთის მემამულებისა და გლეხებისათვის. სოლომონ ანდრონიკაშვილი მონაწილე იყო მოსკოვისა და თბილისის სასოფლო-სამეურნეო გამოფენებისა, დაჯილდოებული იყო ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

მისი მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მეღვინეობა, მეცხვარეობა და მებაღეობა. სოლომონ ანდრონიკაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვილა აბრეშუმისა და თამბაქოს წარმოებაში. აბრეშუმის წარმოების განვითარებისა და გაურცელებისათვის ხელისუფლება პირდებოდა სოლომონ ანდრონიკაშვილს სანიმუშო სკოლის მოწყობას, სადაც უნდა ესწავლათ გლეხის ქალებს ოსტატის მეთვალყურეობით და ხელმძღვანელობით. აბრეშუმის წარმოების მცირე მასტრაბურობა არ იყო ხელსაყრელი და ამიტომ სოლომონ ანდრონიკაშვილმა სცადა ამ საქმისათვის ამხანაგობის შექმნა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ეს ამხანაგობა დაიშალა. ახლა მეაბრეშუმეობას მხოლოდ მის მეურნეობაში ეწეოდა და იმედი პქონდა, რომ როდისმე შეიქმნებოდა პირობები მის გასაფართოებლად და უკეთ საწარმოებლად.

საქმაო წარმატებებს მიაღწია მან მეთამბაქეობაშიც. მის მიერ შეძენილი თურქული ჯიშის თამბაქოს მოყვანა-გაშენებამ, სოლომონ ანდრონიკაშვილი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ადგილობრივი პირობების გამოყენებითა და კარგი მოვლით შეიძლებოდა შესანიშნავი ხარისხს თამბაქოს მოყვანა, რომელიც თურქულ თმბაქოზე დაბალი ხარისხის არ იქნებოდა.

გარდა ამისა, სოლომონ ანდრონიკაშვილმა ხელი მიჰყო ყვავილების გაშენებას, საობურებში ბოსტნეულის თესვასა და მოყვანას და

17 სცადა, ფ. 24, საქ. № 176—177.

ზოგიერთი მარცვლეულის სათესლედ დამზადებას. ამ უკანასკნელ ღორიშვანი ნისძიებებს მეურნეობაში იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა და აღნიშნავდა, რომ ამ დარგის განვითარებით თავიდან იქნებოდა აცილებული მოუსავლიანობა მარცვლეულის წარმოებასა და დამზადებაში¹⁸.

1867 წლისათვის სოლომონ ანდრონიკაშვილი განაგრძობდა სოფლის მეურნეობის ზემოხსენებული დარგების წარმოებას და მათი გაუმჯობესებისათვის მოითხოვდა თანხას, მაგრამ არ დასცალდა მას ეს საქმე, იგი 1868 წელს გარდაიცვალა და მთავრობა იძულებული იყო შეღავათები მიეცა სოლომონ ანდრონიკაშვილის ქვრივისათვის ვალის დაფარვაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოლომონ ანდრონიკაშვილი მთელი შეგნებითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მეურნეობის განვითარების საქმეს. იგი თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ მას შეეძლო მიწების იჯარით გაცემით დაკმაყოფილებულიყო, მაგრამ თავისი ქვეყნის ეკონომიური განვითარების ინტერესები უბიძგებდნენ მას თვითონ მოეკიდა ხელი წარმოებისათვის და წინ წაეწია საქმე.

იგი მთავარ დაბრკოლებად მიიჩნევდა უსახსრობას, რომელიც მას საშუალებას არ აძლევდა დაქირავებული მუშახელი გამოეყენებინა¹⁹.

80—90-იანი წლების მემაულური მეურნეობები უფრო რაციონალიზებული და უკეთ მოწყობილი არიან, ვიდრე 70-იანი წლებისა. ასეთებია, მაგალითად, ეიფენგანცის მეურნეობა ლაგოდებში, ბარათაშვილისა — სოფ. კოტიშში და ვეზირიშვილისა — სოფ. ოსიაურში.

თბილისიდან 32 ვერსის დაშორებით მდ. ალგეთზე მდებარეობდა კოტიშში ანუ პატარა დურნუკი, სადაც ბარათაშვილს ჰქონდა გამართული მეურნეობა 1500 დესეტ. მიწაზე აქედან 50 დესეტ. წარმოადგენდა სარწყავ მიწებს, 650 დესეტ. — სახნავს, ხოლო დანარჩენი — საძოვრებს.

მეურნეობაში ეწეოდნენ უმთავრესად მემინდვრეობას. ითესებოდა ხორბალი, ქერი. მიწა მუშავდებოდა გაუმჯობესებული ქართული გუთნით. ბარათაშვილმა სცადა პურის სამკელი ნამგალი შეეცვალა სალეჭი მანქანით, მაგრამ ამ მანქანამ ვერ გამართლა იმედები. იგი მკიდა ალაგ-ალაგ და პური მთლიანად მოუმკელი რჩებოდა. გარდა ამისა, მომქილი პურის აკრეფას სხვა მუშახელი სჭირდებოდა. ამიტომ პურის მკა ისევ ძველებურად, ნამგლით წარმოებდა, სამაგიეროდ გა-

18 სცია, ფ. 241, საქ. № 9.

19 იქ ვე.

მოსალეგი შეიქნა პურის სალეჭი მანქანა. თუმცა გლეხები ასეული ლოზე ლეწდნენ პურის კევრის საშუალებით, მაგრამ ახალმა მანქანამ მათი მოწონება დაიმსახურა.

ბარათაშვილი პურის ლეწვას იწყებდა სექტემბრიდან; მისი აზრით, ამ დროს მუშახელი იაფი იყო. იგი რანსონისა და სიმსის სისტემის სალეჭ მანქანას იყენებდა, რომელიც მოძრაობდა წყლის საშუალებით. 10 საათის განმავლობაში იგი ლეწავდა 10 მნას. სალეჭი მოთავსებული იყო ორსართულიან შენობაში. ზემო სართულში მოპქონდათ ძნები, ხოლო ქვედა სართულში იფქვებოდა ხორბალი, ბზე კი მიღიოდა ცალკე. ლეწვაში მონაწილეობდა 15 კაცი, ისინი დაქირავებულნი იყვნენ დღიურად და იღებდნენ 40 კაც.

ბარათაშვილს საკუთარ მფლობელობაში ჰქონდა 70 დესეტ. მიწა, რომელზედც დათესილი იყო ხორბლის ორი სახეობა თეთრი და შავი თავთუხი, დანარჩენი ნაწილი სახნავი მიწებისა გაცემული ჰქონდა იჯარით ადგილობრივ მცხოვრებლებზე, რომელთაგან ის იღებდა ნატურით გადასახადს — როგორც პურის, ისე ქერის მოსავლის ერთ მესამედს ძნების სახით. ეს ძნები უნდა მოეტანათ და დაეწყოთ სალეჭთან. დესეტინის დამუშავება ჯდებოდა 59 მან. (ყველა იმ სამუშაოს ჩათვლით, რაც მიწის დამუშავებას სჭირდებოდა, მოსავლის აღებისა და გალეჭვის ჩათვლით).

ბარათაშვილის მეურნეობის ყოველწლიური შემოსავალი 108.800 ფუთ ხორბალს უდრიდა²⁰, ქერისა — 2000 ფუთს. ასეთი მოსავლიანობის გათვალისწინების საფუძველზე ბარათაშვილმა 1876 წელს მოაწყო წისქილი, რომელსაც სამი ხარისხის ფქვილის მოცემა შეეძლო. ხორბლის გარდა მის მეურნეობაში ითხესბოდა აგრეთვე შავი ქერი, რომელსაც ცხენების საკვებად იყენებდნენ.

1881 წელს სოფ. ოსიაურის მკვიდრი სკიმონ ვეზირიშვილი, რომელსაც ჰალესა და ლაიპციგის უმაღლეს სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული აგრძონმიული განათლება, აპირებდა სანიმუშო მეურნეობის მოწყობას თავის სოფელში. ამისთვის იგი ითხოვდა 20 000 მანეთს 15 წლის ვადით. „...მხურვალე სურვილი მაქვს ხელი შეუწყო ჩემს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას“²¹, — აღნიშნავდა იგი თავის მოხსენებით ბარათში, რომელსაც თან ახლდა მეურნეობის აღწერილობა და მისი გარდაქმნის პროექტი.

ვეზირიშვილების სამემკვიდრეო მამული მდებარეობდა გორის მაზრაში, სურამთან ახლოს, პორჯომიდან 28 ვერსის დაშორებით. იგი

²⁰ «KCX», 1896 წ., № 137.

²¹ სცია, ფ. 241, საქ. № 289, ფ. 43—44.

შეიცავდა ასებრები სახნა-სათეს მიწებს, ისე სათიბებს, საძოვრებლებს და ტყებს. სამხრეთიდან მდ. მტკვარი ჩამოუდიოდა რომლის გამოყენება შეიძლებოდა სარწყავად, მაგრამ აქაური ნიაღაგი არ საჭიროებდა ხელოვნურ მორწყებას.

სოფელში 80 კომლი გლეხი იყო, მაგრამ რკინიგზის სიახლოვის გამზ. მუშახელი მუდამ ძირიად ფასობდა. აქ სამუშაოდ მოდიოდნენ სახები, მეტრლები, რაჭველები და სვანები. ამათგან მეტრლები და სხვ-ზი მუშაობდნენ სიმინდის ყანებში, ხოლო რაჭველები ცნობილი იყვნენ, როგორც კარგი მომკელები.

၅၁။ ၊ ၁၈၀၀ ခုနှစ်တွင် မြန်မာနိုင်ငံသို့ ပေးပို့ခဲ့သည့် အမြန်များ ဖြစ်ပါသည်။

შეურნეობის წარმოების სისტემა იყო ჩვეულებრივი, ე. ი. რამ-დენიმე დესეტინას იტოვებდა მემამულე და მიწების უმეტესობა გა-ცემული ჰქონდა იჯარით ღრმებითვალდებულ გლეხებზე ან ხიზნებ-ზე, რომლებიც, ვეზირიშვილის განმარტებით, წარმოადგენდნენ, თა-ვის მხრივ, წვრილ მოიგარადრე ფერმერებს. მიწები, რომლებიც გაცე-მული იყო მოიგარადრებზე, შეადგენდა 139 დესეტ. და 600 კვ. სა-ჟენს. მოიგარადრები ვალდებული იყვნენ მათი სარგებლობისათვის მემამულისთვის ეხადათ 4 კოდი ღალა თითო დესეტინიდან. ღალის აკრეფა არ ხდებოდა ყოველთვის ერთნაირად. გლეხები თვითონ ამუ-შავებდნენ მიწას და მემამულეს უხდებოდა ცალკეული მოიგარადრი-საგან მიერო ღალა. მას თან დაპქნენდა ღალის სია და გლეხის თან-საგან მიერო ღალა. გლეხები არ მოებდა ღალის აკრეფას. მემამულეს იჯარით ჰქონდა ხლებით აწარმოებდა ღალის აკრეფას. მემამულეს იჯარით ჰქონდა გაცემული სპარსელ მებოსტნებზე ბოსტანი, ფულითა და ბოსტნეულის გარკვეული რაოდენობის მიღებით. აგურის ქარხანაც იჯარით იყო გაცემული. მეურნეობაში გაბატონებული იყო სამმინდვრიანი სისტე-მა. ითესებოდა ხორბალი, სიმინდი, ფეტვი, ლობიო, ქერი.

მიწას ამუშავებდნენ და ანოყიერებდნენ ძველებურად, არ ხდებოდა ნათესი ყანის გასუფთავება და შემდგომი დამუშავება, უფრო პრიმიტიულად წარმოებდა მოსავლის აღება და პურეულის ლეწვა. პურეულის მოსავალს იღებდნენ ნამგლით და ლეწავდენ კევრის სა-შუალებით. მოიგარადრე არ ზრუნავდა არც მიწების განოყიერებაზე შეუალებით. მოიგარადრე არ ზრუნავდა არც მიწების განოყიერებაზე შესვენებაზე, რის გამო ნიადაგი იფიტებოდა და ნაკლებად არც მის შესვენებაზე, რის გამო ნიადაგი იფიტებოდა და ნაკლებად მოიგარადრის მთავარი საზრუნავი იყო მასზე მოსავლიანი ხდებოდა. მოიგარადრის მთავარი საზრუნავი იყო მასზე შემოწერილი მოსავლის ნაწილი ღალის სახით ჩაეგარებინა მემამუ-

22 ԵՐԵՎԱՆ, զ. 241, ՏԵԽ. № 289.

ლისათვის, ამიტომაც ძალიან დაბალ დონეზე იღგა ოსიაურში სოფლის მეურნეობა.

ოსიაურში ვეზირიშვილების მიწებზე ესახლა 14 კომლი დროებით გლეხი და ხიზანი. რომლებიც ტყისა და საძოვრების სარგებლობისათვის მემამულეს სასარგებლოდ მუშაობდნენ გუთნეულის გამოყვანითა და ურმების მიწოდებით. გარდა დროებითვალდებული გლეხებისა და ხიზებისა, მეურნეობაში იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს, უმთავრესად მოსავლის აღების დროს.

თუ რა შემოსავალს იძლეოდა მეურნეობა, ამის დადგენა შესაძლებელი ხდება არსებული მონაცემებით. 10 დესეტ. ე. წ. მინდვრის მიწებზე დათესილი იყო ხორბალი, რომელიც იძლეოდა 640 ფუთ ხორბალს, ფუთი 70 კაბ. ღირებულების, ჩაც უდრიდა 448 მან.; საერთოდ მეურნეობის მთელი შემოსავალი უდრიდა 598 მან. ამ 10 დესეტ. მიწაზე დახარჯული თანხა უდრიდა 610 მან.

მთელი მამულის შემოსავალი უდრიდა 5081 მან. 10 კაბ. დანახარჯი კი 5166 მან. 67 კაბ. დეფიციტი 85 მან. 57 კაბ. შემოსავლის აღწერის დროს ყველაზე მეტი შემოდიოდა საღალო გადასახადებისაგან. ეს იყო ლობით 120 ფუთი, 1 ფ 1 მან. 120 მან.

სიმინდი 480 ფუთი	1 ფ — 60 კაბ. — 288 მან.
ხორბალი 800 ფუთი	1 ფ — 70 კაბ. — 560 მან.
ქერი 263 ფუთი	1 ფ—65 კაბ. — 170 მან. 50 კაბ.

სულ 1138 მან. 50 კაბ.

ლალა ნატურით შემოდიოდა და შემდეგ თვითონ ვეზირიშვილის მიერ გადატანილი იყო ფულად ღირებულებაზე. გარდა ამისა, ვეზირიშვილმა გამოიინგარიშა თუ როგორ კარგავდა თანდათან მამული წარმოების უნარიანობას ყოველწლიურად. წარმოების დანაკარგი უდრიდა 772 მან. 8 კაბ.

ასეთი მდგომარეობა იყო სოფ. ოსიაურში, სვიმონ ვეზირიშვილის სამემკვიდრეო მამულში, რომლის წარმოების გაუმჯობესებასა და შემოსავლის გაზრდას ცდილობდა მისი მფლობელი.

ვეზირიშვილის სიტყვით, ოსიაურის ექსტენსიური მეურნეობის ინტენსიურ მეურნეობად გადაქცევისათვის არსებობდა შემდეგი ხელშემწყობი პირობები: იგი ახლო მდებარეობდა ფოთი-თბილისის რკინიგზის მაგისტრალთან, იქაური ნიადაგი გამოსაღევი იყო ყოველგვარი კულტურის საწარმოებლად, მიწები არ იყო გაფარგული სხვადასხვა ადგილებში და არავინ არ ედავებოდა მის მფლობელობაში. მა-

წების უმეტესობა გარდა საძოვრებისა და საბოსტნე მიწებისა, უნდა გამოყენებინა თვით ვეზირიშვილს, გლეხებს კი მიეცემოდა იჯარით მხოლოდ 17 დღესტ. 1800 კვ. საჟ. გარკვეული ფულადი გადასახადის გაღებით (1 დღესტ. 10 მან.). ვეზირიშვილი შენიშნავდა, რომ გლეხი ფულის გადახდას ორჩევდა ნატურით ჩაბარებას. გარდა ამისა, უნდა დაწესებულიყო ფულადი გადასახადი საძოვრებით სარგებლობისათვის, თვითეულ კომლზე 20 მან. და თითო ოჯახიდან 3 კაცის სამუშაოზე გამოყვანით. ეს მუშა მიიღებდა საერთოდ დადგენილ დღიურ ხელფასს.

ბევრი სიახლის შეტანა იყო გათვალისწინებული მემინდვრეობა-სა და თესლბრუნვაში, სადაც მხედველობაში იყო მიღებული ნიადაგის შემადგენლობა, მისი განოყივრება სხვადასხვა მინერალური სასუქით.

მეურნეობის ძირითად დარგებად აღიარებული იყო პურეულის წარმოება და მესაქონლეობა²³. მესაქონლეობის განვითარებისათვის მეურნეობას უნდა ჰყოლოდა 40 ძროხა, 20 კამეჩი, 30 მოზვერი, 20 მსხვილფეხა საქონელი, 12 მუშა კამეჩი, 12 ხარი, (რომლებსაც სამუშაოდ გამოიყენებდნენ 8 თვის განმავლობაში, ხოლო დანარჩენ 4 თვის განმავლობაში გაასუქებდნენ და გაპყიდნენ), 14 ღორი მოსაშენებლად, 15 სახორცელ.

ამის შემდეგ სვიმონ ვეზირიშვილი დაწვრილებით აღნუსხავდა ყოველი დესეტინს განოყივრებასა და სათანადო მომზადებას სხვადასხვა კულტურის საწარმოებლად. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მიწის მინერალური სასუქით გამდიდრებას, რაც მისი მოსავლიანობის საწინააღმდეგო წარმოადგენდა. ასეთი სამეურნეო ღონისძიებების ჩატარების შემდეგ ოსიაურის მამული ყოველწლიურად 411 მან. 47 კაპ. გაზრდიდა თავის შემოსავლიანობას.

დიდი ყურადღება ექცეოდა მომავალში საქონლის გამოკვებასა და შენახვას, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეძენას, და სხვა.

მთელი მეურნეობა უნდა განაწილებულიყო ნაკვეთებად, სადაც, გეგმის მიხედვით, დათესებოდა ხორბლეული, ბოსტნეული ან საევები ბალაზი; შემდეგ გამოანგარიშებული იყო თითოეული ასეთი ნაკვეთის განოყივრების ხარჯები, სამუშაო ძალის რაოდენობა, მოსავლიანობა, მისი ღირებულება. ასეთ ვრცელ აღწერილობას მეურნეობისა და მისი შემდგომი გაფართოების გეგმას სვიმონ ვეზირიშვილი წარუდგენდა რა თბილისის გუბერნატორს, აღნიშნავდა, რომ მისი სამეურნეო ღონისძიებანი სანიმუშო და მისაბაძი გახდებოდა ყველასათვის. თბი-

23 სცია, ფ. 241, საქ. № 289, 17.

ლისის გუბერნატორი თავის მხრივ შუამდგომლობდა კავკასიის შეცვალაზე თან მიეცათ სვიმონ ვეზირიშვილისათვის 20 000 მან. სესხის სახით²⁴.

სვიმონ ვეზირიშვილი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ თავისი მა-მულითა და მის შემოსავლიანობის გაზრდით. იგი, გარდა პრაქტიკული ღონისძიებებისა, საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა აგრონომიული განათლებისა და გავრცელების საქმეში. ამას მოწმობს მისი მრავალი სტატია, რომლებიც იძევდებოდა მაშინდელ სასოფლო-სა-მეურნეო და სხვა ორგანოებში — „გუთის დედაში“, „კავკასიის სოფლის მეურნეობაში“, „მეურნეში“, „დროებაში“ და სხვა.

იგი კარგად ხდავდა, თუ რა მდგომარეობაში იყო სოფლის მე-ურნეობა საქართველოში; ქვეყანის თავისი ბუნებრივი მონაცემების საფუძველზე შეეძლო პრონოდა კარგად განვითარებული სოფლის მე-ურნეობა, მაგრამ უსასხრობისა და სილარიბის გამო ჩამორჩენილი იყო. სილარიბის მთავარ მიზეზად სვიმონ ვეზირიშვილს მემამულეთა გულგრილობა მიაჩნდა. „მე ვამტყუნებ ჩვენს მემამულეთა თავიანთ მოქმედებაში და მათ ვსახავ ჩვენი მეურნეობის დამცირების მიზეზად, იმიტომ რომ დარწმუნებული ვარ მათს უკეთესის შეძლებაზედ. ჩვენი გლეხი-კაცი კონსერვატორი, ძველი წესის მიმდევარი და თან უმეცა-რი. იმისაგან ვერ მოვითხოვთ მეურნეობის წარმატებას, გაუმჯობესებას. იმას შეუძლიან მხოლოდ კარგი და სასარგებლო მაგალითის ნახ-ვით ნელ-ნელა დასტოკოს თავისი მამა-პაპური ცოდნა... მებატონეებმა უნდა მისცენ მათ მაგალითი, მეტწმუნეთ გუთნით გამაგრებულ ხელს ვერა-რა ხელი ვერ შეედრება ვერც კეთილშობილებითა და ვერც სი-მძლავრით“²⁵ — ქადაგებდა მემამულების გულშემატკივარი სვიმონ ვეზირიშვილი, მაგრამ მემამულეთა უმრავლესობა უფრო ადვილი გზით — მამულის დაგირავებით პოულობდა თავის საარსებო სახსარს.

სვიმონ ვეზირიშვილი ცდილობდა სოფლის მეურნეობაში მანქანა-იარაღების გამოყენებას. ასე გამოსცადა მან ჭონსონის სისტემის სა-ვალი მანქანა თავის მამულში და კარგი შედეგი მიიღო. თხუთმეტი დღის მუშაობით მან მომკა 30 დესეტ. პური. 5 დესეტ. ქერი, შვრია. იგი ურჩევდა მეურნეებს შეეძინათ ეს სამკალი მანქანა, რომელიც მსუბუქი იყო და შედარებით მარტივი მექანიზმი ჰქონდა.

ვეზირიშვილი შენიშნავდა, რომ ნამგლიანი მუშის შოვნა ძნელია და ძვირიც უჯდება იგი მეურნეს, ცელის გამოყენებას კი ზარალის მეტი არა მოაქვს რა, ამიტომაც მიზანშეწონილი იყო ამ მანქანის შე-ძნა. ასეთივე საჭირო და სასარგებლო ცნობებს აწვდიდა სვიმონ ვე-

24 სცია, ფ. 241, საქ. № 289, გვ. 49.

25 ვაზ. „დროება“, 1881 წ. № 266.

ზირიშვილი საქონლის მოვლასა და შენახვის, ახალი მარცვლოვანი კულტურების მოყვანის შესახებ. იგი დაწვრილებით აღწერს ორგორ უნდა დამზადდეს საქონლის საზამთრო საკვები — სილოსი.

„...მსურს ყველა მხენელ-მთესველს ყურში უჩურჩულო, წერს იგი — რომ კარგად გამოკვებილი საქონელი აძლევს კარგ სასუქს, კარგად გაფხვირებული მიწა ბევრ ჭირნახულს და ბევრი ჭირნახული ხომ — ბევრ ფულს“²⁶.

ასეთი იყო მემამულური მეურნეობის მდგომარეობა XIX საუკუნის მეორე ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში. მემამულების უმცირესობა ეწეოდა მეურნეობის და ცდილობდა მისი წარმოების გაუმჯობესებით შემოსავლიანობის გაზრდასა და ცოტად თუ ბევრად სოფლის მეურნეობის კალკეული დარგების გარდაქმნას.

XX ს-ის დამდეგისათვის უფრო გავრცელებული ჩანს მემამულეთა მიერ მიწების იჯარით გაცემა, რასაც ადრეც მიმართავდნენ, მაგრამ შედარებით ნაკლებად.

* * *

ალექსანდრე ივანე ძე ორბელიანის მამული მდებარეობდა ბორ-ჩალოს მახრაში, რომელიც შეიცავდა 23000 დესეტინას. აქედან გია-ურ-არხში იყო 7 936 დესეტინა, სარჩაპეტში — 1796 დესეტინა, ყა-რა-კალაში — 1233 დესეტინა, ყარა-ხაში — 11955 დესეტინა და ლოქში — 1220 დესეტინა.

ამ აგარაჟებიდან სახნავი მიწები გიაურ-არხში იყო 4000 დესეტინა, დანარჩენი ეჭირა საძოვრებს, სათიბებსა და ტყეს. ალ. ორბელიანის მთელი მამული გაცემული ჰქონდა იჯარით დროებითვალდებულ გლეხებსა და ახლო-მახლო მცხოვრებლებზე, იჯარის პირობა იყო: სახნავ მიწებზე შემოსავლის ერთი მეოთხედი, სათიბ მიწებზე — ერთი მესამედი და საკარმიდამო მიწაზე კი დაწესებული იყო ფულადი გადასახდი: 1,5 დესეტინაზე 3 მანეთი. ფულადი გადასახადი იყო აგრეთვე საძოვრებზე, რომელსაც მთელი წლით წინასწარ იხდიდნენ მოიკარადრები. წინასწარ ჰქონდა მიღებული ორბელიანს იალლუჯის საძოვრების მთელი წლის გადასახადი — 2700 მანეთი. ლოქის სათიბების 3000 მანეთი და სხვ. შემდეგ ორბელიანმა თვისი მამული საუფლისწულო უწყებას მიჰყიდა, უკანასკნელმა თვითონ მოინდომა მამულის შემოსავლიანობის დადგენა და საამისოდ პროექტიც შეადგინა, მაგრამ ვერ შეძლო ორბელიანს მამულის შემოსავლიანობის დად-

²⁶ გაზ. „ღროება“, 1882 წ. № 24.

გენა, რადგან საიგარო ხელშეკრულებები სიტყვიერად იდებოდა მემა-
მულებსა და მოიგარადრეს შორის. გარდა ამისა, ორბელიანი თვითონ
არ აწარმოებდა მამულის შემოსავლის აღრიცხვას, საამისოდ მას რწმუ-
ნებული ჰყავდა, რომელიც მეურნეობას განავებდა. მეურნეობაში იყო
არხების ზედამხედველი და 8 მეჭინიბე. თვითეულ მათგანს ჯამაგირი
ეძლეოდა. მოსავლის აღებასა და არხებით სარგებლობას განავებდა
ერთი კაცი, რომელიც წელიწადში 600 მანეთს იღებდა²⁷.

საუფლისწულო უწყებამ შეისყიდა ორბელიანის მიწები, სახნავი—
125 მანეთად დესეტინა, ხოლო საძოვრები და სათიბები 25—30 მანე-
თად დესეტინა. ასევე მიპყიდეს თავისი მამულები უწყებას გრუზინ-
კებმა, ქობულაშვილებმა, რომლებსაც თავდაპირველად იჯარით ჰქონ-
დათ გაცემული მიწები.

გორის მაზრის სოფ. ლამისყანაში ჯამბაკურ-ორბელიანი ჰყიდდა
743 დესეტინიდან 515 დესეტინას. მას „პრიკაზის“ ვალი ჰქონდა
27 000 გან.²⁸

მალხაზ ანდრონიკაშვილი თავის მამულს — ბადიაურს (სიღნაღის
მაზრა) სათავადაზნაურო ბანკის ვალის გამო ჰყიდდა. მაგრამ უფრო
გვიან 1914 წელს იგი თავადაზნაურობის სამიწათმოქმედო კომისიისა-
გან ითხოვს სესხს თავისი დაზარალებული მეურნეობის აღსაღენებად²⁹.
როგორც ირკვევა, მას მარცვლეულის მეურნეობა ჰქონდა, სადაც საკ-
მაო რაოდენობით მოჰყავდა ხორბალი, რომელსაც ამავე მეურნეობა-
ში ფქვავდა. შემდეგ წისქვილი დასწვია და მის აღსაღენებად, ითხოვდა
სესხს. მან ედენბურგის კანტორას შეუკვეთა წისქვილისათვის საჭირო
მოწყობილობა და ეს კანტორაც შეღავათების დაშვებით აცლიდა მომ-
ხმარებელს თანხის გადახდას. მალხაზ ანდრონიკაშვილს თავისი მამუ-
ლიდან 12 000 მანეთის შემოსავალი ჰქონდა³⁰. ჩანს, რომ მ. ანდრონი-
კაშვილს მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა არა მარტო მიწების გა-
ყიდვით უდიდა, არამედ გარკვეული საქმიანობითაც. ასეთი მემამულე
ბევრი იყო... ისინი გარკვეული დარგის წარმოებას ჰკიდებლნენ ხელს,
ხშირად არ უმართლდებოდათ.

ივანე თარხნიშვილის მამული სათარხნო (644 დესეტინა) მის პატ-
რონს 590 მანეთის შემოსავალს აძლევდა. იქ იგულისხმება მხოლოდ
საიგარო მიწებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც მემამულეს არ
ჰყოფნიდა. იგი იძულებული იყო მიწები გაეყიდა³¹.

27 სცია, ფ. 361, საქ. № 106, ფ. 41—43.

28 ფ. 215, საქ. № 27, 1908 წ.

29 ფ. 215, საქ. № 323, 1914 წ. ფ. 56.

30 იგივე საქმე.

31 სცია, ფ. 215, საქ. № 184, 1911 წ. ფ. 1.

თომა ციციშვილის მამული გორის მაზრაში იჯარით ჰქონდათ აღმული მოიგარადრებს, ხინებს³².

გივი ივანეს ძე ამილახვარს გორის მაზრის სოფ. ქვემო ჭალაში ჰქონდა 333 დესეტ. მიწა.

საკარმილამო მიწა — 1,5 დესეტ.

ვენახი — 3 დესეტ.

სარწყავი სახნავი მიწები — 6 დესეტ.

ურწყავი სახნავი მიწები — 69 დესეტ.

ტყე — 65 დესეტ.

ბუჩქნარი — 80 დესეტ.

გამოუსაღევარი მიწები — 5 დესეტ.

ამილახვარს მეურნეობაში ჰყავდა 20 ხარი და 20 ძროხა. მიწების ნაწილი გაცემული იყო გლეხებზე მოსავლის ნახევრის გალებით. საქმეში არ ჩანს რა დარგი იყო განვითარებული მეურნეობაში, მაგრამ ღვინის დასაყენებლად საჭირო ინვენტარის არსებობა მოწმობს იმას, რომ იგი მეღვინეობას ეწეოდა. შეიძლება რძის პროდუქტებსაც ამზადებდა³³.

ვეზირიშვილი სოფ. ოსიაურში ფლობდა 100 დესეტინას, 83 დესეტინა სათავადაზნაურო ბანქში ჰქონდა დაგირავებული, ხოლო დანარჩენზე აპირებდა მერძევეობის მეურნეობის წარმოებას, რომელსაც, მისი აზრით, დიდი მნიშვნელობა ექნებოდა დასასვენებლად ჩასაც, რომ იგი მეღვინეობას ეწეოდა. თავისი ვრცელ მოხსენებაში ვაზირიშვილი განმარტავს თავად-აზნაურობის მდგომარეობასა და აღნიშვნას, რომ მან, თავადაზნაურობამ, თავისი საკუთარი ძალებით უნდა იხსნას თავი რუტინისა და ჩამორჩენილობისაგან, რასაც დახმარება უნდა გაუწიოს კაპიტალის გაღებით მთავრობას³⁴. იგი გულისხმობდა უნდა გაუწიოს კაპიტალის გაღებით მთავრობას 5000 მანეთს, მესამიწათმოქმედო კომისიის, რომლისგანაც ითხოვდა 5000 მანეთს, მეურნეობის გასამართავად.

ანდრონიკაშვილების მამული სიღნაღის მაზრაში (ს. მელაანში) გაცემული იყო დროებითვალდებულ და იგრეთვე სახელმწიფო გლეგაცებზე, რომლებიღანაც ის იღებდა მოსავლის ნახევარს ან მეოთხედს; საძოვრებიდანაც ცალკე იღებდნენ შემოსავალს, აქ უკვე ფულით. სათიბები 250 დესეტ. გაცემული იყო წელიწადში — 300 მანეთად; გარდა ფულისა, 10 ურემი ძნაც მემამულეს ეკუთვნოდა, საზამთრო გარდა ფულისა, 10 ურემი ძნაც მემამულეს ეკუთვნოდა, საზამთრო

32 ფ. 215, საქ. № 182, 1911 წ., ფ. 32.

33 ფ. 215, საქ. № 69, 1918 წ. ფ. 34.

34 სცია ფ. 215, საქ. № 33; 1908 წ. ფ. 10—12.

სადგომებით სარგებლობისათვის 6 თვის განმავლობაში მემამულე იღებდა 600 მანეთს³⁵, სახნავი მიწების საიჯარო შემოსავალი იყო ნატურით (მოსავლის გარკვეული ნაწილი).

უფრო საინტერესოა დუშეთის რაიონის ს. ოჩხევისა და გიორგიშვილის მემამულეს ამილახვარის მეურნეობა, სადაც 164 დესეტ. მიწიდან სახნავს ეჭირა — 61 დესეტ.

ტყეს — 90 დესეტ.

საძოვრებს — 8 დესეტ.

საკარმილამოს — 2 დესეტ.

გზას — 1 დესეტ.

მამულში ცხოვრობდა 17 კომლი დროებითვალდებული გლეხი, რომელიც დესეტ. იხდიდა 2 მან. მათ ჰქონდათ იჯარით აღებული 23 დესეტ. მიწა.

მემამულის შემოსავალი წელიწადში იყო 630 მან. 60 დესეტ.-დან შემოსავალს ჭარბობდა გასავალი: ხვნას, ბარვას, თესვასა და მოსავლის აღებას სჭირდებოდა 650 მან³⁶. მიწის იჯარიდან მიღებული ფულადი შემოსავალი 103 მანეთს უდრიდა³⁷.

ბორჩალოს მაზრაში ს. ქიონეთში ბარათაშვილებს ჰქონდათ გაუყოფელი მამული 397 დესეტინა.

სახნავი — 116,5 დესეტ.

საძოვრები და ბუჩქნარი — 66 დესეტ.

ტყე — 177 დესეტ.

გზა — 3,530 კვ.ს.

არხები — 400 კვ. ს. და სხვ.

წვრილი ნაკვეთები, 4 დესეტ. სავენახე მიწა გამოისყიდეს გლეხებმა, 27 დესეტ. სახნავი მათ სანადელოდ გადაეცა. 94 დესეტ. 140 კვ. ს. იმყოფებოდა მემამულის მფლობელობაში. სახნავ მიწებზე ითესებოდა მარცვლეული ხორბალი. ქერი და სხვ. 1 დესეტ. მოდიოდა 80—90 ფუთი ხორბალი და 100—120 ფუთი ქერი. უხნავი მიწებიდან 140—200 ფუთი თივა. მეურნეობაში იყო კარგად მოვლილი ვენახი, საიდანაც უხვი მოსავალი შემოდიოდა და კარგი ხარისხის ღვინოც დგებოდა. ვენახის თითოეულ დესეტინაზე მოდიოდა 200—300 ვედროლვინო. ღვინო ადგილზე იყიდებოდა უფრო ძვირად, ვიდრე თბილისში; ვედრო ღირდა 2 მან., 2 მან. 50 კაპ. 26 დესეტ. 530 კვ. სუ. ვენახი

³⁵ ფ. 215, საქ. № 80, 1910 წ., ფ. 20—21.

³⁶ ფ. 215, საქ. № 110, 1910 წ. გვ. 1—4.

³⁷ იქვე.

იძლეოდა წელიწადში საშუალო მოსავლიანობის დროს 5000 ვედრო ღვინოს³⁸. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეურნეობაში გამოყენებულ ფილტრები იყო დროებითვალდებულ გლეხთა შრომა, რომელთაც სანადელო მფლობელობაში ჰქონდათ მიწები.

თბილისის გუბერნიის ს. რუისში მცხოვრები მემამულე-მეურნე როგორც თვითონ უწოდებს თავის თავს, აზნაური გიორგი ალექსის მოწადინებულია სულითა და გულით, შექმნას სანიმუშო მეურნეობა. ადრე ის მსახურობდა რუსეთში სახამებლის ქარხანაში, რომელსაც ფრანგი სპეციალისტი განაგებდა. სამშობლოში ჩამოსვლის შემდეგ, ალექსიძემ იყიდა 400 კვ. საკ. ვენახი, რომელიც ფილოქსერისგან იყო განადგურებული. მან ჩაყარა ამერიკული ჯიშის ნამყენი ვაზი და ნაკვეთი 4 ნაწილად გაჰყო; ერთ ნაწილში იყო ხილი, მეორეში ნამყენი ვაზები, მესამეში — ამერიკული ვაზები, ხოლო მეოთხეში გამიზნული იყო სკოლის აშენება. „ყველა ზემოაღნიშნული, — ამბობს ალექსიძე, — იმიტომ გავაკეთე, რომ ხალხს დაენახა და წაებაძათ ჩემთვის, რომელნიც მერე თითქმის გადაჭარბებდნენ, რადგანაც უფრო მეტი მამულიცა ჰქონდათ“³⁹. ამის შემდეგ ალექსიძემ გაზარდა მიწის ფართობი, ბანკიდან ალებული სესხით იყიდა მიწა ს. რუისში. 13 დესეტ-მიწის ყიდვამ ვალში ჩააგდო მეურნე, მის მეურნეობას ჩაქუჩის ქვეშ გაყიდვა ემუქრებოდა. გარდა ამისა, მეურნეობის ხარჯები კიდევ სხვა იყო 10 000 ძირი ვაშლი გადასარგავი იყო, ჭარხლის თესლი შესაძინი და, რაც მთავარია, 50 მუშა სათოხნავად დასაქირავებელი, თვითუშლ მუშას 1 მან. და 40 კაპ. დასჭირდებოდა. მუშახელი ესაჭიროებოდა ვენახს, სიმინდს, ჭარხალსა და კომბოსტოს. ალექსიძეს ჰყავდა 32 ძირი ფუტკარი, რომლისთვისაც უნდა შეეძინა 50 სკ. გრძა ამისა, აპირებდა კარტოფილის დათესვას. ყოველივე ამას, მისი გამოანგარიშებით, დასჭირდებოდა 1332 მანეთი. სამიწათმოქმედო კომისიამ ე. წევესტრაორდინაციური ფონდიდან მისცა დახმარების სახით ალექსიძეს მხოლოდ 100 მანეთი, მეტის შეძლება მას არ ჰქონდა.

მეურნეობის წარმოების მემამულეთა ერთგვარი გაერთიანება არსებობდა კახეთში, რომელიც ცნობილია ალაზნის გაღმა მხარის გაერთიანებით. მასში მთავარი მონაწილენი იყვნენ აფხაზები და ვაჩა-ძეები. ისინი გაერთიანებული მამულის მიწებს გასცემდნენ იჯარით მსურველებზე; ამ დროისათვის (1904 წელი) მათ განუზრახავთ ზოგიერთი მიწის გაყიდვა. მსყიდველები იყვნენ იმერეთიდან ჩამოსული გლეხები, რომლებიც კახეთში სახლდებოდნენ⁴⁰. თუ რამდენ დესეტისა

38 ფ. 215, საქ. № 188, 1911 წ. ფ. 30.

39 ფ. 215, საქ. № 158, 1910 წ. ფ. 12, 13.

40 ფ. 215, საქ. № 56, 1909 წ.

მიწას ფლობდა ეს გაერთიანება, საბუთიდან არ ჩანს, მაგრამ წილი კუთხით მონაცემით შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ მის ფართო მემკვიდრეობა კერძოდ მემამულე აფხაზებს ეკუთვნოდათ 1200 დესტ. სხვა იყო კი-დევ გაერთიანების დანარჩენი წევრების ვაჩანაების მიწები, ტყეები, რომლებსაც საკმაოდ დიდი ფართობი ეჭირა⁴¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, მემამულური მეურნეობის ახლებურ წესზე — კაპიტალისტურ სისტემაზე გარდაქმნას ხელს უშლიდა ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების არსებობა, რომელმაც მისი ბოლო განაპირობა. გარდა ამ ძირითადი მიზეზისა, მემამულური მეურნეობის კაპიტალისტურად გარდაქმნას ის ხელშემშლელი მიზეზებიც ჰქონდა, რომლებიც საერთოდ აბრკოლებდნენ სოფლის მეურნეობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში. ეს იყო მიწების გაუმიჯნაობა, დაქსაჭ-სულობა, მიწის დამუშავების ტექნიკის დაბალი დონე, კაპიტალის ნაკლებობა, ყოველივე ამას აგვირგვინებდა მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა, რომელიც საქართველოს მხოლოდ ნედლეულის მიმწოდებელ ქვეყნად მიიჩნევდა.

მემამულები, რომლებიც იწყებდნენ მეურნეობის ახლებურ წესზე გამართვას, პირველ რიგში ცდილობდნენ ახალი კულტურების მოშენებას, რაც, მათი აზრით, უფრო მომგებიანი და სარგებლიანი იყო. არ ითვალისწინებდნენ რა ადგილობრივ პირობებსა და მონაცემებს, ისინი ხშირად მარცხდებოდნენ და ვალებში ვარდებოდნენ. ასე დაემართა საკმაოდ გამოცდილ მეურნეს ივ. სულხანიშვილს, რომელმაც თავისი მეურნეობის წარმოება ტექნიკურ კულტურების მოშენებით დაიწყო, მაგრამ დროზე გაანება თავი და მემინდვრეობის აღდგენითა და გაუმჯობესებით საქმე გამოასწორა.

შემამულური მეურნეობის შემაფერხებელი იყო აგრეთვე წარმოებაში გარკვეული სისტემის უქონლობა. მემამულე ცდილობდა რაც შეიძლება მეტი პროდუქცია დაემზადებინა გასასყიდათ და მოგება ენახა. ამას იგი აღწევდა თითქოს, მაგრამ არც თუ ისე წარმატებით. მას ასე მიაჩნდა, რომ სოფლის მეურნეობის დარგების გამრავლებით შემოსავალიც გაიზრდებოდა. მაგრამ უკვე ახალი დარგის შემატებას მეურნეობაში ახალი ხარჯები მოსდევდა და მოგების თანხას არა ემატებოდა რა. ასეთ მოვლენებს აქვს ადგილი ჩვენს მიერ განხილულ მეურნეობაში; არც ერთი მემამულე არ კმაყოფილდება რომელიმე დარგის — მემინდვრეობისა ან მესაქონლეობის წარმოებით, რამდენიმე წლის შემდეგ იგი ხელს ჰქიდებს მეაბრეშუმეობას, ტექნიკური კულტურების წარმოებას და სხვ.

41 ფ. 215, საქ. № 56, 1909 წ.



მართალია, ჩვენი ქვეყნის პირობები იძლეოდა ამის საშუალებას, არა კი გამოსავლის მოსურნე მემამულე ვერ ახერხებდა გასწვდომის გადაწყვეტილებისა და წარმოების ფართო მასშტაბებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეურნეობის კაპიტალისტურ ეკონომიკის აფერხებდა დროებითვალდებულ გლეხთა შრომის გამოყენება, რომელიც ძევლი სისტემის ნაშთს წარმოადგენდა. ამ შრომის გამოყენებაზე დაფუძნებული მეურნეობა, ბუნებრივია, კაპიტალისტურ მეურნეობად ვერ, გარდაიქმნებოდა. მემამულე დაჩვეული იყო მუქთი შრომის გამოყენებას და ვერ შეჰვებოდა მუშახელის დაქირავებაზე ფულის გადახდას, ის ჩემობდა თავისი კაპიტალი მეურნეობის ახალ დარგების წარმოებაში დაებანდებინა, ვიდრე იგი უკვე არსებულ დარგების გაუმჯობესებაზე ან მუშახელის დაქირავებაზე დაეხარჯა. ამიტომც იყო მემამულის მეურნეობა ძნელად ვითარდებოდა და ძევლი სისტემის ნაშთების წვენში იხარშებოდა. ამას ემატებოდა კიდევ ის, რომ ვაჭარ-შემსყიდველები შემოსეული იყვნენ სოფელზე და ვიდრე ბაზრამდე მიიტანდა მემამულე ან გლეხი თავის საქონელს, იგი ძალიან დაბალ ფასებში ხელში უვარდებოდა ამ ჩარჩებს. მათი მავნებლური ბატონობის შესახებ არა ერთხელ აღნიშნავდნენ მაშინდელ პრესაში. ვაზეთი „დროების“ კორესპონდენტი შენიშნავდა, რომ მევახშისა და ჩარჩის მსხვერპლია ჩვენი გლეხი კაციც და მემამულეც, რომელთა ვალებში ჩავარდნა ბოლოს უღებდა ორივეს⁴².

„ჩვენი მეურნეები თავის ჭირნახულის მომეტებულ ნაწილს, — წერდა უურნალი „იმედი“, — სომხებზედ ასაღებენ. ისე და ამრიგად, რომ კაცს ამისთანა გასაღებაზედ გული აემღვრევა, როდესაც ხედავს რა დიდი ნაწილი ჭირნახულის რა უსარგებლოდ და პატრონის საზარალოდ იღუპება. თუთხმეტჭერ მოვა სომეხი სირაჭი ღვინის პატრონთან ჭაშნიერის გასასინჯად და თხუთმეტჭერევე ისე გამოთვრება, რომ პატრონს ამისთანა მასპინძლობა თითქმის ერთ ჩაფამდინ უჯდება“⁴³. ყოველივე ამის შემდეგ, ღვინის შესყიდვის დროს შემსყიდველი ვაჭარი ორი-სამი ჩაფით მეტს წაიღებდა ხოლმე საჩუქრის ანგარიშში. ნაყიდი ღვინო ვაჭარს ქალაქში ჩამოჰქონდა და ერთი ორად ჰყიდდა. „ყოველ იმისთანა შემთხვევაში, — განავრძობს სტატიის ავტორი, — როდესაც სოფლებსა და მოქალაქეებს შეა მეურნული ნაწარმოების გასასაღებლად მესამე პირნი იღებენ მონაწილეობას, მეურნულ ჭირნახულს სოფლებისათვის ფასი უვარდება და მოქალაქეებისათვის კი ემატება“⁴⁴. ასე რომ, სათანადო ბაზრის უქონლობა ძალიან აფერხებდა

42 გაზ. „დროება“, 1869 წ. № 21:

43 უურნ. „იმედი“, 1881 წ., № 1.

44 დასახ. უურნალი.



მამულის მეურნეობის წარმოების საქმეს. მისი შექმნისათვის უძრავი ეზრუნა სოფლის საზოგადოებას. ამისათვის უურნალ „იმედის“ აზრით, საჭირო იყო შექმნილიყო ბაზარი ანუ ჭირნახულის დეპო, რომელიც მოუვლიდა საქმეს. გარდა ამისა, უნდა დაეკარსებინათ ასოციაციები, რომლებიც „მოსაპობდნენ უსარგებლო ვაჭრებს, როგორც შუამავლებს ფაბრიკატებსა და მემამულებს შორის“. შედარებით უკეთ გამოიყურებოდა მემამულურ მეურნეობაში მანქანა-იარაღების გამოყენების საქმე. სასოფლო-სამეურნეო მანქანებიდან მემამულები იყენებდნენ უცხოური სისტემის გუთნებს, სამკელსა და სალეჭ მანქანებს, ვენახის შემწამვლელ ხსნარებსა და იარაღებს. თუმცა უცხოური სისტემის გუთანმა ვერ მოიკიდა ჩვენში ფეხი, მაგრამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიტანა ქართული გუთნის სისტემაში. ბევრ მემამულეს შეგნებული ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენების მნიშვნელობა და სარგებლობა და გულმოდგინედ ცდილობდა მათ ხმარებას. ასეთები იყვნენ მუხრანბატონი, სულხანიშვილი, ვეზირიშვილი, და სხვ. მათ ესმოდათ, რომ საჭირო იყო ძველებური, მამა-პაპური წესის შეცვლა, სამეურნეო იარაღების გაუმჯობესება, რაც უკეთესი მოსავლიანობის საწინდარი იქნებოდა. მათი აზრით, სასარგებლო იყო აგრონომიული განათლების მიღება, რომელიც მემამულეს მეურნეობის სწორი, რაციონალური წარმოების საშუალებას მისცემდა. ამ მიზნით მოუწოდებდა ქართველ მემამულებს უურნალი „იმედი“ და მიუთითებდა ქართველ ახალგაზრდობას თავი მიენებებინათ ჩინოვნიკური სამსახურისათვის და ხელი მიეყოთ მეურნეობისათვის. უურნალი იმასაც შენიშნავს, რომ ჩვენში მეურნეობის წამომწყებსა და ინიციატირს არა თუ ხელს უწყობენ, არამედ დასცინიან და აბუჩად იგდებენ. რომელიდაც თავადიშვილს ყველის წარმოებისათვის მოუკიდნია ხელი და თავდაპირველად წარმატება არ ჰქონია, მაგრამ მიუხედავად გარეშე და შინაურთა უნდობლობისა და დაცინვისა, არ შეშვებია ამ საქმეს. გარკვეული დროის შემდეგ ყველის წარმოების საქმეც კარგად წასულა.

მიუხედავად ასეთი ცდებისა, მემამულურ მეურნეობათა რაციონალიზაციას მაინც არ ჰქონდა საყოველთაო ხსიათი. მაშინდელ პრესაში არაერთხელ შეხვდებით საყველურს მემამულების მიმართ, რომელნიც გულგრილად უყურებდნენ ამ საქმეს. ასე, მაგალითად, ვაზის შემწამლავ 600 ეგზემპლარი მანქანებიდან მხოლოდ 12 ცალი გაყიდულა. ზოგიერთი მემამულე ხეხილის ბაღს გააშენებდა, გამართავდა მაგრამ შემდეგ მის მოვლაზე ნაკლებ ზრუნვდა. თავად-აზნაურობის უმეტესი ნაწილის მეურნეობისადმი. გულგრილი დამოკიდებულების ასეთ მაგალითებს მრავლად ვხვდებით.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მემამულურ მეურნეობაში საგრძნობეჭისა და განვითარდა სავაჭრო მიწათმოქმედება და გაიზარდა საბაზრო პროდუქციის წარმოება. რეფორმის შემდეგდროინდელ ხანაში მემამულური მეურნეობის ნაწარმის ხვედრითი წონა საქმაოდ დიდი იყო პაზარზე, მაგრამ ამ მეურნეობებში მთავარი მწარმოებელი გლეხობა იყო. მართალია, არსებობდა როგორც მუდმივი, ისე სეზონური დაქირავებული მუშახელი, მაგრამ მთავარი მწარმოებელი მაინც დროებით ვალდებული გლეხი იყო. ქართველი მუშები უფრო გზებსა და რეინიგზებზე მუშაობას რჩეობდნენ, ვიდრე მეურნეობაში. აქ დაქირავებულ მუშებად უფრო მეტად ჩანან ოსები, ბერძნები, სომხები. სეზონურად მოდიოდნენ მთიულები, რაჭველები, ხევსურები. გარდა დროებითვალდებულ გლეხებისა, მეურნეობაში ნატურალურ ბეგარის პირობის საფუძველზე მუშაობდნენ ხიზები.

მემამულურ მეურნეობაში კაპიტალისტური ეკოლუციის მაუწყებელი იყო ფულადი რენტის გაჩენა, რომელიც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა რეფორმის შემდეგ. 80—90-იან წლებში ჰავჭავაძე-ებისა და მუხრანბატონის მეურნეობაში, ნაცვლად ნატურალური გადასახადისა, გლეხობა კომლობით იხდიდა ფულად გადასახადს. სეიმონ ვეზირიშვილი ითვალისწინებდა რა მეურნეობის მომავალ გაუმჯობესებას, აღნიშნავდა რომ იჯარით გაცემული მიწების სარგებლობისათვის, გლეხობას გადასახადი ფულად უნდა ეხადა.

მემამულურ მეურნეობაში, როგორც წესი, ძირითადი მწარმოებელი დროებითვალდებული გლეხები და ხიზები იყვნენ, თუმცა დაქირავებულ შრომასაც გარევეული ადგილი ეყირა... მისი ხევდრითი წონა თანდათან იზრდებოდა.

ზემოაღნიშნული მეურნეობები გარდამავალი ტიპისანი იყვნენ. მათი კაპიტალისტური ეკოლუცია ძველ ურთიერთობასთან შერკინების ვთარებაში მიმდინარეობდა და ამდენად ის ძნელი და რთული პროცესი იყო. კაპიტალიზმი მაინც ვთარებოდა, რაც გამოიხატებოდა დაქირავებული შრომისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების შედარებით დიდი მასშტაბით გამოყენებაში, ფულადი იჯარის როლის გაძლიერებაში და საბაზრო პროდუქციის ზრდაში.

განხილული მასალის გაცნობისა და შესწავლის საფუძველზე, ჩვენთვის ნათელი ხდება ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც მემამულურმა მეურნეობამ განიცადა. ეს ცვლილებანი ცოტად თუ ბევრად ქმნიდნენ მემამულური მეურნეობის წარმოების სრულიად ახალ, განსხვავებულ სახეს.

პირველი და მნიშვნელოვანი მოვლენა ძველი, ფეოდალური ურთიერთობის რღვევაში, რომელიც შერ კიდევ XVIII საუკუნის და-



სასრულში პპოვებს თავის საწყისს, იყო სათავაღოების გაუქმებული ტურალური მეურნეობის ჩლვევა, სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება.

დიდი მნიშვნელობის ფაქტორი იყო დროებითვალდებულ გლეხის შრომის გვერდზე, დაქირავებული მუშახელის ხელრით წილის თანდათანობითი ზრდა.

უოველივე ეს საქმარისია იმისათვის, რომ მემამულური მეურნეობა წარმოვიდგინოთ ძველი ფეოდალური მეურნეობისაგან არა მარტო განსხვავებულ, არამედ ახალ სისტემაზე გადასულ და გარდაქმნილ მეურნეობად.

ამ ახალი ტიპის მეურნეობაში პირველ ადგილზეა ის მოვლენები, რომლებიც ახასიათებენ კაპიტალისტურ განვითარებას. ეს არის სავაჭრო მიწათმოქმედების განვითარება, სოფლის მეურნეობის დარგებში მანქანა-იარაღებისა და დაქირავებული მუშახელის გაჩენა, ფულადი რენტის თანდათანობით ზრდა და განმტკიცება (რაც უფრო მოგვიანებით მიწების იჯარით გადაცემაში გამოიხატა), დარგების სპეციალიზაცია და სხვ.

უოველივე ეს ხელს უწყობდა ჩვენს სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას. მართალია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ წარმოქმნილა წმინდა კაპიტალისტური მეურნეობა. მაგრამ ძირეული ცვლილება განიცადა ფეოდალურმა მეურნეობამ. მის ნაცვლად წარმოიშვა ახალი, გარდამავალი ტიპის მეურნეობა, სადაც ჭერ კიდევ არსებობდა ძველის ნაშთები კაპიტალისტური სისტემის გვერდით, მაგრამ კაპიტალიზმის ნიშნები თანდათან უპირატესობასა და გაბატონებულ მდგომარეობას აღწევენ.

КАПИТАЛИСТИЧЕСКАЯ ЭВОЛЮЦИЯ ПОМЕЩИЧЬЕГО ХОЗЯЙСТВА В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

В XIX веке Грузия вступила в состав Российской империи. Утвердившиеся в стране мирные условия способствовали дальнейшему прогрессу экономики страны — промышленности и сельского хозяйства.

В дореформенный период возникли предпосылки для развития капиталистических отношений.

Хотя политическая раздробленность и разрушенная экономика страны затрудняли становление новой системы, но она все же постепенно прокладывала себе путь.

Изменения наметились не только в промышленности, но и в сельском хозяйстве, в котором однако, капитализм развивался медленнее.

Из отраслей последнего, ведущее место занимали виноградарство, полеводство и животноводство.

Развитие капитализма в этих отраслях выразилось прежде всего в увеличении производства товаров для рынка.

Эволюции подверглось помещичье хозяйство.

Прогрессивная часть грузинского дворянства, сознавая значение рационализации и перестройки хозяйства на буржуазный лад, энергично принялась за дело.

Первыми рационализаторами являлись А. Андronикашвили, С. Гургенидзе, А. Чавчавадзе, И. Абхази, И. Сулханишвили, М. Накаидзе и др.

Хотя их начинания в дореформенной Грузии являлись не вполне совершенными, но они все же были пионерами нового и сыграли определенную роль в развитии в Грузии буржуазного предпринимательства. В их хозяйствах главное место занимало торговое земледелие, в некоторых из них применялись сельскохозяйственные машины (Сулханишвили, Накаидзе) и наемный труд (Чавчавадзе, Накаидзе), нанимались преимущественно квалифицированные рабочие.

В пореформенный период в помещичьих экономиях наблюдаются значительные сдвиги. В крупных хозяйствах И. Мухранбатони, Д. Чавчавадзе и в мелких — Везиришвили, Бараташвили, Сулханишвили и др. торговое земледелие получило дальнейшее развитие, шире стали применяться сельскохозяйственные машины, усилилась специализация, и что главное, наемный труд приобрел более систематический характер, при параллельном существовании труда временообязанных крестьян.

Иначе и быть не могло. «Капиталистическое хозяйство — пишет В. И. Ленин — не могло сразу возникнуть, барщинное



хозяйство не могло сразу исчезнуть. Единственно возможной ^{и единой} системой хозяйства была, следовательно, переходная система, соединявшая в себе черты и барщинной и капиталистической систем. И, действительно, пореформенный строй хозяйства помещиков характеризуется именно этими чертами. При всем бесконечном разнообразии форм, свойственном переходной эпохе, экономическая организация современного помещичьего хозяйства сводится к двум основным системам в самых различных сочетаниях, именно к системе отработочной и капиталистической»¹.

Последствием капиталистической эволюции значительно расшатался старый, отсталый феодальный строй. Помещичье хозяйства, приравниваясь к новому, на продолжительное время сохранили черты старого. В них сосуществовали пережитки феодализма — (отборочная система), с капитализмом (применение наемного труда). Главной и ведущей была тенденция капиталистического развития этих хозяйств.

Примером может служить хозяйство И. Мухранбатони, с годовым капиталооборотом в 300.000 рублей, оно возникло еще в дореформенный период. В течении времени хозяйство превратилось в крупное предприятие, работавшее на широкий рынок. В нем применялись, и с успехом, сельскохозяйственные машины и наемный труд. На долю последнего приходилась одна треть всех расходов.

В конце XIX века, по словам корреспондента «КСХ-ва», здесь работали легионы рабочих.

Правда, продолжалось применение и труда временнообязанных крестьян, но он утратил свое былое значение. Наемная сила была ведущей в хозяйстве Бараташвили; на новый лад устраивались и хозяйства Везиришвили, Сулханишвили и др.

Приведенный в книге материал позволяет сказать, что капиталистическая эволюция помещичьего хозяйства в Восточной Грузии, начатая еще в дореформенный период, значительно усилилась после падения крепостного права; следствием этого длительного процесса возникла новая, переходная система помещичьего хозяйства.

¹ В. И. Ленин, Соч. т. 3, стр. 160.

შ ი ნ ა ს ი ტ ყ უ ა მ ბ ა

შ ი ნ ა ს ი ტ ყ უ ა მ ბ ა	3
რეფორმამდელი მემამულური მეურნეობები საქართველოში	7
იგანე მუხრანბატონის მეურნეობა	29
ალექსანდრე და დავით ჭავჭავაძეების მეურნეობა	64
რეფორმის შემდევრობინდელი წერილი მემამულური მეურნეობები	80
Р е з и ю м е	107

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი ი. ანთელავა

გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე

ტექნიკური რედაქტორი ნ. ბოკერია

კორექტორი ი. ღონიშვილი

მხატვარი მ. თუშმალიშვილი

გადაეცა წალმობას 27.6.1970. ხელმოწერილია დასაბეჭდად 2.7.71.

ქაღალდის ზომა $60 \times 901/16$; ნაბეჭდი თაბაზი 7.0; სალრიცხვო-საგამომცემლო
თაბაზი 5.78; უკ 00316; ტირაჟი 1000; შეკვეთა 1730;
ფასი 49 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19

Издательство «Мецнериба», Тбилиси, 380060, Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19.

Типография АН ГССР, Тбилиси 380060, Кутузова, 19

Натела Давидовна Нацвлишвили

КАПИТАЛИСТИЧЕСКАЯ ЭВОЛЮЦИЯ ПОМЕЩИЧЬЕГО
ХОЗЯЙСТВА В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ.

Կ 80a

Դ 380/1356



Համամշամլոնի „Թեսուրական“ 1971 թ. համասկա Շեմձեցո Ծոցնեბո:

1. Ե. ծերժյանի Շահումով. Տայարագույն առաջնական և այլ պատճեններ, Ծոցնո
V. — գյան 1 ման. 92 յաձ.
2. Կազբական առաջնական պատճեններ, ՀՀ պատճեններ, III. — գյան 1 ման. 58
յաձ.

K 277.379
3

ଫାର୍ମ 49 ପାତ.

6 8 1 7 1 2